პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.

ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექტ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 3 აგვისტო 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 176 (2522)

დღიური

- ლოკაუტი ინგლისის საფეიქრო მრეწველობაში გრძელდება.
- ინგლისის თევზის მრეწველები მოითხოვენ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის დაუყოვნებლივ აღდგენას.
- რუსი თეთრგვარდიელები თავდასხმას ამზადებენ საბჭოთა საზღვარზე ჩინეთიდან.
- ბრიანის მთავრობას ნდობა გამოუცხადეს.
- დამატებითი არჩევნების დროს ინგლისში [illegible] მუშათა პარტიის კანდიდატმა გაიმარჯვა.
- გაიხსნა ნიჟეგოროდის ბაზრობა.
- მიწის ძვრა იაპონიაში.

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა აგვისტოსათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

ომის პროვოკატორები არ ისვენებენ

მუკდენის მილიტარისტების ბანდიტურ თავდასხმამ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებში ერთსულოვანი მრისხანე პროტესტი გამოიწვია. გათავხედებულ გენერლების ეს უკანასკნელი ყაჩაღური აქტი თავის უმსგავსოებით იმდენად აღმაშფოთებელი მოვლენა იყო საერთაშორისო ურთიერთობაში, რომ მან უკმაყოფილება გამოიწვია ლიბერალურად განწყობილ ბურჟუაზიულ პრესაშიაც კი. საბჭოთა ხელისუფლებამ როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიაც, ერთხელ კიდევ საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ ის მტკიცედ სდგას მშვიდობიანობის სადარაჯოზე. ჩვენი ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ მას სრული შესაძლებლობა აქვს საკადრისი პასუხი გასცეს აღვირახსნილ მილიტარისტების ასეთ თავხედობას, დაკმაყოფილდა ჩინეთთან დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტით და სავაჭრო - სატრანსპორტო კავშირის ალკვეთით.

მაგრამ სჩანს საბჭოთა კავშირის ურყევი მშვიდობიანი პოზიცია მოსვენებას არ აძლევს ჩინეთის მილიტარისტებს და მათ უკან მდგომ ანტისაბჭოთა ომის ორგანიზატორ იმპერიალისტებს. პროვოკაცია ისევ გრძელდება. ამის საუკეთესო მაჩვენებელია ჩინეთის ხელისუფლების მორიგი დიპლომატიური თავხედური გამოსვლა, რაიც მიზნად ისახავს მუკდენის გენერლების ბანდიტური ნაბიჯების მიჩქმალვას და აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე შექმნილ ფაქტიური მდგომარეობის დაკანონებას, ანუ იმ მდგომარეობის დაკანონებას, რომელიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება არსებულ საერთაშორისო ნორმებს და, რაც მთავარია, პეკინისა და მუკდენის ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ამავე რკინის გზის მფლობელობა-ექსპლოატაციის შესახებ.

საბჭოთა მთავრობა თავიდანვე იმის სურვილს გამოსთქვამდა, რომ ჩინეთთან ჩამოვარდნილი უთანხმოება განეწყვეტილიყო მშვიდობიანი მოლაპარაკებით, მაგრამ ამ მოლაპარაკების გამოსავალ წერტილად ჩვენს მთავრობას მიაჩნდა და მიაჩნია 11 ივლისამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, ე. ი. იმ შედეგების გამოსწორება, რომელნიც გამოიწვია მუკდენის გენერლების ყაჩაღურმა თავდასხმამ ხსენებულ რკინის გზაზე. ჩინეთის ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ საბჭოთა მთავრობა მტკიცედ სდგას ამ თვალსაზრისზე. მიუხედავად ამისა, მუკდენის მმართველთა საგარეო საქმეთა კომისარმა წინადადება მისცა ჩვენს ხარბინელ კონსულს შეეტყობინებია საბჭოთა მთავრობისათვის, რომ ჩინეთი მზადაა დაიწყოს მოლაპარაკება შემდეგ პირობებში: საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე შექმნილი მდგომარეობა მას მიაჩნია დროებით დასაშვებად, საბჭოთა მთავრობა ნიშნავს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე თავის მმართველს ჩინეთის ხელისუფლება კი ანთავისუფლებს უკანონოდ დატუსაღებულ საბჭოთა მოქალაქეებს.

საბჭოთა მთავრობამ იმდენი სულგრძელობა გამოიჩინა, რომ ხელაღებით არ უარყო ჩინეთის ეს წინადადება. ჩვენმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ის თანახმაა დაიწყოს მოლაპარაკება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად, მაგრამ ამასთანავე განმეორებით აცნობა ჩინეთის წინადადების ავტორს ჩან-სუე-ლიანს, რომ მოლაპარაკების წინასწარ პირობად ძალაში რჩება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე 11 ივლისამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა. ჩვენს ასეთ წინადადებაზე მუკდენის მილიტარისტებმა მათთვის ჩვეული ცინიკური და პროვოკაციული პასუხი გასცეს. თავის უკანასკნელ ნოტაში ჩან-ძო-ლინის უბადრუკი მემკვიდრე ჩან-სუე-ლიანი უკვე აღარაფერს ლაპარაკობს საბჭოთა მმართველის დანიშვნის შესახებ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. უკანონოდ დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების განთავისუფლების სანაცვლოდ კი მოითხოვს საბჭოთა კავშირში დაპატიმრებულ ჩინელების განთავისუფლებას. გარდა ამისა ის ცდილობს ფაქტიურად დააკანონოს რკინის გზის მის მიერ ყაჩაღურად ხელში ჩაგდება. პირველ ყოვლისა, ყველასათვის ცხადია და სხვაზე უკეთ ეს იციან თვით ჩინეთის ეხლანდელ მმართველებმა, რომ ჩვენს ხელისუფლებას უკანასკნელ კონფლიქტთან დაკავშირებით არავითარი რეპრესიებისათვის არ მიუმართავს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ მშვიდობიან ჩინელ მოქალაქეების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის გამასწორებელ სახლებში სხვა ეროვნების რეციდივისტებთან ერთად სხედან სისხლის სამართლის დამნაშავე ჩინელები. საჭიროა მართლაც ბანდიტური უტიფრობა, რომ სრულიად უდანაშაულოდ დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების განთავისუფლების კომპენსაციად ასეთი მოთხოვნილება წამოაყენო. თავის უკანასკნელ აშკარა პროვოკაციულ და ჩვეულებრივად ფლიდურ დიპლომატიურ ნაბიჯებით ჩინეთის მილიტარისტებმა ზედმეტად ცხადჰყვეს, რომ მათ არ სურთ შეიგნონ მდგომარეობის მთელი სირთულე, რომ ისინი საერთაშორისო იმპერიალიზმის წაქეზებით შეგნებულად ცდილობენ კიდევ უფრო გაამწვავონ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ამასთანავე ჩინეთის დიპლომატია თავის უკანასკნელ უნიჭო გამოსვლით სცდილობს როგორმე შეანელოს მუკდენის ბანდიტების მიერ ჩადენილ უმსგავსოებით შექმნილი შთაბეჭდილება. არსებითად კი ის დამწვარზე მდუღარეს ასხამს, თავისი ახალი პროვოკაციით მას სურს ერთხელ კიდევ გამოსცადოს საბჭოთა კავშირის მოთმინება.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩინეთის მილიტარისტების უკანასკნელი პროვოკაცია იმ მიზანს ვერ მიაღწევს, რომელსაც ისახავენ ამ პროვოკაციის სულის შთამბერველნი და მისი ფაქტიური აღმასრულებელნი. ჩვენი მთავრობა, რომელსაც ზურგს უმაგრებს საკუთარი ქვეყნის მშრომელ მასების მილიონები და მთელი ქვეყნის მოწინავე ჩაგრული კაცობრიობა, ღირსეულ პასუხს გასცემს ყველა მათ, ვინც შეეცდება მისი ურყევი მშვიდობიანი პოლიტიკის საბჭოთა კავშირის სისუსტით ახსნას. დღეს როცა მთელ მსოფლიოში იმართება მძლავრი ანტიიმპერიალისტური დემონსტრაციები, ჩინეთის მილიტარისტების მორიგი პროვოკაცია, კიდევ უფრო განამტკიცებს მშრომელი მასების შეგნებაში იმ რწმენას, რომ ერთად-ერთი სახელმწიფო, რომელიც თავდადებით იბრძვის ახალ საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, ეს არის მსოფლიოში ერთად-ერთი პროლეტარული სახელმწიფო — დიდი საბჭოთა კავშირი.

გომინდანის გენერლების პროვოკაცია გრძელდება

ჩან-სუე-ლიანის ნოტა საბჭოთა მთავრობას.—ამხ. კარახანის პასუხი

1-ლ აგვისტოს ბერლინში გაიმართა კომუნისტური დემონსტრაცია 150.000 კაცის მონაწილეობით

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან

მოსკოვი, 2 აგვისტო. ა. წ. 1 აგვისტოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ კარახანმა მუკდენის მთავრობის მეთაურის ჩან-სუე-ლიანისაგან მიიღო წერილი, რომელიც გადმოცემულ იქნა ტელეგრაფით ქ. მანჯურიიდან.

ქვემოთ მოყვანილია ამ წერილის ტექსტი და მასზე გაცემული პასუხი.

მუკდენის მთავრობის თავმჯდომარის, გენერალ ჩან სუე-ლიანის წერილი საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს კარახანს.

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო კარახან!

მას შემდეგ, რაც მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა გენერალურ კონსულ მელნიკოვსა და საგარეო საქმეთა კომისარ ცაის შორის, ეს უკანასკნელი გაემგზავრა მუკდენში და გააკეთა მოხსენება. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა არის ორ სახელმწიფოს საერთო კომერციული საწარმო, რომელსაც აწესრიგებენ პეკინის და მუკდენის შეთანხმებანი. რათა მოგვარებულ იქნას არსებული გაუგებრობა, შემოგვაქვს შემდეგი სამი წინადადება:

1. ჩინეთის მთავრობა და საბჭოთა კავშირის მთავრობა ნიშნავენ თითო წარმომადგენელს კონფერენციის მოსაწვევად, რომელზედაც განხილულ უნდა იქნას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხი.

2. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე არსებული მდგომარეობა აღიარებულია დროებითად და მოწესრიგებულ უნდა იქნას კონფერენციის შემდეგ პეკინის და მუკდენის შეთანხმებათა საფუძველზე.

3. საბჭოთა კავშირის დაპატიმრებული მოქალაქენი ოფიციალური წესით თავისუფლდებიან და იგზავნებიან საბჭოთა კავშირში. აგრეთვე განთავისუფლებულ უნდა იქნან საბჭოთა კავშირში დაპატიმრებული ჩინელები.

ამ სამი მუხლის შესახებ გთხოვთ მომცეთ პასუხი ტელეფონით.

სრული პატივისცემით ჩან-სუე-ლიანი. 29 ივლისი.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის, კარახანის პასუხი მუკდენის მთავრობის თავმჯდომარეს გენერალ ჩან სუე-ლიანს.

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო ჩან-სუე-ლიან!

1929 წლის 22 ივლისს საგარეო საქმეთა კომისარი ბატონი ცაი, მისი თხოვნით, მიიღო საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა ხარბინში მელნიკოვმა. ბატონმა ცაიმ განუცხადა გენერალურ კონსულს, რომ იგი ეს არის ეხლა ჩამოვიდა მუკდენიდან და რომ მას მუკდენის მთავრობისაგან, დავალებული აქვს, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე წარმოშობილი ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის მოგვარების მიზნით, წარმოადგინოს შემდეგი წინადადებანი:

1. დაპატიმრებული საბჭოთა მუშები და მოსამსახურენი თავისუფლდებიან,

2. საბჭოთა კავშირის მთავრობა ნიშნავს აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის მმართველს და მის თანაშემწეს.

3. მოწვეულ უნდა იქნას ორივე მთავრობის რწმუნებულთა კონფერენცია, რომელიც უმოკლეს ვადაში მოაგვარებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე წარმოშობილ კონფლიქტს,

4. საბჭოთა მთავრობას შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ სცნობს კონფლიქტის შემდეგ არსებულ წესრიგს და რომ მომავალ მოლაპარაკებაში ეს წესრიგი მას არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს, და

5. თუ საბჭოთა მთავრობა დაეთანხმება ამ წინადადებებს, ჩან-სუე-ლიანი შეეკითხება ნანკინის მთავრობას—თანახმაა იგი თუ არა ამ წინადადებებისა.

მელნიკოვმა უარი სთქვა განეხილა ცაის ეს წინადადებანი; მან აღნიშნა, რომ საამისოდ არავითარი რწმუნება არა აქვს და რომ საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი გამოთქმულია 13 ივლისის ნოტაში. მაგრამ, ვინაიდან ცაიმ სთხოვა მას გადაეცა ცნობა ამ წინადადებათა შესახებ საკავშირო მთავრობისათვის, მელნიკოვმა მუკდენის მთავრობის წინადადება გადმოსცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს.

საბჭოთა მთავრობა, ხელმძღვანელობდა რა მშვიდობის მოყვარეობის პოლიტიკით და არ სურდა გამოუყენებლად დაეტოვებია ეს შესაძლებლობაც კონფლიქტის მოგვარებისა შეთანხმების გზით, წავიდა დათმობაზე და დაავალა მელნიკოვს ხარბინში მიეცა ბატონ ცაისათვის შემდეგი პასუხი, რათა მას ეს პასუხი გადმოეცა თქვენთვის, როგორც მუკდენის მთავრობის მეთაურისათვის:

„ა) იმ ძალადობის შემდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა ჩინეთის ხელისუფლების მხრივ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, საკავშირო მთავრობას არ შეუძლია ნდობით მოეპყრას მუკდენის მთავრობისაგან საგარეო საქმეთა კომისარ ცაის მეშვეობით გადმოცემულ წინადადებებს.

ბ) მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ნანკინის ან მუკდენის მთავრობა ოფიციალურად წარმოუდგენს საბჭოთა კავშირის მთავრობას ბატონ ჩან სუე-ლიანის სახელით შემოტანილ წინადადებებს, სახელდობრ:

1) დაპატიმრებულ საბჭოთა მუშებისა და მოსამსახურეების განთავისუფლება,

2) საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველის და მისი თანაშემწის დანიშვნა,

3) კონფერენციის მოწვევა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე წარმოშობილი კონფლიქტის უმოკლეს ვადაში მოსაგვარებლად,

და თუ, გარდა ამისა, მუკდენის მთავრობის წინადადების მეოთხე მუხლი შემდეგნაირად შეიცვლება:

ორივე მხარე აღიარებს რომ, კონფლიქტის შემდეგ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე შექმნილი მდგომარეობა შეცვლილ უნდა იქნას პეკინის და მუკდენის 1924 წლის შეთანხმებებთან შეფარდებით,

მაშინ საკავშირო მთავრობა კეთილგანწყობილად შეეგებება ამ წინადადებებს".

ეს პასუხი მელნიკოვმა გადასცა ცაის ხარბინში, 25 ივლისს დღის 4 საათზე.

ა. წ. 30 ივლისს ცაი მოვიდა სადგურ მანჯურიაში და აცნობა მელნიკოვს, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, რომ მას სურს შეხვდეს მელნიკოვს მუკდენის მთავრობის წინადადების გადასაცემად.

1 აგვისტოს ცაიმ გადასცა მელნიკოვს თქვენი წერილი ჩემ სახელზე, ა.წ. 29 ივლისის თარიღით, რომლის შინაარსი ტელეგრაფით გადმომეცა.

მე იძულებული ვარ აღვნიშნო, რომ თქვენი 29 ივლისის წერილში გამოთქმული წინადადება არსებითად განსხვავდება იმ წინადადებისაგან, რომელიც თქვენივე დავალებით ცაიმ წარმოუდგინა მელნიკოვს 22 ივლისს.

სახელდობრ, უწინარეს ყოვლისა, შემდეგით:

ჯერ-ერთი, თქვენს წერილში სრულებით გამოშვებულია ის წინადადება, რომელიც თქვენი სახელით წამოაყენა ცაიმ 22 ივლისს საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველის და მისი თანაშემწის დაუყოვნებლივ დანიშვნის შესახებ.

მეორე, ნაცვლად საკავშირო მთავრობის მიერ წამოყენებული ფორმულისა იმის შესახებ, რომ კონფლიქტის შემდეგ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე შექმნილი მდგომარეობა შეცვლილ უნდა იქნას პეკინის და მუკდენის შეთანხმებებთან შეფარდებით, თქვენი წერილი შეიცავს წინადადებას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ამჟამად არსებული მდგომარეობის ლეგალიზაციის შესახებ, მაშინ, როდესაც ეს მდგომარეობა შექმნილია გზის ძალადობით ხელში ჩაგდებით, რაც პეკინის და მუკდენის შეთანხმებათა აშკარა დარღვევას წარმოადგენს.

ამრიგად, მე უნდა აღვნიშნო, რომ მუკდენის მთავრობა, წინააღმდეგ საკუთარი წინადადებისა 22 ივლისის თარიღით, თავისი ახალი წინადადებით შლის იმის შესაძლებლობას, რომ კონფლიქტი მოგვარებულ იქნას შეთანხმების გზით, რაც შესაძლებელია მხოლოდ საკავშირო მთავრობის ა. წ. 25 ივლისის წინადადების მიღებით. ამით იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ახალი სერიოზული გართულებანი, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა მთლიანად და სავსებით ეკისრება მუკდენის და ნანკინის მთავრობებს.

მიიღეთ და სხვა **კარახანი.**

1 აგვისტო 1929 წ.

შუღლმაგართა კვალდაკვალ

დამატებითი არჩევნების დროს პრესტონში, სადაც ბოლდუინი გამოვიდა მიტინგზე კონსერვატიული კანდიდატის დასაცავად, ყოფილმა პრემიერმა ენერგიული პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ მუშათა პარტიის ბელადები არაკეთილსინდისიერ კონკურენციას უწევენ კონსერვატორებს. ბოლდუინის კატეგორიული განცხადებით, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხში მაკდონალდი იმავე პოლიტიკას აწარმოებს, რასაც კონსერვატიული მთავრობა აწარმოებდა. „თუ მე გადამაყენეს, — გულდაწყვეტით განაცხადა ბოლდუინმა,—განსაზღვრული პოლიტიკის გატარებისათვის და ხალხი ფიქრობს, რომ საჭიროა სხვა პოლიტიკა, განა მე უფლება არა მაქვს პროტესტი განვაცხადო, როდესაც ვხედავ, რომ მუშათა პარტიის მთავრობის ყველა ღონისძიება მხოლოდ ჩემი პოლიტიკის განხორციელებას წარმოადგენს".

იშვიათად ყოფილა, რომ ჩვენ შუღლმაგართა მთავრობის მეთაურს დავეთანხმებოდეთ, მაგრამ ეხლა გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ იგი უსათუოდ მართალია. დოვგალევსკის მოლაპარაკება ჰენდერსონთან და ის პირობები, რომლებიც წამოაყენა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის წინასწარი პირობად, უდავოდ მოწმობენ, რომ მუშათა პარტიის მთავრობას ამ საკითხში მართლაც არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს წინ ბოლდუინის პოზიციასთან შედარებით და რომ ჰენდერსონის პასუხი დოვგალევსკის წინადადებაზე ელჩების დაუყოვნებლივ დანიშვნის შესახებ ოდნავაც არ განსხვავდება ჩემბერლენის ანალოგიურ და არაერთ განცხადებებისაგან.

მუშათა პარტიის მთავრობა ფიქრობს, რომ ჯერ საჭიროა „დაიწყოს მოლაპარაკება დიდ-ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული ყველა სადავო საკითხის რაობის შესახებ" და მხოლოდ შემდეგ შეიძლება განახლებულ იქნას დიპლომატიური ურთიერთობა ამ ქვეყნებს შორის. არსებითად სხვა არაფერი არ მოუთხოვია ჩემბერლენს, როდესაც იგი მუშათა პარტიის დეპუტატების არაერთ შეკითხვაზე უპასუხებდა, რომ „მისი უდიდებულესობის მთავრობა" ყოველთვის მზად არის მოისმინოს საბჭოთა მთავრობის წინადადებანი, რამდენადაც საქმე შეეხება გარანტიებს პროპაგანდის საკითხში.

თუ იმ წინადადებაში, რომელიც ინგლისის მთავრობამ ნორვეგიის მეშვეობით გადმოგვცა, ლაპარაკი იყო დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის პროცედურაზე, ეხლა ლაპარაკია პირდაპირ წინასწარ პირობებზე ცნობისათვის.

ინგლისის „მუშათა" მთავრობა წინადადებას აძლევს საბჭოთა მთავრობას—გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები მოსალაპარაკებლად და ამავე დროს მხოლოდ იმ შემთხვევაში სცნობს შესაძლებლად დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას, თუ ეს მოლაპარაკება დადებითად დამთავრდება. ამრიგად, ბოლდუინის „გულის დაწყვეტა" სავსებით საფუძვლიანია. მაგრამ, რა თქმა უნდა, უსირცხვილოდ მოტყუებულია ინგლისის მუშათა კლასი, რომელმაც დაუჯერა მუშათა პარტიის საარჩევნო დეკლარაციებს იმის შესახებ, რომ ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ მათი პირველი ნაბიჯი იქნება ნორმალური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირთან.

მუშათა პარტიის ოფიციალურ პროგრამაში, რომელიც დამტკიცებულ იქნა არჩევნების წინ, ვკითხულობთ: „თუმცა მუშათა მთავრობა უკუაგდებს რუსეთის მთავრობის ჩარევას სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში, იგი მაინც დაუყოვნებლივ გადასდგამს ნაბიჯებს სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად საბჭოთა მთავრობასთან, გადასჭრის ყველა სადავო საკითხს ხელშეკრულების ან სხვა რაიმე წესით და ყოველ ღონეს იხმარს ვაჭრობის აღორძინებისათვის საბჭოთა რუსეთთან".

თუ რა „დაუყოვნებლივ" შეუდგა მუშათა პარტიის მთავრობა თავისი საარჩევნო გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოწესრიგებას, ამას მოწმობს სამარცხვინო ისტორია მაკდონალდის მიკიბულ-მოკიბული ნაბიჯებისა „რუსეთის საკითხის" ირგვლივ, იმის ცდები, რომ ეს საკითხი შეთანხმებიათ შეერთებული შტატების მთავრობასთან, თეთრი ძაფით გაბლანდული მითითებანი დომინიონებზე, და ბოლოს, განცხადება იმის შესახებ, რომ მთავრობა დაიცავს იმ პრინციპებს, რომლებიც გამოთქმულია საბჭოთა მთავრობისათვის 1924 წლის ნოემბერს გაგზავნილ ნოტაში. ამ ნოტაზე მითითება იმას ნიშნავს „ინგლისის შინაურ საქმეებში ჩაურევლობას", თუმცა თვით ეს ბრალდება წარმოიშვა იმ ყალბი „ზინოვიევის წერილი"-ს გამო, რომელიც ყალბად იყო გამოცხადებული თვით მაკდონალდის მიერ.

ჰენდერსონის უარით — დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნას დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან—მუშათა პარტიის მთავრობამ უჩვენა მთელს ქვეყანას, რომ იგი რეაქციონური იმპერიალისტური ბურჟუაზიის პირდაპირ აგენტს წარმოადგენს.

როგორც თავისი პროგრამის ყველა სხვა პუნქტში,—საძაგელი პროფკავშირული კანონის გაუქმების, სამთო მრეწველობაში 7 საათის სამუშაო დღის დაბრუნებისა და რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხებში,—ისე საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საკითხში „მუშათა" მინისტრები პუნქტუალურად ითვისებენ კონსერვატიული მთავრობის პოზიციებს და თავსაც არ იწუხებენ იმისათვის, რომ შესცვალონ ამ მთავრობის არგუმენტაცია. ინგლისის მუშათა პარტია, რომელმაც ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, სავსებით გამოხატავს ევროპიული რეფორმიზმის ევოლიუციას: ის მუშათა კლასთან და კომუნიზმთან კაპიტალის ბრძოლის პირდაპირ იარაღად გადაიქცა.

პირველ მთავარ და აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ დამყარებულ იქნას დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის, წარმოადგენს სრული და აბსოლიუტური თანასწორობა იმ მხარეთა, რომელნიც მოლაპარაკებას აწარმოებენ. არასოდეს არ დათანხმებულა საბჭოთა მთავრობა, რომ დიპლომატიური მოლაპარაკების დროს იგი აბუჩად აეგდოთ, ჩაეთვალათ ისეთ ქვეყნად, რომლის მიმართაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რაიმე შემზღუდველი ღონისძიებანი. ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მოგვარება უპირველესად ყოვლისა თვით ინგლისისთვისაა ხელსაყრელი. ინგლისი, თუ უფრო მეტად არა, ნაკლებად არ არის დაინტერესებული საბჭოთა ბაზრით, ვიდრე საბჭოთა კავშირი ინგლისის ბაზრით. არ არის და არც შეიძლება არსებობდეს რაიმე საფუძველი იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა დაემორჩილოს იმ უაზრო პირობებს, რომელთაც, ბოლდუინის ჩაგონებით, ამომრჩეველთა თავხედური მოტყუების გზით, საბჭოთა მთავრობას წაუყენებენ ეგრედწოდებულ მუშათა მინისტრები.

უკანასკნელი დროის განმავლობაში ასობით შეიძლება ჩამოითვალოს ინგლისის მეტად ავტორიტეტული და საქმიანი (მათ შორის კონსერვატიული) წრეების გამოსვლის შემთხვევები. ეს წრეები ენერგიულ პროტესტს აცხადებდენ შუღლმაგართა მთავრობის იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ზიანი მოჰქონდა თვით ინგლისის ეკონომიური ინტერესებისათვის. სულ რამდენიმე დღის წინად გავლენიანი ყოველკვირეული ორგანო „ნიუ ისტეიტსმენ"-ი 20 ივლისის ნომერში სწერდა, რომ „რუსეთთან ვაჭრობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, შეიძლება ითქვას, გადაუდებელი მნიშვნელობის საკითხი, როგორც სამართლიანად იყო ნათქვამი იმ მემორანდუმში, რომელიც მაკდონალდს გადასცეს და რომელსაც ინგლისის ბევრი ვაჭარი და ფაბრიკის პატრონი აწერდა ხელს"-ო. თუ მაკდონალდი ფიქრობს, რომ რუსეთის ბაზარზე მტკიცედ ფეხის მოკიდების დროს ის შესძლებს იმ პირობების გვერდის ახვევას, რომელიც წამოყენებულია ინგლისის მრეწველთა დელეგაციის მიღების დროს პიატაკოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, იგი უხეშად სცდება.

მეტის მეტად დამახასიათებელია ის, რომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის მოგვარების საკითხში ინგლისის ბურჟუაზია უფრო მეტ გაბედულებას იჩენს, ვიდრე ცრუ მუშათა პარტია. ლიბერალების ლიდერმა ლოიდ-ჯორჯმა მთელი რიგი გამოსვლების დროს აღნიშნა, რომ საჭიროა ამ ურთიერთობის აღდგენა ყოველივე პირობის გარეშე, ხოლო გავლენიანი ლიბერალური ორგანო „მანჩესტერ გარდიან"-ი სწერდა: „სრულებით ზედმეტია ისეთი ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც რუსეთს ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაურევლობას დააკისრებს. კიდევაც რომ ჰქონდეს ადგილი ასეთს ჩარევას, მასზე ლაპარაკი შეიძლებოდა მეორე ასეთ შემთხვევამდე"-ო. მაკდონალდი და ჰენდერსონი ამ საკითხში ეთანხმებიან არა ლოიდ-ჯორჯს, არამედ კონსერვატორების ლიდერებს — ბოლდუინსა და ჩემბერლენს.

მაგრამ პროპაგანდაზე ხელის აღების მოთხოვნა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის მოგვარების საბოტაჟის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს. მეორე არა ნაკლებ საყურადღებო ხერხს წარმოადგენს ვალების საკითხი. მოწვევის იმ ტექსტიდან, რომელიც საბჭოთა მთავრობას გადაეცა და ლონდონში წარმომადგენლის გაგზავნას შეეხება, სავსებით აშკარაა, რომ მაკდონალდი ძალიან სცდილობს დაუმტკიცოს ინგლისის ბურჟუაზიას თავისი ერთგულება და ამ მხრით მან თვით ჩემბერლენსაც კი გადააჭარბა.

როგორც ცნობილია, საგარეო საქმეთა შუღლმაგარმა მინისტრმა, რომელმაც პარლამენტს წინადადება მისცა დაემტკიცებია დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან, საბჭოთა მთავრობას ბრალად დასდო მხოლოდ ინგლისის შინაურ საქმეებში ჩარევა და სრულიადაც არ მოუთხოვია მისთვის ვალების ცნობა, ვალებზე კრინტი არ დაუძრავს მას, აგრეთვე „რუსეთის საკითხის" გარშემო წარმოთქმულ სხვა სიტყვებში. იმპერიალიზმის „მუშური" ლაქიების მთავრობა კაპიტალის ინტერესების დაცვაში უფრო გულმოდგინებას იჩენს, ვიდრე ბურჟუაზიის კონსერვატიული მთავრობა იჩენდა. მაგრამ, როცა მაკდონალდის მთავრობა საკითხს სვამს ინგლისელი კაპიტალისტების პრეტენზიების შესახებ საბჭოთა კავშირის მიმართ, მას სრულიად ავიწყდება ის პრეტენზიები, რომელთა წარდგენა შეუძლია საბჭოთა კავშირს ინგლისისათვის. მთელი რიგი წლების მანძილზე ინგლისის იმპერიალიზმის შეუჩერებელმა ჩარევამ საბჭოთა რესპუბლიკების შინაურ საქმეებში, მის მიერ წარმოებულმა ბლოკადისა და ინტერვენციის პოლიტიკამ დიდი ზარალი მარტო ინგლისის მშრომელ მასებს არ მიაყენა. საბჭოთა რესპუბლიკების მუშებისა და გლეხობის მეხსიერებაში ისევ ცოცხალია მოგონება ადამიანის უამრავ მსხვერპლზე, დანგრეულ ქალაქებსა, ფაბრიკებსა და ქარხნებზე, დენიკინის, კოლჩაკის და მილერის კონტრ-რევოლიუციის საშინელებაზე, რომელნიც ეყრდნობოდნენ ინგლისის მთავრობის წყალობას და ინგლისის საოკუპაციო ჯარის უშუალო დახმარებას.

და თუ საქმე პრეტენზიამდე მივა, საბჭოთა მთავრობა ვალში არ დარჩება ინგლისის კაპიტალის მეტისმეტად გულმოდგინე დამცველებს. სწორედ ამ ჩარევის შესახებ შინაურ საქმეებში საბჭოთა მთავრობას შეეძლო გაცილებით უფრო საფუძვლიანი და მძიმე მასალის წარდგენა, ვიდრე ზინოვიევის წერილია. ეს მასალა მარტო ბლოკადას და ინტერვენციას არ შეეხება. ინგლისის აგენტების ანტისაბჭოთა მოქმედება აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში დღემდე გრძელდება. ამის თვალსაჩინო დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენენ ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზე მომხდარი ამბები. საბჭოთა მთავრობამ ძალიან კარგად უწყის იმ დიდი თანხების შესახებ, რომლებსაც ღებულობენ ინგლისის მთავრობის საიდუმლო ფონდებიდან უკრაინელი და რუსი თეთრგვარდიელები კონტრ - რევოლიუციონურ მუშაობისათვის.

მუშათა პარტიის მთავრობას განზრახული აქვს გააგრძელონ კონსერვატორების ანტისაბჭოთა პოლიტიკა, სწორეთ ის პოლიტიკა, რომლის წინააღმდეგაც იგი გამოვიდა წარსულ არჩევნებში, მოიგო რა ამით რამდენიმე მილიონი მუშის ხმა. მუშათა პარტიის ბელადთა თვითმხილება თავბრუდამსხმელი სისწრაფით მიმდინარეობს. ასეთი უტიფარი უკუგდება იმ დაპირებებისა, რომელიც მათ ჯერ კიდევ გუშინ მისცეს ინგლისის პროლეტარიატს, არ იცის მოღალატეობასა და გამცემლობაში გამოცდილი და გამოწრთობილ ევროპიული რეფორმიზმის ისტორიამ. მოტყუებული მუშები შესძლებენ დასკვნა გაუკეთონ ასეთ პოლიტიკას. ჩვენ არ ვფიქრობთ, ჩვენ არ გვგონია, რომ ინგლისის ბურჟუაზიამ ამ პოლიტიკით ბევრი რამ მოიგოს. ყალბი საბუთების შუღლმაგარმა ავტორებმა ამ პოლიტიკით უკვე მოიტეხეს კისერი. საეჭვოა, ბედმა გაუღიმოს მათ კვალზე მავალ „მუშათა" მთავრობას.

„პრავდა", 2 აგვისტო.

პირველი აგვისტო უცხოეთში

გრანდიოზული დემონსტრაცია ბერლინში

ბერლინი, 2 აგვისტო. ბერლინში, ლიუსტგარტენში, გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, მონაწილეობას იღებდა 150.000 მეტი კაცი. ბურჟუაზიულ წრეებშიც კი აღიარებენ, რომ ბერლინს დიდი ხანია არ უნახავს ასეთი გრანდიოზული დემონსტრაცია.

სოციალ-დემოკრატების კონტრ-დემონსტრაცია გაიმართა ფრიდრიხსჰაფენში (ბერლინის გარეუბანი), მაგრამ მიუხედავად დიდი აგიტაციისა, გაცილებით მცირე რიცხოვანი იყო, ვიდრე კომუნისტების დემონსტრაცია.

შვეციის მუშები დახმარებას აღუთქვამენ საბჭოთა კავშირს

სტოკჰოლმი, 2 აგვისტო. მიუხედავად პოლიციის ზომებისა, დემონსტრაციები სტოკჰოლმში დიდის ენტუზიაზმით ჩატარდა. ჯერ კიდევ ღამით მრავალ ქუჩებზე, ფილაქნებზე, გაჩნდა წარწერები, რომლებშიც მასებს მოუწოდებდნენ მონაწილეობა მიეღოთ 1-ლ აგვისტოს დემონსტრაციებში.

დილით ყველა ფაბრიკა-ქარხნებში მუშები შეუდგნენ მზადებას დემონსტრაციისათვის. სალამოსათვის მუშათა უბნებიდან დაიძრა დემონსტრანტების მწყობრი კოლონები, რომელთაც გამოჰყვა პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალ-დემოკრატიულ მანიფესტაციებზე, რომელიც კვირას გაიმართა, გაგზავნილი იყო მხოლოდ 4 პოლიციელი.

სალამოს 7 საათზე გაიმართა ორი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15.000 მუშამ. ამრიგად, ეს მიტინგი გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე საპირველმაისო მიტინგები და მონაწილეთა სიმრავლით ბევრათ სჭარბობდა სოციალ-დემოკრატების მიერ 1-ლ აგვისტოს გამართულ დემონსტრაციებს. მიტინგები გაგრძელდა ღამის 10 საათამდე. მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდნენ გერმანიის კომპარტიის წარმომადგენელს. მიღებული რეზოლიუციები აღნიშნავენ იმპერიალისტურ მისწრაფებებს შვეციის ბურჟუაზიისას, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნაში და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიის როლს, როგორც იმპერიალისტების დამხმარეების. რეზოლიუცია აცხადებს აგრეთვე, რომ შვეციის მუშები მზად არიან დაიცვან საბჭოთა კავშირი.

წითელი დღე ულან-ბატორში

ულან-ბატორი, 2 აგვისტო. წითელი დღის აღსანიშნავად, ულან-ბატორში გაიმართა დიდი, მასიური მიტინგი და მოეწყო რევოლიუციონური კარნავალი მდ. ტოლის ნაპირას, ველზე. მთავრობის, სახალხო რევოლიუციონური პარტიის და პროფკავშირების წარმომადგენელნი თავიანთ სიტყვებში ეხებოდნენ საერთაშორისო ანტიიმპერიალისტური დღის მნიშვნელობას საერთოდ და განსაკუთრებით იმ მომენტში როცა ადგილი აქვს იმპერიალისტების ახალ პროვოკაციას შორეულ აღმოსავლეთში.

მასები ერთსულოვნად იწონებდნენ ორატორების მოწოდებას საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის ხელის შეწყობის შესახებ.

პოლიციის ტერორი

საფრანგეთი

„ლიუმანიტე"-ს ნომრის დაკავება

პარიზი, 1 აგვისტო. 1 აგვისტოს წინა ღამეს სტამბის მანქანაზევე დააკავეს „ლიუმანიტე"-ს პირველ აგვისტოს ნომერი და შეაჩერეს მისი შემდეგი ბეჭდვა. დააპატიმრეს 40-მდე კომუნისტი, რომელთაც „მატენ"-ის სიტყვით, დაუმტკიცდათ „პირველ აგვისტოს მზადებაში მონაწილეობა". უკვე ხელმოწერილია 58 ორდერი უცხოელების დაპატიმრებისა და გაძევების შესახებ (ადს).

„შეთქმულთა ძებნაში"

პარიზი, 1 აგვისტო. ჰავასის სააგენტოს ცნობით, პოლიციამ დააპატიმრა ივრის (პარიზის გარეუბანი) თვითმართველობის მოსამსახურე, გვარად გავი. დაპატიმრებულს აბრალებენ სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში მონაწილეობას. დაპატიმრებულის ბინაზე აღმოაჩინეს ისეთი საბუთები, რომლებიც ეხებიან პარიზის გარეუბნებში ტელეფონის ქსელის მოწყობას. (ადს).

პარიზი, 1 აგვისტო. პარიზში „ლიუმანიტე"-ს თანამშრომელს ლაკანს მიუსაჯეს სამი წლით დაპატიმრება, „ლუმანიტე"-ს პასუხისმგებელ რედაქტორს დენის მიუსაჯეს ხუთი წლით დაპატიმრება (ხელმეორედ მიუსაჯეს) და საფრანგეთის კომპარტიის ც. კ.-ის წევრს ბუტონიეს—ორი წლით დაპატიმრება იმ წერილის დაბეჭდვისათვის, რომელიც ჯარისკაცებს ურჩობისაკენ მოუწოდებდა.

გერმანია

იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო და საბჭოთა კავშირის დასაცავად ბრძოლისაკენ

ბერლინი, 1 აგვისტო. ომის წინააღმდეგ მებრძოლმა ბერლინის კომიტეტმა შეიმუშავა იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო და საბჭოთა კავშირის დასაცავი ბრძოლის ვრცელი პროგრამა საერთაშორისო წითელი დღის—1 აგვისტოს შემდეგი დროისათვის.

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცების მიზნით, ბერლინის კომიტეტმა დაადგინა —მიმართოს სოლიდარობის დეკლარაციით ვარშავის, პარიზის და პრაღის კომიტეტს, ხოლო სექტემბერში პოლონეთის საზღვარზე ჩაატაროს გერმანელი და პოლონელი მუშების ინტერნაციონალური დაძმობილება.

შემდეგ კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავს, რომ კომიტეტს თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია—ეხლავე შეუდგეს მზადებას ბერლინის საწარმოთა მუშათა დელეგატების მოსაწვევად ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავზე, რომ ამ დღეს ახლად დადასტურდეს ბერლინის მუშათა კლასის მტკიცე სოლიდარობა საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებთან (ადს).

ფინეთი

დემონსტრაციების აკრძალვა

ჰელსინგფორსი, 1 აგვისტო. ფინეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა აკრძალა დემონსტრაციების და მანიფესტაციების გამართვა. 1 აგვისტოს. პოლიციას ნაბრძანები აქვს — ძალით ჩაახშოს დემონსტრაციების და მიტინგების გამართვის ყოველგვარი ცდა (ადს)

პოლონეთი

ახალი დაპატიმრებანი

ვარშავა, 2 აგვისტო. როგორც გაზეთები იუწყებიან, ლოძში პოლიციამ აღმოაჩინა კომუნისტური ლიტერატურა. იპოვეს აგრეთვე კომპარტიისა და კომკავშირის ლოძის ორგანიზაციების ოქმები. ამასთან დაკავშირებით პოლიციამ დიდძალი ხალხი დააპატიმრა. (ადს).

ბელგია

ვანდერველდე „ემზადება"

ბრიუსელი, 1 აგვისტო. ბელგიის მთავრობამ საერთაშორისო წითელი დღის წინააღმდეგ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უმთავრესად უცხოელი მუშების წინააღმდეგ არიან მიმართულნი. უცხოელ მუშებს მთავრობა ემუქრება დაუყოვნებლივი გაძევებით კომუნისტურ დემონსტრაციებში მცირეოდენი მონაწილეობისთვისაც კი. ლიეჟიდან უკვე გადასახლებულ იქნა ბევრი უცხოელი მუშა. (ადს).

პარიზი, 1 აგვისტო. ბელგიის ყველა სამრეწველო ცენტრში კომპარტიის სადგომებში და კომუნისტების ბინებში მოხდა ჩხრეკა და დაპატიმრება. დაპატიმრებულ უცხოელ მუშებს ერეკებიან სახელმწიფოს საზღვრებიდან. (ადს).

უნგრეთი

ბუდაპეშტის პოლიცია ემზადება

ვენა, 1 აგვისტო. უნგრეთის პრესის ცნობით, ბუდაპეშტის მუშათა რაიონებში ამ ბოლო დროს ავრცელებენ უნგრეთის არალეგალური კომპარტიის მრავალ მოწოდებას. უნგრეთის კომპარტია მოუწოდებს მშრომელთ —მიუხედავად აკრძალვისა, გამართონ 1-ლ აგვისტოს დემონსტრაციები. მოწოდებას აღფრთოვანებით ხვდებიან განსაკუთრებით მუშა ახალგაზრდები, იმპერიალისტური ომის ინვალიდები და უმუშევრები.

პოლიცია იუწყება, რომ ბუდაპეშტში ჩავიდა კომუნისტების ჯგუფი საერთაშორისო წითელი დღის ჩასატარებლად. ბუდაპეშტში 1-ლ აგვისტოს აკრძალეს ყოველგვარი შეკრება ქუჩაში. პოლიციას ნაბრძანები აქვს, რომ პოლიციამ „ძირიანად აღმოფხვრას დემონსტრაციის გამართვის ყოველგვარი ცდა". (ადს).

„როტე-ფანე"-ს კონფისკაცია

ვენა, 1 აგვისტო. დააპატიმრეს რამდენიმე პირი და დააკავეს „როტე ფანე" იმის გამო, რომ იგი, მიუხედავად აკრძალვისა, მოუწოდებდა 1 აგვისტოს დემონსტრაციების გამართვისაკენ. (ადს).

სამხრეთ-სლავია

დაეძებენ კომუნისტურ ორგანიზაციებს

ვენა, 1 აგვისტო. ზაგრებში პოლიცია ემზადება 1 აგვისტოსათვის. ყველგან დაეძებენ კომუნისტურ ორგანიზაციებს. ხელთ იგდეს კომკავშირელთა არალეგალური გაზეთის „ახალგაზრდა ბოლშევიკი"-ს 1.000 ეგზემპლიარი. გრძელდება მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება.

გამოქვეყნებულია ბრძანება, რომელიც სასტიკი რეპრესიებით ემუქრება მუშებს, თუ ისინი არ იმუშავებენ 1 აგვისტოს. პოლიციის ნაბრძანები აქვს—მიმართოს იარაღს დემონსტრანტებისა და მიტინგების მომწყობთა ოდნავი წინააღმდეგობისათვის (ადს).

ლატვია

„დემოკრატიული" მინისტრების რეპრესიები

რიგა, 1 აგვისტო. გაჩხრიკეს და დააპატიმრეს მრავალი მოქალაქე. დახურეს პროფკავშირთა გაზეთი „სტრადნიეკს უნ ზენიეკს"-ი. შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ რიგაში და, საერთოდ, ლატვიაში არავითარი დემონსტრაცია არ იქნება დაშვებული, უმნიშვნელო ცდაც კი მკაფიოდ იქნება აღმოფხვრილი (ადს).

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ბოლდუინი მაკდონალდის საგარეო პოლიტიკის შესახებ

ლონდონი, 1 აგვისტო. პრესტონის დამატებით არჩევნებში ბოლდუინი ამტკიცებდა, რომ მუშათა პარტიის მთავრობა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის და რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხში არსებითად კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკას განაგრძობს.

„თუ მე განსაზღვრული პოლიტიკის ტარებისათვის შემცვალეს, — განაცხადა ბოლდუინმა,—ხოლო ხალხს სხვა პოლიტიკის გატარება მიაჩნია საჭიროდ, მაშინ მე განა უფლება არა მაქვს პროტესტი განვაცხადო, როდესაც ვხედავ, რომ ყველაფერი ის, რაც ხდება, წარმოადგენს სხვა პირის მიერ ჩემი პოლიტიკის განხორციელებას და მეტს არაფერს". (ადს).

მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებას

ლონდონი, 1 აგვისტო. შოტლანდიის საქმეთა მინისტრს ადამსონს და მიწათ-მოქმედების მინისტრს ნოელ ბეკსტონს ეწვია თევზის მრეწველობის წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელმაც გადაჭრით მოითხოვა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლება.

მინისტრები დელეგაციას შეჰპირდნენ, რომ გულდასმით განიხილავენ მათ განცხადებას, ამასთან სთქვეს, რომ 1 აგვისტოდან საგარეო ვაჭრობის კრედიტების გარანტიის კანონმდებლობა საბჭოთა კავშირთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებებზედაც გავრცელდება. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

მასიური ანტიიმპერიალისტური დემონსტრაციები უცხოეთში

პოლიციის თავდასხმა დემონსტრაციაზე

ვარშავა, 2 აგვისტო. დემონსტრაციები ვარშავაში დაიწყო 1 აგვისტოს დილიდანვე. პირველი დემონსტრაცია შესდგა „კინის კარების მოედანზე". პოლიციამ გაფანტა დემონსტრაციები და დააპატიმრა 9 კაცი. მეორე დემონსტრაცია შესდგა ლეშნოს ქუჩის ყურეში. პოლიციის რაზმები, რომელნიც ჩასაფრებული იყვნენ ეზოებში, თავს დაესხნენ დემონსტრანტებს. ისინი ხმლებით და თოფის კონდახებით დაერივნენ დემონსტრანტებს. ნაცემია და დაჭრილია მრავალი დემონსტრანტი. დილის 11 საათზე დემონსტრაცია შესდგა საპატიმრო პავიაკის მახლობლათ. აღნიშნულ საპატიმროს პოლიტპატიმარნი მიესალმენ დემონსტრანტებს რევოლიუციონური ლოზუნგებით და „ინტერნაციონალი"-ს სიმღერით.

დილის დემონსტრაციებთან დაკავშირებით შუადღისას შესდგა მთავრობის კომისიის სასწრაფო თათბირი, რომელზედაც გამოიმუშავეს მეორე დღეს მოსალოდნელ დემონსტრაციების საწინააღმდეგო ზომები. თათბირის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერებულ იქნა პოლიციის რაზმები. მიუხედავათ ამისა, დემონსტრაციები განახლებულ იქნა ყველა მუშათა უბანში. პოლიციამ გარეკა დემონსტრაციები და მრავალი კაცი დააპატიმრა. (ადს).

სუნ იატ-სენის ქვრივის დეპეშა

ბერლინი, 2 აგვისტო. ანტიიმპერიალისტურმა ლიგამ შანხაიდან, სუნ-იატსენის ქვრივისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ „იმ დროს, როდესაც ყველა დაჩაგრული ხალხები შემჭიდროებულ ფრონტს ჰქმნიან იმპერიალისტური ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ, ნანკინის რეაქციონური მთავრობა თავის ძალებს უერთებს იმპერიალისტებისას ჩინეთის ხალხის დასაჩაგრავად. გომინდანის ლიდერების კონტრ-რევოლიუციონერობა და გამცემლობა აშკარაა. მათ გაჰყიდეს რევოლიუცია და ამჟამად უნდათ საბჭოთა კავშირთან ომი გამოიწვიონ. ჩინეთის მასები იბრძოლებენ რევოლიუციის მხარეზე რეაქციის წინააღმდეგ (ადს).

საერთაშორისო წითელი დღე ინგლისში

ლონდონი, 2 აგვისტო. დემონსტრაციები და მიტინგები, რომლებიც პირველ აგვისტოს საერთაშორისო წითელი დღის აღსანიშნავად მოეწყო უმთავრეს ცენტრებში, ყოველივე სერიოზულ შეტაკების გარეშე ჩატარდა, გარდა გლაზგოსა, სადაც პოლიციელების დიდი რაზმი შეეცადა ხელი შეეშალა დემონსტრაციისათვის. მიტინგი მაინც შესდგა, თუმცა პოლიციელები იწერდნენ ორატორების ვინაობას იმ მიზნით, რომ შემდეგ ისინი სასამართლოში გამოიწვიონ. ორატორებ შორის იყო აგრეთვე ინგლისის კომპარტიის ერთ ერთი ლიდერი გალახერი, რომელმაც თავის სიტყვაში, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ინგლისის დღევანდელი მთავრობა ფარულად ამზადებს ომსა (ადს).

ომის საწინააღმდეგო მიტინგები და დემონსტრაციები გერმანიაში

ბერლინი, 2 აგვისტო. ომის საწინააღმდეგო მიტინგებსა და დემონსტრაციებს ყველგან გერმანიაში აურაცხელი ხალხი დაესწრო და მათ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს. თითქმის ყველა ქალაქში მთელი რიგი საწარმოთა მუშებმა ერთი საათით ადრე შესწყვიტეს მუშაობა. საამშენებლო დარგის მუშებმა, როგორც ბერლინში, ისე მთელ რიგ პროვინციალურ ქალაქებში, მუშაობა ჩვეულებრივზე ერთი საათით ადრე შესწყვიტეს. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს დემონსტრაციებმა და კრებებმა ბერლინში. ქალაქის ყველა ნაწილიდან მოემართებოდნენ უთვალავი დემონსტრანტები ურიცხვი დროშებითა და პლაკატებით.

მქუხარე ტაშის ცემით ხვდებოდნენ ამას წინად შექმნილი ანტიფაშისტური მუშათა თავდაცვის რაზმებს და ანტიფაშისტური ახალგაზრდა გვარდიის რაზმებს. ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ომის ინვალიდების დიდი ჯგუფი, რომელიც დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა (ადს).

ბრიანს ნდობა გამოუცხადეს

პარიზი, 1 აგვისტო. დეპუტატთა პალატამ 325 ხმით, 136 ხმის წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა ბრიანის მთავრობას.

ნდობის ფორმულის წინააღმდეგ ხმა მისცეს რესპუბლიკანური დემოკრატიული კავშირის დეპუტატებმა, მათ შორის, მარენმა და სარეპარაციო კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ დიუბუამ, რომლებმაც ბრიანს ვერ აპატიეს ვალის შესახებ დადებულ შეთანხმებათა რატიფიკაცია.

ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა 104 რადიკალმა, 3 რესპუბლიკანელმა სოციალისტმა, ერთმა სოციალისტმა (კლიუმი), 8 ზომიერმა, 5 მემარჯვენემ და 7 „ველურმა" დეპუტატმა.

„ერ ნუველ"-ი (მემარცხენე ბლოკის ორგანო) აღნიშნავს, რომ პალატაში ფრონსარის (სოციალისტი) გამოსვლა მთავრობის წინააღმდეგ რბილი იყოო. მთავრობას სასტიკ ოპოზიციაში ჩაუდგნენ კომუნისტები, რომელთა სახელითაც კაშენმა პარლამენტის ტრიბუნიდან ამხილა იმ ეგრედწოდებული მემარცხენე საგარეო პოლიტიკის იმპერიალისტური შინაარსი, რომელსაც ბრიანი ანხორციელებს ყველა ბურჟუაზიული პარტიის თანხმობით. კაშენმა აგრეთვე ამხილა ტარდიეს შინაგანი პოლიტიკის ანტიმუშური ხასიათი, იმ პოლიტიკის,რომელსაც სოციალისტები არავითარ არსებით წინააღმდეგობას არ უწევენ.

მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებისა და საგადასახადო შეღავათების კანონპროექტის მიღების შემდეგ, დეპუტატთა პალატის სესია დაიხურა (ადს).

წყნარ ოკეანეს პროფკავშირთა კონგრესი

იაპონელი ფაშისტების შიში

ტოკიო, 1 აგვისტო. ფაშისტური „ნი-ხონ"-ი [illegible] აღნიშნავს პროფკავშირთა წყნარ-ოკეანეს კონგრესის გახსნას ვლადივოსტოკში. გაზეთი სწერს, რომ იაპონიის პროფმოძრაობის მემარცხენე ფრთის ზოგიერთმა ბელადებმა, ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, ალბად უკვე მოახერხეს იაპონიიდან გამგზავრება კონგრესზე.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საფრანგეთის პოლიციამ საქმე იშოვა

მასიური ანტიიმპერიალისტური დემონსტრაციები

მოსკოვი, 3 აგვისტო. მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ მთელ საფრანგეთში მძლავრი ანტიიმპერიალისტური დემონსტრაციები ჩატარდა. მიუხედავად საალყო წესებისა, ქალაქ კლიშში, არჟანტეიეში, ივრში, სან-დენიში, „სიტროენ"-ის ფაბრიკებში და სხვაგან მუშებმა მოაწყვეს მასიური დემონსტრაციები. 2 აგვისტოს დილით პოლიციამ პროვინციაში დააპატიმრა 200 კაცი. **ღამის პირველ საათზე** პოლიცია შეიჭრა „ლ,უმანიტე"-ს რედაქციაში და კონფისკაცია უყო გაზეთს, რომელსაც სათაურად ჰქონდა: „დღეს ყველანი გამოვიდეთ ქუჩებში". რედაქცია არ დაიბნა, 1 ნახ. საათის შემდეგ **დაბეჭდილ იქნა ახალი კომუნისტური გაზეთი „ინტერნაციონალი".** გაზეთი მოუწოდებს საფრანგეთის პროლეტარებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ანტიიმპერიალისტურ დემონსტრაციებში. პოლიცია ეძებს ქალაქში გაზეთის ნომრებს და კონფისკაციას უშვება მათ.

გერმანიის სოციალ - დემოკრატია 1-ლ აგვისტოს წინააღმდეგ

მოსკოვი, 1 აგვისტო. „პრავდა"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება:

31 ივლისს, საერთაშორისო წითელი დღის მოლოდინში გერმანიის კომუნისტურ პარტიამ, მიუხედავად პოლიციის წინააღმდეგობისა, მოაწყო ორი მასიური დემონსტრაცია. სოციალ-დემოკრატებმა ამაზე უპასუხეს კონტრ-დემონსტრაციით. კომპარტიის დროშების ქვეშ დარაზმულ დემონსტრანტებმა ჩაიარეს ლოზუნგებით: „ძირს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის პროვოკატორები—სოციალ - ფაშისტები", „ძირს საბჭოთა კავშირიდან საქართველოს ჩამოშორების მომხრენი, რომელნიც ხელს უწყობენ საერთაშორისო კაპიტალს ამიერ-კავკასიის ნავთის სიმდიდრეთა დაპატრონებაში". გერმანიის კომუნისტური პარტია მოუწოდებს მუშათა კლასს, ყველანი, როგორც ერთი კაცი, დადგნენ ლენინისა და ლიბკნეხტის დროშის ქვეშ.

ინგლისის გამოუქვეყნებელი ნოტა საბჭოთა კავშირის სახელზე

მოსკოვი, 3 აგვისტო. „პრავდა"-ს ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება:

ინგლისის პრესა სდუმს დოვგალევსკისა და ჰენდერსონის მოლაპარაკების შესახებ. კომუნისტურ გაზეთმა „უორკერ ლაიფ"-მა დაბეჭდა საბჭოთა კავშირის სახელზე გაგზავნილ ინგლისის გამოუქვეყნებული ნოტის ტექსტი. ამ ნოტის თანახმად ინგლისის მთავრობა წინადადებას აძლევს საბჭოთა მთავრობას გამოგზავნოს წარმომადგენლები მოლაპარაკების საწარმოებლად.

გაზეთის სიტყვით ჰენდერსონი მოლაპარაკების დროს **მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან კომპენსაციას იმ ინგლისელ კაპიტალისტებისათვის, რომელნიც დაზარალდნენ რუსეთის ნავთის სარეწაოების კონფისკაციით, და კომინტერნის საქმიანობისათვის წინააღმდეგობის გაწევას ბრიტანეთის ტერიტორიის ყველა ნაწილში.** „უორკერს ლაიფ"-ი სწერს: მაკდონალდი და ჰენდერსონი შანტაჟს მიმართავენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, რომ როგორმე დასტყუონ მას მუშებისა და გლეხების ფულები ინგლისელ კაპიტალისტების ჯიბეების გასასქელებლად. გაზეთი მოუწოდებს მუშებს მხარი დაუჭირონ ინგლისის კომპარტიას ანტისაბჭოთა „მუშათა" მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სად შესდგება საზღვაო განიარაღების კონფერენცია

მოსკოვი, 1 აგვისტო. რეიტერის სააგენტო იტყობინება ვაშინგტონიდან, რომ გუვერმა სურვილი გამოსთქვა საზღვაო განიარაღების კონფერენცია მოწვეულ იქნას ლონდონში. კონფერენცია უნდა შესდგეს ვაშინგტონის შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.

მოსკოვის პრესა ბაქოს ორგანიზაციის შესახებ

მოსკოვი, 3 აგვისტო. მოსკოვის თითქმის ყველა გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ ბაქოს პარტიულ ორგანიზაციის მდგომარეობის საკითხებს. „პრავდა"-მ მოათავსა სპეციალური განყოფილება შემდეგი სათაურით: „ბაქოს პარტიული მასები ასწორებენ ძველ ხელმძღვანელთა შეცდომებს". გაზეთები ბეჭდავენ ბაქოს პრესის მიმოხილვას. „პრავდა"-ს სიტყვით „ბაკინსკი რაბოჩი" გააფთრებით იცავდა ხელმძღვანელთა შეცდომებს; წერილებსა და შენიშვნებს, რომელნიც წარმოადგენდნენ ხელმძღვანელთა კრიტიკას, „ბაკინსკი რაბოჩი" არ ბეჭდავდა. ამ გაზეთის რედაქციაში არ იყვნენ პარტიის ხაზის მტკიცე გამტარებელნი. თვითკრიტიკის ჩახშობა ბაქოს ორგანიზაციაში გამოაშკარავებულ უმსგავსობათა ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს, ასეთია გაზეთების საერთო დასკვნა.

ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე

მოსკოვი, 1 აგვისტო. 31 ივლისამდე მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებში ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე შეგროვილია ხელის მოწერა 9.345.000 მანეთის რაოდენობით, ლენინგრადში ხელის მოწერამ 4 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიიმპერიალისტური დღე საბჭოთა კავშირში

მიტინგები და დემონსტრაციები მოსკოვში

მოსკოვი, 2 აგვისტო. 1-ლ აგვისტოს მოსკოვსა და მოსკოვის ყველა რაიონში გაიმართა დემონსტრაციები, მრავალი ათასი მშრომელის მონაწილეობით. ყველგან მოეწყო მფრინავი მიტინგები. გრანდიოზულ მიტინგს, რომელიც კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყო, დაესწრნენ ლუგანსკის მემაღაროებისა და ბერლინის მუშების წარმომადგენლები, საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის წევრები და მთავრობის წევრები, აგრეთვე მ. გორკი.

მიტინგზე გამოვიდნენ ამხ. ბაუმანი, კალინინი, გორკი, 1-ლ მაისს ბერლინში მომხდარი ბრძოლების მონაწილე და სხვ. კრასნაია პრესნაზე გამოვიდა ამხ. რუძუტაკი.

რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ყველგან მოეწყო მიტინგები და დემონსტრაციები. ბევრ ქალაქში ძმური კომპარტიების წარმომადგენლები გამოვიდნენ. მიტინგები და დემონსტრაციები ტარდებოდა ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისა და შრომის ნაყოფიერების აწევის ლოზუნგით. ყირიმში ბევრ საწარმოში, დაწესებულებაში და საბჭოთა მეურნეობაში გამოტანილ იქნა დადგენილება საბჭოთა კავშირის დაცვის განსამტკიცებელ ფონდში ერთი დღის ხელფასის გადარიცხვის შესახებ. ლენინგრადში დემონსტრაციებს აურაცხელი ხალხი დაესწრო. ერთ რაიონის მიტინგზე გამოვიდა ამხ. ბელაკუნი, მეორეზე—იტალიის კომპარტიის წევრი. (ადს).

ხარკოვში

ხარკოვი, 2 აგვისტოს. საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშაობის გათავების შემდეგ გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა და მახლობელი სოფლების გლეხთა მძლავრი დემონსტრაცია. თითქმის მთელი სამი საათი გაგრძელდა დემონსტრაციების მსვლელობა.

ჩინელ მუშათა კოლონას მიჰქონდა პლაკატები შემდეგი ლოზუნგით: „სიკვდილი ჩინელ გენერლებს“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლოს“.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხარკოვის ორთქლმავლების მშენებელი ქარხნის მუშების მრავალრიცხოვანმა კოლონამ, რომელსაც წინ მუშათა შეიარაღებული ბატალიონი მიუძღოდა.

ცენტრალური ტრიბუნიდან დემონსტრანტებს ესალმებოდნენ მთავრობის წევრები, რომლებიც დემონსტრანტები ერთსულოვანი ძახილით უპასუხებდნენ.

ხარკოვის განაპირა რაიონებში მოეწყო მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებშიაც 25.000 კაცზე მეტმა მიიღო მონაწილეობა. (ადს).

ბაქოს პროლეტარიატის მრისხანე დემონსტრაცია

ბაქო, 2 აგვისტო. ბაქოს პროლეტარიატის მრისხანე პროტესტმა იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ მიიღო გრანდიოზული დემონსტრაციის ხასიათი, რომელიც ხუთ საათს გაგრძელდა. ბაქოს პროლეტარიატმა, რომელმაც ჩინეთის მილიტარისტების პროვოკაციაზე უპასუხა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე მასიური ხელისმოწერით, 1-ლ აგვისტოს ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ყოველ წუთს მზად არის დადგეს ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე.

საღამოს მრავალრიცხოვანი ჩირაღდნები და მაშხალები ანათებდნენ დემონსტრანტების პლაკატებისა და დროშების ზღვას. აღფრთოვანებით შეხვდნენ ბაქოს სარეწაოებზე მომუშავე ჩინელ მუშების კოლონას. თავისუფლების მოედანზე ტრიბუნიდან დემონსტრანტებს მიესალმა საკ. კომპ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **მამია ორახელაშვილი**. მისი სიტყვები: „გაუმარჯოს ბაქოს პროლეტარიატს—ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანიზატორსა და მებაირახტრეს“,—დაფარა დემონსტრანტების ტაშმა და ყიჟინამ: „**გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს მშვიდობიანობას და ამიერ-კავკასიის ხალხების ძმურ თანამშრომლობას!**“

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს და სომხეთის მუშათა დელეგაციებმა. დემონსტრაციას დაესწრნენ თურქეთის და სპარსეთის გენერალური საკონსულოების წარმომადგენლები.

დემონსტრაციები სომხეთში

ერევანი, 2 აგვისტო. პირველ აგვისტოს ნაშუადღევის 5 საათიდან ქალაქის ყველა ცენტრალური ქუჩა დემონსტრანტებით გაიჭედა. დემონსტრანტები მიემართებოდნენ პლაკატებით, ლოზუნგებით და დროშებით ქალაქის მოედნისაკენ, რომელიც აღმასკომის შენობის წინ მდებარეობს. საღამოს 6 საათზე მოედანზე გაიხსნა მიტინგი, რომელზედაც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა სომხეთის კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მდივანმა ამხ. ხანჯიანმა.

მიტინგის მონაწილეები დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ ბაქოს და თბილისის მუშათა დელეგაციების და ერევნის მაზრის მშრომელთა წარმომადგენლების გამოჩენას.

მაზრებიდან მიღებული ცნობებით, საერთაშორისო წითელმა დღემ დიდის აღფრთოვანებით ჩაიარა მთელ სომხეთში (ადს).

ლენინაკანი, 2 აგვისტო. საერთაშორისო წითელმა დღემ იშვიათის აღფრთოვანებით ჩაიარა. დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღო 25.000 კაცზე მეტმა.

საღამოს თეატრში გაიმართა ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება საერთაშორისო წითელი დღის მნიშვნელობის შესახებ. სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება იმპერიალისტური მთავრობების პროვოკაციული გამოსვლების საპასუხოდ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხისათვის ხელის შეწყობის შესახებ.

ღამის 10 საათზე გაისმა განგაშის ხმა და ნახევარი საათის შემდეგ ლენინის სახელობის დიდი მოედანი გაივსო ალაშქრით გამოწყობილ კომკავშირელებით. იქვე მოეწყო სახელდახელო მიტინგი. რომელზედაც განმარტებულ იქნა საცდელ საგანგაშო გამოწვევის მნიშვნელობა.

მიტინგის შემდეგ გაიმართა დემონსტრაციები ქუჩებში, რამაც გასტანა ნაშუადღევის პირველ საათამდე (ადს).

საქართველოში

აჭარისტანში

ბათომი, 2 აგვისტო. საერთაშორისო წითელი დღე ბათომში აღინიშნა მუშების მძლავრი დემონსტრაციებით. საღამოს პროფსაბჭოს შენობასთან თავი მოიყარეს მშრომელთა მრავალათასიანმა კოლონებმა დროშებით. გაიმართა მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ნორვეგიელ მეზღვაურთა ჯგუფმა და ინგლისის, ჩინეთის, იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის და პოლონეთის მუშების წარმომადგენლებმა, რომელთაც მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ. მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა უცხოელმა ამხანაგებმა სრული სოლიდარობა განუცხადეს საბჭოთა კავშირის მუშებს და სთქვეს, რომ მსოფლიოს მშრომელი მასები არ დაუშვებენ ახალ სისხლის ღვრას და დაიცავენ საბჭოთა კავშირს.

ფოთი

ფოთი, 2 აგვისტო. შესდგა ფოთის მშრომელთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. მთელ რიგ ორატორების გამოსვლის შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიც ფოთელი მუშები პროტესტს აცხადებენ იმპერიალისტების საომარი სამზადისის წინააღმდეგ, მუშებმა მოითხოვეს—დაიწყოს თანხების შეკრება აეროპლან „ფოთელი პროლეტარი“-ს ასაგებად. (ადს).

ჭიათურა

ჭიათურა, 2 აგვისტო (საკ. კორ.) 1-ლ აგვისტოს ჭიათურაში მოეწყო გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 6000-ზე მეტმა კაცმა. დემონსტრანტების უმრავლესობას შეადგენდნენ ჭიათურის მაღაროების ქარხნის მუშები. დემონსტრაცია წითელი დროშებით, მუსიკით და ლოზუნგებით: „ძირს იმპერიალისტური ომი!“, „გაუმარჯოს კომინტერნს — მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის შტაბს ომის წინააღმდეგ ბრძოლაში!“ და სხვ. შეჩერდა მოედანზე, სადაც გაიმართა მიტინგი. მუშები აღშფოთებას გამოსთქვამდენ იმპერიალისტების და მათ მიერ დაქირავებული სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკის გამო, რომელიც მიზნათ ისახავს ახალი ხოცვა-ჟლეტის მოწყობას.

მუშა ორატორები მოითხოვდნენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ფართოდ გავრცელებას. სიტყვების დამთავრების შემდეგ ერთ-ერთ მემაღაროეს შემოაქვს წინადადება თვითმფრინავ „ჭიათურის მაღაროელი“-ს აგებისათვის ერთი დღიური ხელფასის გადადების შესახებ, რასაც მიტინგი აღფრთოვანებით და ტაშის ცემით შეხვდა.

შალვა ბიწაძე.

თეთრგვარდიელები ემზადებიან

საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის

ტოკიო, 1 აგვისტო. როგორც ჩან-ჩუნის იაპონური გაზეთი იუწყება, მანჯურიაში აწყობენ თეთრგვარდიელთა რაზმებს. უკვე მოგროვილია 2.000 კაცზე მეტი.

ჩინეთის სამხედრო სარდლობასა და თეთრგვარდიელების ხელმძღვანელებს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის ძალით რუსები დამოუკიდებლად მოაწყობენ პარტიზანულ თავდასხმებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საკუთარი სარდლობის ხელმძღვანელობით, ჩინეთის სარდლობამ კი მათ უნდა მიაწოდოს იარაღი და სამხედრო მოწყობილება. (ადს).

სარეპარაციო კონფერენციის წინ

საფრანგეთის დელეგაციის შემადგენლობა კონფერენციაზე

პარიზი, 1 აგვისტო. როგორც გაზეთები იუწყებიან, სარეპარაციო საკითხების განსახილველად მოწვეულ დიპლომატიურ კონფერენციაზე ჰააგაში, საფრანგეთის დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ბრიანი, შერონი (ფინანსთა მინისტრი), ბერტელო (საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი), მორო (ბანკ დე ფრანსის თავმჯდომარე) და სხვ.

ინგლისის დელეგატები

ლონდონი, 1 აგვისტო. როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის დელეგატებად მომავალ სარეპარაციო კონფერენციაზე ჰააგაში დანიშნულია **სნოუდენი, ჰენდერსონი** და **გრეჰემი**. (ადს)

ტყვარჩელის გამგეობა

მოსკოვი, 2 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა „ტყვარჩელსტროი“-ს გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. გორბაჩევი, მოადგილე ამხ. ალანია და წევრი ამხ. იუშკინი და გრანკინი. (ადს)

მთლიანი მუშური ფრონტით

გუშინ საღამოს მუშათა ახალი კლუბის საზაფხულო დარბაზში შესდგა თბილისის მუშების საზეიმო სხდომა, რომელიც მოწვეული იყო ბაქოდან, სომხეთიდან და აჭარისტანიდან პირველი აგვისტოს დემონსტრაციებზე დასასწრებლათ ჩამოსულ მუშათა დელეგაციების საპატივსაცემოთ.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენელმა ამხ. ანთიძემ, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის გაერთიანებისა და დაახლოების მნიშვნელობა სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისათვის.

შემდეგ საზეიმო სხდომაზე მოსმენილ იქნა ბაქოელი მუშების წარმომადგენლის ამხ. ვასეროს მისალმება.

— ბაქოელმა მუშებმა მე დამავალეს,—განაცხადა ამხ. ვასერმა,—გადმოგცეთ თქვენ, რომ ბაქოს პროლეტარიატი, რომელიც ჩაქუჩით სჭედავს მომავალს, არ ივიწყებს თოფსაც და საჭიროების დროს იარაღით ხელში გამოვა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური მშენებლობის დასაცავად ყოველგვარი მტრებისაგან.

— ბაქოდან გამგზავრებისას,—სთქვა ბაქოს სამთამადნო მუშების დელეგატმა ამხ. ნახიროვმა,— მე დამავალეს გადმომეცა თბილისელი მუშებისათვის, რომ ბაქოელმა მუშებმა გადასწყვიტეს ენერგიულად შეუწყონ ხელი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გასაღების საქმეს. ბაქოელ მუშებს განზრახვა გვაქვს სესხის გასაღების საქმეში შეჯიბრება მოვაწყოთ თბილისელ მუშებთან.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე აჭარისტანის მშრომელთა სახელით ამხ. მ. სარაძემ აჭარისტანის პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელმა ამხ. დოლიძემ და სომხეთის მუშების წარმომადგენელმა ამხ. სტეპანიანმა, რომლებმაც აღნიშნეს ამიერ-კავკასიის მუშების დახლოვების მნიშვნელობა და განაცხადეს, რომ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი მზად არის გაათკეცებული ენერგიით აწარმოოს მუშაობა შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად და ინდუსტრიალიზაციის ტემპის დასაჩქარებლად, რაც საუკეთესო პასუხი იქნება საბჭოთა კავშირის ყველა მტრების პროვოკაციაზე.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

ბაქოს პარტაქტივი ძველ ხელმძღვანელთა შეცდომების შესახებ

ბაქო, 2 აგვისტო. 2 აგვისტოს ბაქოს პარტიულ აქტივზე, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრებთან ერთად, მთელ დღეს გაგრძელდა კამათი ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ორახელაშვილის მოხსენების ირგვლივ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესახებ აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მოხსენების გამო; კამათში მონაწილეობა მიიღო 25 კაცმა— ამხანაგებმა ვართანოვმა, ლოლობრიძემ, რუდინმა, ბაგიროვმა, გიკალომ, არტაკმა და სხვებმა.

ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი:

რეზოლიუცია

„ბაქოს პარტიული აქტივი, რომელმაც მოისმინა ამხ. ორახელაშვილის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესახებ აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მოხსენების გამო და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესახებ, ესალმება ამ გადაწყვეტილებებს და მთლიანად და სავსებით უერთდება მათ.

პარტიული აქტივი აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის და ბაქოს ხელმძღვანელობაში (სანამ იგი შეიცვლებოდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის 1 ივლისის დადგენილებით) ადგილი ჰქონდა ოჯახური ურთიერთობის, კარიერისტობისა და ურთიერთ - გამოსარჩლების ელემენტებს. ხელმძღვანელობის მუშაობა მიმდინარეობდა მასების კონტროლის გარეშე და მშრომელთა ფართო ფენები დარაზმულნი არ იყვნენ კონკრეტულ დეფექტებთან საბრძოლველად. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა და ბაქოს კომიტეტმა ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობის მთელი სისტემა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდების მიხედვით თვითკრიტიკის შესახებ. მასები საკმაოდ არ იყვნენ ჩაბმულნი სოციალისტური მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში, სუსტად და გაუბედავად ხდებოდა მუშების დაწინაურება, განსაკუთრებით აპარატების საშუალო და უმაღლეს საფეხურებში.

თვითკრიტიკა ხშირად გარეგნულად საჩვენებელ ხასიათს ატარებდა, ხოლო ნამდვილი ბოლშევიკური მომქმედი თვითკრიტიკა ქვედა ფენებიდან გაშლილი იყო სრულიად არასაკმაოდ. ბრძოლა თვითკრიტიკის ჩახშობასთან არა თუ სუსტად ტარდება, არამედ ამ ჩახშობას ზოგჯერ თვით პარტიული ხელმძღვანელობა ახორციელებდა (არტაკის საქმე). აქტივი აღნიშნავს, რომ ბაილოველი ამხანაგები (არტაკი, შატუნოვსკაია, ვორონინი და სხვები) თავის დროზე მიუთითებდნენ ხელმძღვანელობის შეცდომებზე თვითკრიტიკის, მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის სფეროში, კადრების საკითხში და სხვ. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობამ სრულებით არ მიიღო მხედველობაში ეს სწორი მითითებანი, არამედ, პირიქით, ცილისმწამებლებად და უპრინციპო მოკინკლავეებად გამოაცხადა ბაილოველი ამხანაგები.

აზერბეიჯანის და ბაქოს ხელმძღვანელობამ ვერ შეიგნო უდიდესი მნიშვნელობა თვითკრიტიკის ლოზუნგისა სოციალისტური რეკონსტრუქციის ეპოქაში და ამ ლოზუნგის განხორციელება არ დასვა თავისი მუშაობის ცენტრში.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად სწარმოებდა ბრძოლა გახრწნის ელემენტებთან საბჭოთა და პარტიულ აპარატში, ხოლო გახრწნის ზოგიერთი ფაქტი, ოჯახური ურთიერთობის გამო, იჩქმალებოდა და არ აღწევდა ფართო პარტიული პროლეტარული საზოგადოებრიობის ყურამდე (გორობენკოს და მოროზის საქმე, სადგურის გადაღმა რაიონის საქმე, ლენინის რაიონის პასუხისმგებელ პარტმუშაკთა საქმე, საფაბრიკო-საქარხნო რაიონულ საბჭოს საქმე და მთელი რიგი სხვა საქმეები).

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ც. კ.-ს და ბაქოს კომიტეტის ყველა ეს უხეში პოლიტიკური შეცდომა უმთავრესად აიხსნება ხელმძღვანელობის სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობით. ხელმძღვანელობას სათავეში უდგანან მთელი რიგი ისეთი მუშაკები, რომელნიც მოწყვეტილნი იყვნენ მასებს, რომელთაც დაკარგული ჰქონდათ პარტიული ალღო,—ხოლო მათი ნაწილი პირდაპირ გახრწნილი იყო. ამიტომ ბაქოს აქტივს სავსებით სწორად და დროულად მიაჩნია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ჩარევა აზერბეიჯანის საქმეებში და აზერბეიჯანის ხელმძღვანელობის შეცვლა.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის მოხსენების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელება მოითხოვს აზერბეიჯანის პარტიული ორგანიზაციის, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის დარაზმვას დასახული ამოცანების ირგვლივ. ამისათვის საჭიროა მთელი მუშაობის ძირფესვიანად გადაკეთება. გადამჭრელი ბრძოლა ოჯახური ურთიერთობის ყოველ გამოხატულებასთან და გახრწნის ცალკე ფაქტებთან პარტიულ რიგებში დადებით შედეგს გაიღებს მხოლოდ ფართოდ გაშლილი თვითკრიტიკის პირობებში. ამიტომ საჭიროა უაღრესად გადამჭრელი ზომებით ბრძოლა თვითკრიტიკის ყოველ ჩახშობასთან. აქტივს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ყველა იმ უმსგავსოების დეტალურად და ღრმად გამოკვლევა, რაც ძველი ხელმძღვანელობის დროს ხდებოდა. აქტივი მოითხოვს, რომ მიცემულ იქნენ პარტიულ და საბჭოთა სამართალში დამნაშავენი ყველა ამ უმსგავსოებაში და მათი მფარველნი.

უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელიც ორგანიზაციის წინაშე სდგას, წარმოადგენს მუშათა ფართო და გადამჭრელი დაწინაურება საპასუხისმგებლო სამუშაოზე პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა აპარატებში. ამასთან ეს დაწინაურება უნდა ხდებოდეს მუშათა მასების აქტიური მონაწილეობითა და მათ კონტროლ ქვეშ.

აქტივი აღნიშნავს, რომ დღემდე სრულებით არ იყო საკმარისად გამოყენებული აზერბეიჯანის სოფელზე ბაქოს პროლეტარიატის ორგანიზაციული და პოლიტიკური გავლენა. საჭიროა ახლო მომავალში გადამჭრელი ზომების მიღება სოფელში კომუნისტური გავლენის განსამტკიცებლად. ერთ-ერთ ასეთ ზომად აქტივს მიაჩნია ის, რომ მოკლე ხანში მობილიზაციის წესით გაწვეულ იქნას 200—800 გამოხრძმედილი კომუნისტი და უპარტიო მუშა სოფელში სამუშაოდ.

აქტივი ადგენს: მიენდოს აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ახალ პრეზიდიუმს—გადასინჯოს იმ შემმოწმებელი კომისიის შემადგენლობა, რომელიც გამოყოფილ იქნა პარტიის წმენდისათვის. ამავე დროს აქტივი ადგენს: მოწვეულ იქნას ვადაზე ადრე აზერბეიჯანის საგანგებო პარტიული ყრილობა და ვადაზე ადრევე ბაქოს პარტიული კონფერენცია.

ბაქოს ორგანიზაცია ყოველთვის პირველ რიგებში იბრძოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცებისათვის. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ბაქოს ორგანიზაცია მომავალში შეიქმნება ინტერნაციონალიზმის დასაყრდენი ამიერ-კავკასიაში და ამიერ-კავკასიის ფედერაციის ბურჯი. ბაქოს ორგანიზაცია გადამჭრელ პასუხს გასცემს ყოველგვარ ნაციონალისტურ ტენდენციას, რომელიც ახე თუ ისე სცდილობს დაასუსტოს ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

ბაქოს ორგანიზაცია სასტიკად სდევნიდა ყოველგვარ გადახრას სწორი ლენინური ხაზიდან და, ამნაირად ყოველთვის თავდადებით იბრძოდა პარტიის გენერალური ხაზისათვის. მთელი პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა ამჟამად ყველაზე უფრო საშიშ მემარჯვენე გადახრასთან. პარტიული აქტივი არწმუნებს საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ს, რომ ბაქოს ორგანიზაცია შემდგომი მუშაობის დროს უფრო გააძლიერებს ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზისათვის და ბრძოლას მემარჯვენე გადახრასთან.

პარტიული აქტივი არწმუნებს საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, რომ მთელი ბაქოს და მთელი აზერბეიჯანის ორგანიზაციები ბოლშევიკურად გაასწორებენ წარსულში დაშვებულ შეცდომებს და რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის დადგენილება, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ისა და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით, სასწრაფოდ და გადაჭრით იქნება ცხოვრებაში გატარებული.

გაუმარჯოს პარტიის ლენინურ შტაბს—საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ს!

გაუმარჯოს საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!“

სესინის საქმე

ბაქო, 2 აგვისტო. 2 აგვისტოს ბალახანის მუშათა კლუბში გაიხსნა აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს სხდომა.

ირჩევა საქმე სესინის და აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ლენინის რაიონული კომიტეტის სხვა პასუხისმგებელი პარტიული მუშაკებისა, რომელთაც ჰბრალდებათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის სახელის გატეხა და ხულიგნობა. სესინს, გარდა ამისა, ჰბრალდება მკვლელობის განზრახვა.

საქმე ირჩევა საჩვენებელი წესით. მუშები უდიდეს ინტერესს იჩენენ პროცესისადმი. სასამართლოს სხდომას 1.500-მდე კაცი ესწრება. თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს წევრი ამხ. ლევიკინა, სახალხო მსაჯულებად არიან სურახანის მე-3 სარეწაოდან ამხ. იმენიტოვი და (გამოტოვებულია), საზოგადოებრივი ბრალმდებელი — „ელექტროტოკ“-ის მუშა ამხ. ერმოლაევი.

ბრალდებულნი არიან: აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ლენინის რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ყოფილი გამგე სესინი, რაიონული კლუბის გამგეობის ყოფილი თავმჯდ. იაკობ ტანხელსონი, რიკოვის სახელობის ქარხნის უჯრედის ყოფილი მდივანი პავლოვი, მემაღაროეთა კავშირის რაიონული განყოფილების კულტგანის ყოფილი გამგე ევსტიგნეევი, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ლენინის რაიონული კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე რუნდაევი, პარტსკოლის ყოფილი კურსანტი ალექსანდრე ტანხელსონი, რაიონული კომიტეტის ყოფილი პროპაგანდისტი დუბნერი, მუშათა ცენტრალური კოოპერატივის ყოფილი ინსტრუქტორი ბარანოვი. შვიდი ბრალდებული —აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ყოფილი წევრია, მერვე, ალექსანდრე ტანხელსონი — კანდიდატი.

საბრალმდებლო დასკვნა ხატავს იმის სურათს, თუ რაიონის გახრწნილმა მუშაკებმა როგორ გამართეს ბუზოვნაში ღვინოში ცემა-ტყეპა, როგორ შევარდნენ სხვის სახლებში, ასტეხეს სროლა, გამოეკიდნენ ქალიშვილებს და სხვ.

პირველად დაკითხულ იქნა სესინი. იგი დამნაშავედ სცნობს თავს საბჭოთა ხელისუფლებისათვის სახელის გატეხაში და ამბობს, რომ ბევრი რამ აღარ ახსოვს, მაგრამ სასამართლო დაწვრილებით არკვევს ლოთობის ყველა დეტალს. ზაგულბაში სვამდნენ არაყს და ღვინოს კონსერვების ცარიელი კოლოფებით. ბოთლებისაგან გამართეს სასროლო ნიშნები და მარტო სესინმა 9 ტყვია ესროლა ნიშნებს. შემდეგ იბანავეს, მერე ისევ სროლა ასტეხეს. მოტაცებული ნაგანის ძებნა, უცხო ხალხისათვის სროლის ატეხა და ცემა-ტყეპა ბუზოვნაში, — ყოველივე ეს დამთავრდა სესინის დაძინებით ღობის ძირში.

სესინი 9 წელიწადს იყო პარტიულ სამუშაოზე.

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, ბევრს სვამს თუ არა სესინი, იგი უპასუხებს—სამჯერ-ოთხჯერ წელიწადში. შარშან მიიღო პარტიული სასჯელი ლოთობისათვის, მაგრამ მაინც დარჩა რაიონულ კომიტეტში სამუშაოდ.

შემდეგ დაკითხული იქნა სესინის „თანამებრძოლი“ იაკობ ტანხელსონი, რომელიც არეულს, მაგრამ ფრთხილ ჩვენებას იძლევა. ლაპარაკი ბუზოვნაში წასვლის შესახებ ჯერ კიდევ ერთი კვირის წინად იყო. „გვინდოდა დალევა,—ამბობს ტანხელსონი,—მაგრამ არავის ეგონა, თუ ეს მოხდებოდა“.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამხ. ერმოლაევი ეკითხება ბრალდებულს, — რომელ პარტიულ დადგენილებაშია ნათქვამი, რომ შეიძლება მოქალაქეს თავს დაესხა იარაღით ხელში?

ჩიხში მომწყვდეული ტანხელსონი უარყოფს იმას, რაც ხუთი წუთის წინად სთქვა. ის აცხადებს, რომ კარგად ვერ ხედავს და ამის დასამტკიცებლად სასამართლოს უდგენს თავის სათვალეებს.

შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებული პავლოვი, რომელიც ჯერ დათვრა სესინის კამპანიაში, შემდეგ სროლა ასტეხა, ექვსჯერ გაისროლა ზღვისაკენ, შემდეგ მონაწილეობა მიიღო საერთო შეჯახებაში გარეშე ექსკურსიასთან—ბუზოვნაში. მიზნად ჰქონდა ამხანაგის (სესინის) ხსნა.

სახალხო მსაჯული ამხ. იმენიტოვი, რომელიც, როგორც სჩანს, ქალაქ ბალაშოვიდან იცნობს პავლოვს (პავლოვი ბალაშოვიდანაა), ეკითხება უკანასკნელს, — იცის თუ არა მან პავლოვის მაღაზია ბალაშოვში. აღმოჩნდა, რომ ეს მისი ბიძის მაღაზია ყოფილა.

ზაგულბის მოქეიფეთა ისტორიის მეოთხე მონაწილე — ევსტიგნეევი 5 წლის განმავლობაში კომკავშირში მუშაობდა, მან სამი წელი პარტიულ კურსებზე დაჰყო ლენინგრადში. იყო პროპაგანდისტად პარტიის ლენინის რაიკომში. ის არ სცნობს თავს დამნაშავედ და ამტკიცებს, რომ, პირიქით, ის არწმუნებდა სესინსა და სხვებს შეეწყვიტათ შეჯიბრება სროლაში (ბოთლებსა და კონსერვებს ისროდნენ).

არაფერ ახალს არ უმატებს საქმეს სვერდლოვის უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტის რუდაევის დაკითხვა. რუნდაევი არა სვამს, მაგრამ კამპანიაში მონაწილეობა მაინც სიამოვნებით მიიღო. მას გაუგონია, რომ სესინს საძაგელი ხასიათი აქვს და რომ სესინს ჩვეულებად აქვს ხშირად რევოლვერისთვის ხელის წავლება. რუდაევის დაკითხვით დასრულდა სასამართლოს პირველი სხდომა, რომელმაც საკმაო სისრულით დაადასტურა გახრწნილი მუშაკების ჯგუფის წინააღმდეგ შედგენილი საბრალმდებლო აქტის ძირითადი ცნობები.

წითელი არმია მედგრად სდგას საბჭოთა ქვეყნის სადარაჯოზე

მუშების დელეგაცია ამხ. ავქსენტიევსკისთან

თბილისში 1 აგვისტოს ჩამოვიდნენ ბაქოს, ერევნის, ლენინაკანის და ბათომის მუშების დელეგაციები, რომლებიც ეწვიენ კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის შტაბს, სადაც მათ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის ჯარის უფროსთან ამხ. **ავქსენტიევსკისთან**.

ამხ. ავქსენტიევსკიმ დელეგატებს გააცნო წითელი არმიის მიღწევები და მომავალი მანევრების ამოცანები. ამხ. ავქსენტიევსკიმ განაცხადა: „ჩვენი ძალა უდიდესია. ჩვენი ცოდნის კეთილსინდისიერმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ კავკასიის წითელდროშოვანმა არმიამ უდიდეს შედეგებს მიაღწია მებრძოლთა მომზადების საქმეში. ჩვენ არა გვაქვს უხეში შეცდომები, დიდი დეფექტები, გვაქვს მხოლოდ წვრილმანი დეფექტები, ისეთი, როგორიც თქვენც გაქვთ საწარმოში. მუშათა კლასის დახმარებით ჩვენ დავძლევთ ყველა სიძნელეს“.

შემდეგ ამხ. ავქსენტიევსკიმ ჩამოსთვალა წარმატებანი ბრძოლის ტექნიკაში და მიღწევები სხვა დარგებში და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მებრძოლების, მეთაურების და პოლიტმუშაკების სახელით მუშათა დელეგაციას გადასცა სამი თხოვნა:

პირველი—წითელ არმიას მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მიაჩნია თავის რეზერვად და სურს ისიც მომზადებული იყოს.

მეორე—წითელი არმია თავის ძალ-ღონეს ანდომებს სოციალისტურ მშენებლობა, თავისი მცირე ხელფასიდან სდებს თანხებს ინდუსტრიალიზაციისათვის და ამისაკენ მოუწოდებს მუშებსაც.

საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს დელეგაციების წარმომადგენლებმა: ამხ. ბაბრიელიანმა (სომხეთი), ვასინმა (ბაქო), სტეპანიანმა (ბათომი), გალდსენმა (ბაქო) და სხვ., რომლებმაც ამხ. აქსენტიევსკის განუცხადეს, რომ პროლეტარიატი ფხიზლად ადევნებს თვალს მიმდინარე ამბებს: „თუ საჭირო იქნება,—განაცხადეს დელეგატებმა,—ჩვენ დაუყოვნებლივ მივატოვებთ დაზგას და ხელში ავიღებთ თოფს. ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე კვლავ განვაგრძობთ ენერგიულ მუშაობას და უეჭველად მივაღწევთ დიდ წარმატებას სოციალიზმის მშენებლობაში“.

როგორ ჩატარდება ამიერ-კავკასიის პიონერთა შეკრება

ამიერ - კავკასიის პიონერთა შეკრების პირველ დღეს — 4 აგვისტოს, თბილისში ნაშუადღევის ორ საათიდანვე ყველა პიონერ - კოლექტივებში და მოედნებზე იწყება დემონსტრაციაში მონაწილეთა შეგროვება. ნაშუადღევის 4 საათზე თბილისის ორგანიზაციის პიონერ - კოლექტივები, საბავშო მოედნებისა და ბაღების ბავშები იკრიბებიან ცალ - ცალკე რაიონების შესაკრებ პუნქტებში. აქედან ქორესის ქუჩით და ელბაქიძის აღმართით დემონსტრაცია მიემართება რუსთაველის გამზირისაკენ, სადაც ისინი განრიგდებიან. დემონსტრაციის წინ პირველად გაივლიან ჩამოსული სტუმრები — აზერბეიჯანიდან, სომხეთიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან 600-მდე პიონერ - დელეგატები.



ლენინის სახ. სადელ-საჩვენებელი სკოლის პიონერები აწყობენ საკუთარ ელექტრო-სადგურს.



ამზადებენ კედლის გაზეთს

ალღუმს ღებულობს პიონერთა შეკრების ჩამტარებელი ამიერ - კავკასიის შტაბი, რის შემდეგ სათანადოთ მოწყობილ ტრიბუნიდან იწყება მისალმებანი, პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლებისა.

5 აგვისტოს, დილით, იმართება მასიური თავისუფალი ვარჯიშობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ თბილისის ორგანიზაციის პიონერები ა.-კ. რესპუბლიკების პიონერ დელეგატებთან ერთად. ვარჯიშობა ჩატარდება ფიზ-კულტურის ლენინის სახელობის სტადიონზე. საღამოთი ამავე მოედანზე ეწყობა შეჯიბრება ფიზკულტურის სხვადასხვა სახეებში.

6 აგვისტოს, დილით ეწყობა ექსკურსია ზაჰესში პიონერ - დელეგატებისათვის (გასამგზავრებლად დათმობილი აქვთ 7 საზაფხულო ვაგონი). დელეგატები დაათვალიერებენ ზაჰესს, რის შემდეგ გაიმართება პიონერთა შეჯიბრება სროლაში.



მოხსენებაზე.

7 აგვისტოს, რუსთაველის თეატრში იმართება კონფერენცია ყველა პიონერ-დელეგატების თანადასწრებით. კონფერენციაზე ჩატარდება მოხსენება ოთხ ენაზე, პიონერ - ორგანიზაციის მორიგი ამოცანების შესახებ. მოხსენების შემდეგ ყველა რესპუბლიკებიდან პატაკით გამოდიან პიონერები თავიანთი მიღწევების შესახებ. 8 აგვისტოს ეწყობა კარნავალი.

9 აგვისტოს ეწყობა პიონერ დელეგატების გაცილება საკავშირო შეკრებაზე მოსკოვში.

დღეს

დღეს თბილისში ჩამოვლენ პიონერ-დელეგატები ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებიდან. მიღებული ცნობებით მოსკოვიდან უკვე გამოემგზავრა თბილისში ნორვეგიის პიონერთა დელეგაცია.

მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის ამოცანები

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება

1. სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ეხლანდელ პერიოდში, როცა განსაკუთრებული სიმწვავით სდგას საკითხი იმის შესახებ, რომ მოხდეს მუშათა კლასის და გლეხობის ფართო მასების მთელი ენერგიის მობილიზაცია ხუთწლიანი გეგმის გასატარებლად, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განსამტკიცებლად, ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა მშრომელ ქალთა ფართო მასების ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ჯერ კიდევ ხდება სათანადო მობილიზაცია მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ფართო მასების აქტიობისა, რომელიც თანდათან იზრდება და რომელმაც ყველაზე უფრო ნათელი გამოხატულება ჰპოვა საბჭოების გადარჩევის კამპანიაში, და არ არის ეს აქტიობა, ორგანიზაციულად განმტკიცებული პარტიისა და საბჭოთა წინაშე მდგომი ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად (თვითღირებულების შემცირება, ბრძოლა სამუშაოს გაცდენასთან, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა, ბრძოლა მოსავლიანობისათვის და სხვ.), რაც კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში ცალკე შემთხვევების დროს ანტისაბჭოთა ელემენტებს უადვილებს—მშრომელ - ქალთა ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ფენები გამოიყენონ პარტიისა და საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ეს გარემოება პარტიისა და მუშა-ქალთა განყოფილებისაგან მოითხოვს მეტად მძაფრ მუშაობას და ამ მუშაობის ფორმების და მეთოდების (სადელეგატო კრებები, წრეები, კლუბები და სხ.) მაქსიმალურად შეგუებას მუშა-ქალთა, მოჯამაგირე-ქალთა და გლეხ-ქალთა მასების გაძლიერებული აქტიობის მობილიზაციასთან და ორგანიზაციულად განმტკიცებასთან, რათა ამ მასებმა პრაქტიკული მონაწილეობა მიიღონ პარტიისა და საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად, კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს მათი აქტიობა და მომზადება ამ მიზნებისათვის.

2. მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებების ამოცანები აღდგენის პერიოდში მდგომარეობდნენ უმთავრესად იმაში, რომ მათ გაეჩაღებიათ მუშაობა მშრომელ-ქალთა ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ფენების ასამაღლებლად განსაზღვრულ დონემდე (პარტიაში შესვლა, საბჭოების არჩევნები, პროფესიონალური ორგანიზაციების არჩევნები). აქტივი, რომელიც ამ მუშაობის პროცესში იზრდებოდა, საერთო აქტივს უერთდებოდა. მუშა-ქალთა განყოფილებები არ აწარმოებდნენ სპეციალურ მუშაობას ამ აქტივის მოსამზადებლად, აღსარიცხავად და დასაწინაურებლად, არ ემყარებოდნენ ამ აქტივს თავიანთი გავლენის გასაფართოვებლად მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ფართო მასებზე.

ამის გამო ქალთა აქტივი საკმაოდ არ იყო დაწინაურებული ხელმძღვანელ სამუშაოზე, არ იყო დაწინაურებული ისე, როგორც ეს შეეფერებოდა მთელი ქალთა მასის აქტიობის ზრდას და კულტურული დონის ამაღლებას, (საბჭოების წევრებად მუშა-ქალები და გლეხ-ქალები ირიცხებოდნენ ასი ათასობით, ხელმძღვანელ საბჭოთა სამუშაოზე კი—ათობით, პარტიის წევრებად ირიცხებოდნენ ათი ათასობით; ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე კი—ერთეულები). ამ შეუფარდებლობამ განსაკუთრებით იჩინა თავი ც. კ.-ის იმ დირექტივის გატარების დროს, რომელიც შეეხება ქალთა უფრო გაბედულად დაწინაურებას ხელმძღვანელ სამუშაოზე.

მთელის სიფართოვით არ იყო დასმული საზოგადოებრივ ასპარეზზე მომუშავე მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ყოფა-ცხოვრების ნაშთებისაგან განთავისუფლებისათვის წარმოებული მუშაობის შეგუების ამოცანა. ღონისძიებანი ყოფა-ცხოვრების სფეროში უმთავრესად მიმართული იყო მუშა-ქალთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად წარმოებაში მუშაობის დროს.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ეხლანდელ პერიოდში, როცა პარტიის წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დადგა კადრების, მათი სისწორით განაწილების და მომზადების საკითხი, მთავარ ამოცანას წარმოადგენს მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა გადაჭრით და მასიურად დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე. ამის გამო პარტკომების მუშა-ქალთა განყოფილებებმა და საორგანიზაციო განმანაწილებელმა განყოფილებებმა ბევრად უფრო მეტი ყურადღება, ვიდრე დღემდე, უნდა მიაქციონ მუშაობას ქალთა კადრების აღსარიცხავად, მათ მოსამზადებლად და დასაწინაურებლად.

3. ის ამოცანები, რომლებიც პარტიის წინაშე დგანან მშრომელ ქალთა მასებს შორის მუშაობაში, მუშა-ქალთა განყოფილებებისაგან მოითხოვენ საბჭოთა, კოოპერატიულ, პროფესიონალურ, სამეურნეო და საზოგადო ორგანიზაციებში მომუშავე მთელი ქალთა აქტივის მაქსიმალურად გამოყენებას ამ აქტივზე დაყრდნობის მორიგი საკითხების (შრომის, ყოფა - ცხოვრების და კულტურის) დამუშავების დროს, აქტივის ჩაბმას ამ საკითხების დასახმელად და განსახილველად სათანადო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

უფრო მეტად დაყრდნობა აქტივზე მუშა-ქალთა განყოფილებისაგან მოითხოვს მუშაობას ამ აქტივის შესასწავლად, უწყებათა და დაწესებულებათა კავშირის დამყარებას საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილებებთან იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს მუშაობაში კომუნისტ-ქალების დაწინაურებას და შერჩეულ იქნან საუკეთესო მუშა-ქალები ხელმძღვანელ დამოუკიდებელ სამუშაოზე დასაწინაურებლად.

ამასთან ერთად საბჭოებმა, პროფკავშირებმა, კოოპერაციამ და სამეურნეო ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ ღონისძიებანი ამა თუ იმ ორგანიზაციაში მომუშავე ქალთა აქტივის კვალიფიკაციის ასაწევად საზოგადო და სპეციალური კურსების და წრეების მოწყობით.

4. მიმაგრებული ქალების გავლენის გაძლიერება მშრომელ ქალთა ფართო მასებზე, მუშა-ქალთა აქტიობის ზრდა, მათი კლასობრივი თვითშეგნების და კულტურული დონის აწევა მოითხოვს ქალთა შრომის შემდგომ გადიდებას წარმოებაში. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა უზრუნველყოფს მრეწველობის უდიდეს ზრდას რეკონსტრუქციისა და სოციალისტური რაციონალიზაციის ნიადაგზე, რომელიც, მუშახელის ექსპლოატაციაზე დამყარებული კაპიტალისტური რაციონალიზაციისაგან განსხვავებით, საშუალებას გვაძლევს დედობის ფუნქციის ზიანის მიუყენებლად, გავაფართოვოთ ქალთა შრომის გამოყენება წარმოებაში, სხვათა შორის მძიმე ინდუსტრიაშიც; ამის გამო ც. კ-ს საჭიროდ მიაჩნია, რომ სათანადო საბჭოთა და საზოგადო ორგანიზაციებმა (სახელმწ. საგეგმო კომისია, შრომის სახ. კომისარიატი, ს. მ. უ. საბჭო და პროფკავშირები) უზრუნველჰყონ ქალთა მუშა-ხელის ჩაბმა მრეწველობის ყველა დარგში, როგორც ეს გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, ამას შეუფარდონ ქალთა მუშა-ხელის მომზადების გეგმა, უზრუნველჰყონ ქალთა რაოდენობის განუწყვეტელი ზრდა კვალიფიც. მუშახელის მომზადების ყველა საფეხურზე (საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები, შრომის ცენტრ. ინსტიტუტი, სადამოს კურსები, ტეხნიკური უმაღლესი სასწავლებლები).

ქალთა მუშა-ხელის გამოყენების გეგმის განხორციელების დროს ც. კ.-ი წინადადებას იძლევა მხედველობაში იქნას მიღებული:

ა) ქალთა შრომის გამოყენების გადიდება მძიმე ინდუსტრიაში, განსაკუთრებით მექანიკურ ცეხებში და მანქანათმშენებლობაში და მრეწველობის იმ დარგებში, სადაც ქალთა შრომა საკმაოდ არ არის გამოყენებული, მაგრამ სადაც იგი სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას (ხის დამუშავების, ტყავის და სხვა წარმოებაში).

ბ) მუშა-ქალთა შრომის სასტიკი აკრძალვა მიწის ქვეშ, ამავე დროს ქალთა შრომის გამოყენების გაფართოვება მიწის ზედაპირის მუშაობაში;

გ) საკერავი, ქაღალდის, გემო-კვების; ხაფეიქრო; ქიმიური მრეწველობის მაქსიმალურად შევსება ქალთა შრომით;

დ) ქალთა შრომის გამოყენების მაქსიმალურად გაფართოვება სავაჭრო და საბჭოთა აპარატებში და ტრანსპორტზე (კონდუქტორები, შოფერები და სხ.);

ე) სასოფლო-სამეურნეო მუშა-ქალთა და მოჯამაგირეთა მუდმივი შრომის გამოყენების გაფართოვება საბჭოთა მეურნეობებში და პლანტაციებში;

5. პარტიის მუშაობა ქალთა მშრომელ მასებს შორის სოფლად უნდა დაექვემდებაროს ძირითად ამოცანას—გლეხ-ქალთა და მოჯამაგირე-ქალთა აქტიობის მობილიზაციას სოფლის მეურნეობის განსავითარებლად კოლექტივიზაციის, კოოპერაციაში მასიურად შეკავშირების და მოსავლიანობის გადიდების ნიადაგზე.

საჭიროა საფუძვლიანად შეიცვალოს გლეხ ქალთა შორის მთელი მასიური მუშაობის შინაარსი იმ მიმართულებით, რომ გაძლიერდეს კოლექტივიზაციის და საწარმოო კოოპერაციაში შეკავშირების საკითხების პროპაგანდა, გაჩაღდეს ფართო საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სასოფლოთაშორისო სატრაქტორო სადგურის ირგვლივ, გაძლიერდეს დათვალიერება ამ დარგში (მაგალითად, ექსკურსიები, საუკეთესო კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში), გაჩაღდეს სისტემატიური აგროპროპაგანდა გლეხ-ქალებს შორის (სასოფლო-სამეურნეო წრეები, კურსები, პრესა), და მთელი ახსნა-განმარტებითი მუშაობა შეეგუოს პრაქტიკულ მუშაობას სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

გლეხ-ქალთა ჩაბმას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რადგან სოფლის მეურნეობის ბევრ დარგში სჭარბობს გლეხ-ქალთა შრომა.

ც. კ. განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ იმაზე, თუ რამდენად იქნება გაშლილი მუშაობა გლეხ-ქალთა შეკავშირებისა და აქტივიზაციისათვის, საგრძნობლად არის დამოკიდებული პარტიის მუშაობის წარმატება სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

ითვალისწინებს რა ამას, ც. კ. წინადადებას იძლევა:

ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირთა კავშირის ფრაქციამ უნდა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ კოოპერაციაში და კოლმეურნეობებში უფრო გადაჭრით იქნან ჩაბმულნი გლეხი-ქალები, პირველ რიგში ღარიბი და მოჯამაგირე ქალები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პურის, ბაღ-ბოსტნის და მესაქონლეობის კოოპერაციას, რომელიც ჩამორჩენილია ქალთა ჩაბმის მხრივ, ღარიბთა კოოპერაციაში შეკავშირების ფონდიდან გამოყოფილ იქნას თანხები ღარიბქალთა და მოჯამაგირეთა ჩასაბმელად კოლმეურნეობაში და კოოპერატიულ მუშაობაში.

ბ) კოლმეურნეობათა სრ. საკავშირო საბჭოს ფრაქციამ უნდა მოაგვაროს მამაკაცთა და ქალთა შრომის ხელფასის გათანასწორების (თანასწორ შრომის დროს) საკითხი კოლმეურნეობაში;

გ) მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებმა გლეხი-ქალების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში უნდა განაგრძონ მუშაობა ბავშვთა ბაგების და მშობიარეთათვის საწოლების გასაფართოვებლად; ამ მიზნით ფართოთ უნდა გამოიყენონ არა მარტო საბჭოების და კოოპერაციის თანხები, არამედ თვით მოსახლეობის თვითშემოქმედებაც (თვითდაბეგვრა). ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი მუშაობის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში (კომუნები, არტელები, სატრაქტორო კოლონები, საბჭოთა მეურნეობები), ამასთან მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ის, რომ კოლმეურნეობებში განსაზოგადოებული ყოფა-ცხოვრების დონეზე ბევრად არის დამოკიდებული კოლმეურნეობათა სიმტკიცე და შემდგომი გამაგრება;

დ) რათა საბავშო დაწესებულებებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და პლანტაციებში ჰქონდეთ მატერიალური ბაზისი, ც. კ. საჭიროდ სცნობს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახ. კომისარიატებმა დაამუშაონ ამ მიზნისათვის სპეციალური ანარიცხების საკითხი;

ე) სასოფლო-სამეურნეო ბანკის და კავშირთა კავშირის ფრაქციებმა უნდა დაამუშაონ საკითხი იმის შესახებ, რომ დაარსდეს საკრედიტო ფონდი მსხვილ კოლმეურნეობებში საზოგადო დაწესებულების მოსაწყობად;

ვ) მუშა-ქალთა განყოფილებებმა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში უნდა მოაწყონ სადელეგატო კრებები, ამასთან მათი საპროგრამო და პრაქტიკული მუშაობა უნდა შეუფარდონ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სამეურნეო განმტკიცების და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ქალთა და მოჯამაგირე-ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ძირითად ამოცანებს.

6. მუშა-ქალთა ყოფა-ცხოვრების საკითხებში მიღწეულ უნდა იქნას ამ მუშაობის განვითარების ტემპის უფრო მეტად შეთანხმება სოციალისტური მშენებლობის საერთო ტემპთან; ამასთან მთელი მუშაობა ყოფა-ცხოვრების სფეროში შეგუებულ უნდა იქნას სოციალისტურ მშენებლობაში მუშა-ქალთა მასიურად ჩაბმასთან, აქტივის გადიდებულ მოთხოვნილებათა უფრო მეტად დაკმაყოფილებასთან. ეს მოითხოვს, რომ საბჭოებმა, კოოპერაციის ყველა სისტემამ და განსაკუთრებით პროფკავშირებმა მეტი ყურადღება მიაქციონ მშრომელ-ქალთა ყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ეს მოითხოვს აგრეთვე, რომ გადიდებულ იქნას სახელმწიფო, პროფკავშირთა და კოოპერაციის თანხების ხარჯვა ამ საქმისათვის, მშრომელთა თვითშემოქმედების ჩაბმა საბავშვო დაწესებულებების, სასადილოების, სამრეცხაოების მოწყობაში. ამის გამო ც. კ.-ს საჭიროდ მიაჩნია:

ა) ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებმა, განათლების სახ. კომისარიატებმა, საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქციამ და კოოპერაციის ყველა სისტემის ფრაქციებმა სამი თვის განმავლობაში უნდა დაამუშაონ საკითხი იმის შესახებ, რომ ყოფა-ცხოვრების ყველა დაწესებულება (ბაგები, საბავშო ბაღები) შეეგუოს აქტივისტ მუშა-ქალებისათვის სამსახურის გაწევას მათი საზოგადო მუშაობის დროს;

ბ) საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქციამ და საკავშირო ს. მ. უ. საბჭომ უნდა უზრუნველჰყონ იმ კანონის განხორციელება, რომლის თანახმადაც ხელფასის ფონდიდან გადარიცხულ უნდა იქნეს ერთი მეოთხედი პროცენტი, ხოლო „ფუბ“-დან—5—10 პროც.; მათ უნდა დაამუშაონ აგრეთვე ის საკითხი, თუ რამდენად არის შესაძლო ეს კანონი გავრცელდეს ყველა საწარმოზე, მიუხედავად იქ მომუშავე ქალთა მუშა-ხელის რაოდენობისა;

გ) საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქციამ უნდა დაამუშაოს საკითხი იმის შესახებ, რომ „ფუბ“-ის თანხებიდან განსაზღვრული პროცენტები გადაირიცხოს ბავშთა სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მოსაწყობად;

დ) სამომხმარებლო და საბინაო კოოპერაციის ფრაქციებმა უნდა დაამუშაონ საკითხი იმის შესახებ, რომ გადადებულ იქნას მოგებიდან და ბრუნვიდან გადადებული ანარიცხების პროცენტი ყოფა-ცხოვრების დაწესებულებათა მოსაწყობად (ბაგები, საბავშო ბაღები, სამრეცხაოები);

ე) ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებმა ახალი საბიუჯეტო წლისათვის მიიღონ ზომები, რათა შემცირდეს ბავშთა შენახვის ღირებულება ბაგებში და ამის ხარჯზე გადიდებულ იქნას ბაგების ტევადობა.

7. ქალთა მშრომელი მასების აქტიობის უდიდესი ზრდა, რამაც თავი იჩინა საბჭოების გადარჩევის დროს, მუშა-ქალების, გლეხ-ქალების და მოჯამაგირე-ქალების ასი ათასობით არჩევა საბჭოების წევრებად, ქალების, რომლებიც პირველად არიან ჩაბმულნი საბჭოთა მშენებლობაში,—პარტიის, მუშა-ქალთა განყოფილებების და საბჭოების წინაშე აყენებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანას: საბჭოების წევრი-ქალების მიმაგრება პრაქტიკულ მუშაობაზე, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის შესწავლა, მათთვის სისტემატიური ხელმძღვანელობის გაწევა მათი ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობისათვის. ეს ამოცანები განსაკუთრებული სიმწვავით სდგებიან სასოფლო საბჭოებში თავმჯდომარეებად არჩეული მოჯამაგირე-ქალთა და გლეხ-ქალთა მიმართ, რომელთა რიცხვიც ეხლანდელ საარჩევნო კამპანიაში გაიზარდა 1-დან 7 პროცენტამდე;

ა) ამასთან დაკავშირებით ც. კ. წინადადებას აძლევს კავშირის ცაკის ფრაქციას—უზრუნველჰყოს ცენტრალური და ადგილობრივი კურსების მოწყობა ქალების საბჭოთა აქტივის, პირველ რიგში სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების მოსამზადებლად, ხოლო საოლქო კომიტეტმა და ნაციონალური კომპარტიების ცენტრ. კომიტეტებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომა, რომ საბჭოების წევრ-ქალთათვის მოეწყოს მოკლევადიანი კურსები-თათბირები;

ბ) ქალების ჩაბმა საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში ყველაზე უფრო წარმატებით შეიძლება გადასწყდეს სექციური მუშაობის საშუალებით. ამის გამო საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ ყველა სასოფლო და საქალაქო საბჭოსთან მოეწყოს კულტურულ ყოფა-ცხოვრებითი სექციები, რომლებიც თავიანთი მუშაობის ხასიათით ყველაზე უფრო ახლო იქნებიან მუშა-ქალებთან და გლეხ-ქალებთან;

გ) რადგან საბჭოების წევრ ქალთა წერა-კითხვის უცოდინარობა, რასაც ადგილი აქვს განსაკუთრებით აღმოსავლეთში, ძალიან აბრკოლებს მათ მუშაობას, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სახ. კომისარიატებმა ერთი თვის ვადაში უნდა შეიმუშაონ ღონისძიებანი საბჭოების წევრ ქალთა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის; ამ მიზნით უნდა მოეწყოს სპეციალური სკოლები და ჯგუფური სწავლება;

დ) საბჭოების წევრ ქალთა პოლიტიკური და კულტურული დონის ასაწევად და მუშაობაში მათთვის პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად წინადადება მიეცეს მუშა ქალთა განყოფილებებს—ფართოდ გამოიყენონ ქალთა და მასიური პოლიტიკური ჟურნალები და შეუკვეთონ, რომ საბჭოს ყველა წერა-კითხვის მცოდნე ამ ჟურნალებზე ხელის მომწერი იყოს;

ე) პარტორგანიზაციებმა საბჭოს წევრი ქალები—მოჯამაგირე ქალები და ღარიბი გლეხი ქალები უნდა ჩააბან ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობაში, დახმარება უნდა აღმოუჩინონ საბჭოების წევრ გლეხ ქალებს მათ პრაქტიკულ მუშაობაში;

ვ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს საბჭოთა კავშირის ცაკის ფრაქციას—მისცეს ადგილობრივ საბჭოებს მითითებანი, რომ საჭიროა ინსტრუქციების მიწოდების გაძლიერება იმ საბჭოებისათვის, რომელთა შემადგენლობაში ბევრი ქალია, განსაკუთრებით იმ საბჭოებისათვის, რომლებსაც სათავეში უდგანან მუშა და გლეხი ქალები. ამისათვის შემოღებულ უნდა იქნას სასოფლო საბჭოების და რაიონული აღმასკომების თავმჯდომარე მუშა და გლეხი-ქალების გაწვევა მოხსენებების გასაკეთებლად მაღლა მდგომ ორგანოებში.

8. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი პარტორგანიზაციები უკიდურეს გაუბედავობას იჩენენ ხელმძღვანელ დამოუკიდებელ სამუშაოზე ქალთა დაწინაურების საქმეში, ხოლო ცალკე შემთხვევაში ზოგიერთი პარტორგანიზაცია და პარტიის ზოგიერთი წევრი იჩენს სრულიად დაუფარავ გულგრილობას.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ამოცანები, რომლებიც მე-16 პარტკონფერენციამ წამოაყენა, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევენ მუშა, მოჯამაგირე და გლეხ ქალთა დაწინაურებას როგორც ხელმძღვანელ სამუშაოზე, ისე საბჭოთა, პროფკავშირული, კოოპერატიული და სამეურნეო აპარატის ყველა საფეხურში. ამ მუშაობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ როგორც საერთოდ პარტიული კომიტეტები, ისე მუშა ქალთა განყოფილებანი. პარტიული კომიტეტები შეუსუსტებლად უნდა ამოწმებდნენ არაპარტიული ორგანიზაციების ფრაქციების მუშაობას იმ მხრივ, თუ რა პრაქტიკულ ღონისძიებებს მიმართავენ ისინი ქალთა დასაწინაურებლად და დაწინაურებულ ქალთათვის დახმარების აღმოსაჩენად მათზე დაკისრებული საქმის შესრულებაში.

ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ დაწინაურებულ ქალთა მუშაობის წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იქნებიან ისინი დაკავშირებულნი მუშათა და გლეხთა ფართო მასებთან, რამდენად გამოხატავენ ამ მასების მოთხოვნილებებს პრაქტიკულ მუშაობაში და რამდენად ასწევენ თავიანთ კვალიფიკაციას.

9. მიუხედავად იმისა, რომ მუშა და გლეხ ქალთა დაწინაურებას ხელმძღვანელ სამუშაოზე ძალიან აფერხებს მათი არასაკმაო თეორიული და პრაქტიკული მომზადება, ადგილობრივი პარტორგანიზაციები და, კერძოდ, მუშა ქალთა განყოფილებები მეტად სუსტ ყურადღებას აქცევენ ქალთა აქტივის მომზადების საკითხებს.

შემდეგში საჭიროა, რომ მუშა-ქალთა განყოფილებანი თავიანთი აქტიური მონაწილეობით მუშაობაში მუშა ქალებისა და მუშათა ქალიშვილების, მოჯამაგირე და ღარიბ გლეხი ქალების მომზადებისათვის ტეხნიკუმებში, მუშფაკებში, უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში შესასვლელად, უზრუნველჰყოფდნენ სათანადო სასწავლებლებში ცენტრალური კომიტეტის მიერ ქალებისათვის დაწესებული პროცენტის შესრულებას.

მუშა ქალთა განყოფილებანი, აგიტპროპ. ბეჭდვითი განყოფილებანი და პროფკავშირთა ფრაქციები სერიოზულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ მუშაობას მუშა, მოჯამაგირე და გლეხ ქალთა გაგზავნისათვის სამეცადინოდ, კერძოდ, კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებში, უნდა აძლევდნენ შერჩეულ ამხანაგებს წინასწარი მომზადების საშუალებას სათანადო სასწავლებლებში შესასვლელად, რისთვისაც განათლების სახალხო კომისარიატის და პროფკავშირთა ძალებით უნდა მოაწყოს სპეციალური წრეები და კურსები ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობისათვის, გაანთავისუფლონ სასწავლებლებში გასაგზავნი კანდიდატი ქალები პარტიულ და საზოგადოებრივ დატვირთვისაგან, ყოველნაირად შეამსუბუქონ მათი ყოფაცხოვრების პირობები, მოათავსონ ბავშები ბაგებსა და საბავშო ბაღებში რიგს გარეშე და, თუ შესაძლებელია, მთელი დღით.

10. ცენტრალური კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს მუშაკთა კადრების შექმნის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ და მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ დღემდე თითქმის სრულებით არ მოიპოვებიან ლიკვიდატორები მუშა, მოჯამაგირე და გლეხი ქალებიდან, რომელნიც უკეთ შესძლებენ წერა-კითხვის უცოდინარ ქალთა მასების მოთხოვნილებისა და დონის აღრიცხვას და ამით უკეთ უზრუნველჰყოფენ უფრო წარმატებით ბრძოლას წერა-კითხვის უცოდინარობასთან. ამიტომ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატები მომავალი სასწავლო წლიდან საოლქო ცენტრებში შეუდგნენ ლიკვიდატორთა სპეციალური სკოლების შექმნას მუშა-ქალებისათვის, მუშათა ქალიშვილების, მოჯამაგირე და გლეხი ქალებისათვის.

11. მუშაობა სადელეგატო კრებები, რომელნიც წარმოადგენენ მუშა და გლეხ ქალთა ფართო მასებთან პარტიის კავშირის, ყველაზე უფრო შემოწმებულ ფორმას და პრაქტიკულ სკოლას ქალთა აქტივის მოსამზადებლად, მაქსიმალურად უნდა იყოს შეგუებული ძირითად ამოცანასთან—მუშა და გლეხ ქალთა ფართო მასების თანდათან გაზრდილი აქტივობის მობილიზაციასა და ორგანიზაციულ განმტკიცებასთან.

ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა სადელეგატო კრებების საარჩევნო კამპანიას, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს პარტიას დარაზმოს მუშა და გლეხ ქალთა ფართო მასები სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების ირგვლივ, ააშკარავებდეს ქალთა მასების პოლიტიკურ განწყობილებებს და მხედველობაში იღებდეს იმ პრაქტიკულ საკითხებს, რომლებსაც აყენებენ ეს მასები პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე. სინამდვილეში კი სათანადოდ ვერ აფასებენ სადელეგატო კრებების არჩევნებს, როგორც ფართო პოლიტიკურ კამპანიას. ამ მუშაობაში ძალიან სუსტ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა, პროფკავშირული, კოოპერატიული ორგანიზაციები და პრესა.

მუშა-ქალთა განყოფილებებმა სადელეგატო კრებების მუშაობის ცენტრი უნდა გადაიტანონ დელეგატ-ქალების პრაქტიკულ მუშაობაში, უნდა სცდილობდნენ იმას, რომ საწარმოში დელეგატი ქალები იყვნენ მაგალითის მაჩვენებელნი სოციალისტური შეჯიბრების მოწყობასა და ჩატარებაში, პარტიის დამხმარენი მასების დარაზმვაში საბრძოლველად თვითღირებულების შემცირებისათვის, მუშაობის გაცდენისა და უვარგისი ნაწარმოების გამოშვების წინააღმდეგ; სოფლად დელეგატი ქალები უნდა გადაიქცნენ მაგალითის მაჩვენებლად პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარებაში სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის სოციალისტურ საფუძვლებზე, ბრძოლაში მოსავლიანობის გადიდებისათვის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ამასთან დაკავშირებით სათანადოთ უნდა შემოკლდეს და საერთოდ შეეგუოს დელეგატ-ქალთა პრაქტიკულ მუშაობას სადელეგატო კრებების პროგრამა. სოფლად აუცილებლად შემოღებულ უნდა იქნას აგრომინიმუმის დამუშავება. სადელეგატო კრებების საარჩევნო კამპანიას უნდა მიეცეს პოლიტიკური ხასიათი; თუ სადმე არჩევნები ჩატარდა მასების სათანადოდ დაურაზმავად, ასეთ შემთხვევაში არჩევნები გაუქმებულ უნდა იქნას.

12. საბჭოთა აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა აქტივობის უდიდესი ზრდა, რაც გამოაშკარავდა საბჭოების არჩევნების დროს კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში, როდესაც სამღვდელოება და ბაები იჩენდნენ თანდათან უფრო ძლიერ მისწრაფებას დაემორჩილებიათ თავიანთი გავლენისათვის ჩამორჩენილ ქალთა მასები,—განსაკუთრებით მწვავედ სვამს იმ საკითხს, რომ განმტკიცდეს საბჭოთა აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა გაძლიერებული აქტივობა, მოგვარდეს მათი კლასობრივად აღზრდის საქმე და ეს აქტივობა ჩაყენებულ იქნას პრაქტიკული მუშაობის კალაპოტში საბჭოების, პროფკავშირების, კოოპერაციის ხაზით. ამიტომ მუშაობის ფორმები და მეთოდები (ქალთა კლუბები, კარვები, კონსულტაციები, სადელეგატო კრებები) შეგუებულ უნდა იქნან ამ ამოცანების გადაჭრასთან.

ის გარემოება, რომ საბჭოთა აღმოსავლეთის ქალთა მასებში წერა-კითხვა თითქმის არავინ არ იცის, აგრეთვე კარიერისტობა და ქალთა შორის მომუშავე ქვედა საფეხურის კადრების უკიდურესი სისუსტე—ზოგიერთ შემთხვევებში იწვევს უხეალო ადმინისტრატიული მეთოდების გამოყენებას მუშაობაში და კლასობრივი ხაზის გამრუდებას.

იღებს რა მხედველობაში ამას, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა:

ა) ნაციონალური კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და საოლქო კომიტეტებმა უნდა გააძლიერონ ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და მათთვის ინსტრუქციების მიწოდება ქალთა შორის მუშაობის საკითხებში, უნდა უზრუნველჰყონ ამ მუშაობაში კლასობრივი ხაზის გარკვეულობა და ადმინისტრატიული მეთოდების დაძლევა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვედა საფეხურის მუშაკთა შერჩევასა და მომზადებას ქალთა შორის სამუშაოდ მუშა, მოჯამაგირე და ღარიბ გლეხ-ქალთა რიცხვიდან, რისთვისაც უნდა მოეწყოს სპეციალური კურსები;

ბ) მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებმა უნდა მიიღონ ზომები ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების, (პირველ რიგში საბჭოების წევრებისათვის), ქალთა ტეხნიკუმებისა და სკოლების ქსელის გასაფართოებლად, აგრეთვე უნდა გაშალონ მუშაობა ადგილობრივ მკვიდრ ქალების მომზადებისათვის მუშფაკებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად.

13. თვალსაჩინო კადრები ისეთ პროლეტარ ქალთა, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ოქტომბრის რევოლიუციაში და შეიძინეს საბჭოებში, პროფკავშირებში, კოოპერაციაში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, წარმოადგენენ დიდ რეზერვებს პარტიის რიგების შესავსებად. მაგრამ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტის გამო, პროლეტარ ქალთა ამ ფენის ჩაბმა პარტიის რიგებში სრულიად არასაკმაოდ ხდება.

ამასთან მუშა-ქალების დაწინაურება ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე (უჯრედების, რაიონული, საოლქო კომიტეტების მდივნებად და სხვ.), რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ განმტკიცდეს მუშაობა პროლეტარ ქალთა ჩასაბმელად პარტიაში, დღემდე მეტად გაუბედავად და სრულიად არასაკმაოდ ტარდება.

ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მუშაობის გაძლიერებას პარტიაში მუშა ქალთა მისაღებად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ეხლანდელ პერიოდში, როდესაც პარტიის წინაშე სდგას ამოცანა მშრომელთა უფართოესი მასების, მათ შორის ქალების, მობილიზაციისა ხუთწლიანი გეგმის პრაქტიკულად გასატარებლად და სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადასალახავად.

ამასთან ერთად ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ სიძნელენი სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდისა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში მოითხოვენ ყველა პარტორგანიზაციისაგან უაღრესად სერიოზულ მუშაობას კომუნისტ ქალების აღსაზრდელად ბოლშევიკური პარტიულობის საფუძვლებზე, მათ მოსამზადებლად იმისათვის, რომ შეუნებული წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველგვარ გადახრას პარტიის გენერალური ბოლშევიკური ხაზიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდესი ყურადღება საბჭოთა აპარატის წმენდას

რკინის ცოცხით გავდევნოთ საბჭოთა აპარატიდან ბიუროკრატები და სხვა ყველა ჯურის მავნებლები

ჩავაბათ მშრომელთა ფართო მასები საბჭოთა აპარატის წმენდაში.—შევამოწმოთ უმუშევართა შემადგენლობა

აპარატის წმენდა და საბჭოთა საზოგადოებრივობის ამოცანები

საუბარი ამხ. ი. ვარძიელთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა დაწესებულებების გამწმენდი ამიერკავკასიის კომისიის თავმჯდომარემ, ამიერკავკასიის რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. **ვარძიელმა** განაცხადა შემდეგი:

თუმცა ამ ბოლო დროს ადგილებზე გაძლიერდა მოსამზადებელი მუშაობა საბჭოთა აპარატის გასაწმენდად, მაინც ამ მუშაობის წარმატებით გაშლას, როგორც ეტყობა, ხელს უშლის, ერთის მხრით, ზაფხულის პერიოდი, ხოლო მეორეს მხრით,—პარტიის წმენდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველგვარი ზომა უნდა იქნას მიღებული იმისთვის, რომ როგორც მოსამზადებელი პერიოდი, ისე თვით წმენდა ჩატარდეს ყველა საჭირო მოთხოვნის დაცვით. წმენდის მზადების სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ მუშაობაში საკმაოდ არ არიან ჩაბმულნი მუშები და გლეხები. განსაკუთრებით მოისუსტებს ეს საქმე სოფლად. საოლქო და სამაზრო ორგანოებს ამ მხრით ძალიან ცოტა რამ აქვთ გაკეთებული. ამიტომ უახლოესი დროის ამოცანას შეადგენს წმენდის მიზნებისა და ამოცანების ფართოდ გაცნობა გლეხთა მასებისათვის და ამ მასების მოზიდვა წმენდაში დასახმარებლად. ამ მხრივ დიდი მუშაობა ეკისრებათ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სამაზრო პროფბიუროს, მიწა-ტყის კავშირს და ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა ჯგუფებს.

რაც შეეხება ქალაქს, აქაც ვერ ვამჩნევთ საკმაო გეგმიანობას. შემჩნეულია ერთგვარი დაქსაქსულობა. უნდა აღინიშნოს, რომ აპარატის წმენდის მოსამზადებელ მუშაობაში პრესა სუსტ მონაწილეობას იღებს. გაზეთებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს საკმაო ყურადღება და ადგილი დაეთმოთ ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხისათვის. სულ არ შუქდება ადგილების მუშაობა. არა სჩანს მუშკორებისა და გლეხკორების აქტივობა. ეს ნაკლი მალე უნდა გამოსწორდეს. საყურადღებო ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე გასაწმენდ დაწესებულებათა საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ წმენდა 1 სექტემბერს უნდა დაიწყოს, მაშინ პრესის დახმარებამ თავი უნდა იჩინოს უახლოეს დღეებში.

როგორც რესპუბლიკებში, ისე ამიერკავკასიის დაწესებულებათა წმენდისათვის უკვე შექმნილია სპეციალური საუწყებო კომისიები. ამ კომისიების მოვალეობაში შედის ყველა ისეთი მასალის შემზადება და შეკრება, რომელიც ახასიათებს როგორც დაწესებულებას, ისე თვითეულ მის თანამშრომელს. კომისიები მუშაობის დროს უპირველეს ყოვლისა უნდა დაემყარონ მუშათა და გლეხთა მასების დახმარებას, რაც გულისხმობს მათ უშუალო მონაწილეობას წმენდაში და მათგან განცხადებებისა და მითითებების მიღებას აპარატის და ცალკე მუშაკების მუშაობის შესახებ.

შემმოწმებელმა კომისიებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ გასაწმენდი დაწესებულებისა და საწარმოს საზოგადოებრივობისაგან. ასეთებია: საწარმოო თათბირები, ეკონომკომისიები, ადგილკომები, უჯრედები, კედლის გაზეთების რედაქციები, მსუბუქი კავალერია და სხვ. ამ მიზნით საუწყებო კომისიებმა აღნიშნულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭირონ რათა წმენდა უზრუნველჰყონ საჭირო ორგანიზაციული და ნივთიერი პირობებით. არა ნაკლები მნიშვნელობა ეძლევა გასაწმენდ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოხსენებებს და ანგარიშებს, როგორც მუშათა ფართო მასების, ისე დაწესებულების საკუთარი მუშაკების წინაშე. ეს მეთოდი ამაღლებს მასების აქტივობას, დააინტერესებს მათ დაწესებულების მუშაობით და საქმიანი კრიტიკის საფუძველზე უეჭველად მოგვცემს დაწესებულების და მისი თანამშრომლების დახასიათებისათვის საჭირო მასალას.

კომისიებმა უნდა გაითვალისწინონ ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნენ სხვა რესპუბლიკებში ჩატარებული წმენდის დროს. **ძირითადი ნაკლი, რომელიც იქ წმენდის დროს აღმოჩნდა, არის მასების არა საკმაოდ ფართო მონაწილეობა წმენდაში და მუშაკის შეფასებისადმი მეტ შემთხვევაში მისი წარსულის თვალსაზრისით მიდგომა და მისი აპარატში ეხლანდელი მუშაობის ხარისხის გაუთვალისწინებლობა.** ამ ნაკლზე ცენტრალური პრესა სისტემატიურად მიუთითებს ადგილობრივ შემმოწმებელ კომისიებს.

წმენდის წარმატებით ჩატარება დაჟინებით მოითხოვს ორგანიზაციულ ღონისძიებათა გაძლიერებას. **ყოვლად დაუშვებელია ამ მუშაობაში ისეთი ნელი ტემპი, როგორსაც ეხლა ვამჩნევთ.** დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა შვებულებაში წასული ან პარტიულ წმენდაში დაბანდებული ამხანაგების ნაცვლად, მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად უნდა გამოჰყონ აქტიური მუშაკების ახალი კადრი. ადგილობრივმა საოლქო და სამაზრო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გააჩაღონ მოსამზადებელი მუშაობა გლეხთა ფართო მასებში. დაწინაურების და მუშაკთა ახალი კადრების მომზადების საკითხს, როგორც საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს საკითხი ეხლავე უნდა გადასწყდეს რეალურად და პრაქტიკულად.

რადგან საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება, ბიუროკრატიზმის და სხვა მტკივნეული მოვლენების აღმოფხვრა იქ, სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ამოცანებთან მისი შეგუება შეიძლება მხოლოდ ფართო მშრომელი მასების უშუალო მონაწილეობით და საქმიანი, შემოქმედებითი თვითკრიტიკის საფუძველზე გაწეული კონტროლით, ამიტომ ყველა ჩვენმა პარტიულმა, პროფესიონალურმა და საბჭოთა ორგანიზაციამ ამ უახლოეს დროში უნდა უზრუნველჰყოს მასების ამ საქმეში მონაწილეობა, რისთვისაც მათ უნდა გამოიყენონ ყველა საჭირო ღონისძიება. დრო არ იცდის.

უმუშევართა წმენდის შესახებ

უდავოა, რომ პარტიისა და ხელისუფლების ხაზი საბჭოთა აპარატის წმენდაში დიდ ნაყოფს გამოიღებს ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განმტკიცების და სოციალისტური მშენებლობის გაღრმავების საქმეში. ის დიდი დაბრკოლება, რომელიც დღემდე წინ ეღობება ჩვენს მშენებლობას, საბჭოთა აპარატის წმენდით, რომელშიაც ფართე მშრომელი მასა მიიღებს აქტიურ მონაწილეობას, ძირიან-ფესვიანად უნდა იქნეს აღმოფხვრილი.

მაგრამ ამ მნიშვნელოვან საკითხის დასაძლევად არ კმარა მარტო საბჭოთა აპარატის შემადგენლობის გადასინჯვა, რადგანაც ადვილი შესაძლებელია, რომ მოშორებულ მუშაკის ადგილას ისევ სხვა, ახალმა მუშაკმა ამოჰყოს თავი და კვლავ დაავადოს ჩვენი ჯანსაღი ორგანიზაცია.

აპარატის წმენდას მოჰყვება შრომის ბირჟიდან უმუშევრების გამოთხოვა, რომლებიც შეცვლიან გაწმენდილებს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ბიუროკრატების და მავნებლების ადგილი არ [illegible] იმავე ჯურის ხალხმა და არ დავდგეთ ისევ ფაქტის წინაშე. ამიტომ საჭიროა არა მარტო საბჭოთა აპარატის გაწმენდა ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან, არამედ, საჭიროა აგრეთვე გავწმინდოთ ის დაწესებულება, რომლის საშუალებითაც უნდა მივიღოთ გაწმენდილთა სამაგიერო მომუშავენი.

ასეთი დაწესებულებაა შრომის ბირჟები და საკორესპონდენტო პუნქტები, რომლებიც პირველ რიგში უნდა გაიწმინდონ.

დასამალი არ არის ის გარემოება, რომ შრომის ბირჟებში ჯერ კიდევ თავს აფარებს მრავალი ყოფილი ხალხი, რომელნიც სარგებლობენ ყოველგვარი შეღავათებით. შრომის ბირჟასთან ერთად, ირიცხებიან ყოფილი ვაჭრები (ზოგი მათგანი ამჟამადაც ვაჭრობს), გამფლანგველები, ხულიგნები.—ზარმაცები და სხვა, რომლებიც მხოლოდ უმუშევრობის გამო დახმარების მიღებით და ქუჩებში ხეტიალით არიან დაინტერესებული. შრომის ბირჟაში ნამდვილ პატიოსან მშრომელებს „აშავებენ“ აგრეთვე ე. წ. „პროფესიული უმუშევრები“, რომელთაც ათასჯერ უმუშავნიათ და მუდამ უმუშევრად ითვლებიან და დახმარებით კმაყოფილდებიან. ბევრია ისეთი უმუშევრებიც, რომელიც დღის 12—1 საათამდე სხვადასხვა ვაჭრობასა და კომბინაციას ეწევიან და კვირაში, ან თვეში ერთხელ ცხადდებიან ბირჟაში აღრიცხვაზე.

ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს იმას, რომ შრომის ბირჟები ითხოვენ დაუყოვნებლივ გაწმენდას იმ არასასურველ ელემენტებისაგან, რომლებიც არ არიან ნამდვილი მშრომელნი და ბიუროკრატიულ, ან ვაჭრულ სენით არიან შეპყრობილნი.

ამ ფრიად სერიოზულ საკითხის გადასინჯვის დროს უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ისეთებიც, რომლებმაც ფუფუნებისაგან არ იციან რა გააკეთონ,—ტანზე რომელი კაბა ჩაიცვან, რომელი „ლორიგანით“ გაითხუპნონ პირი და როგორ მოხვდნენ დაწესებულებაში.

შრომის ბირჟებს, რომელნიც წარმოადგენენ სახელმწიფო აპარატისათვის ახალ ძალების მიმწოდებელ ძირითად წყაროს, დაუყოვნებლივ და დაკვირვებით უნდა გაუკეთდეს ფილტრაცია, რომ ზედმეტი ტვირთი, რაც შეიძლება ჩქარა და სამუდამოთ იქნეს თავიდან მოშორებული. შემმოწმებელმა კომისიამ ყოველმხრივ უნდა შეისწავლოს უმუშევრების წარსული და აწმყო, მათი სოციალური მდგომარეობა, ოჯახის წევრთა შემადგენლობა, მათი შრომის უნარიანობა და ყოფა-ცხოვრება და სხვ.

ამ მუშაობის ჯეროვანად ჩატარება თავდებია იმისა, რომ ჩვენ შევსძლებთ მთელი ასი პროცენტით გავატაროთ ცხოვრებაში მე-16-ე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი. საჭიროა მხოლოდ მშრომელი მასის მეტი გამჭრიახობა, გამბედაობა და მიუდგომლობა უმუშევართა წმენდის საქმეში.

ზ. ჯაბადარი.

მზადება უმუშევართა წმენდისათვის

თბილისის შრომის ბირჟის აღრიცხვაზე არიან ისეთი პირები, რომლებიც თავისი სოციალური მდგომარეობით, არა საბჭოთა ელემენტებს წარმოადგენენ, არ არიან დაინტერესებული საკუთარი შრომით და არც საჭიროებენ მუშაობას, ხოლო ზოგი მათგანი თავისი ხულიგნური საქციელით ხელსაც უშლის შრომის ბირჟის ნორმალურ მუშაობას და სხვ.

ამჟამად, როცა პარტია და ხელისუფლება შეუდგა სახელმწიფო აპარატის წმენდის ჩატარებას, შრომის ბირჟის მუშაობა მთლიანად შეთანხმებული უნდა იქნეს სახელმწიფო აპარატის წმენდის ამოცანებთან და იქ აღრიცხულ უმუშევართაგან მომზადებული უნდა იქნას ისეთი კადრები, რომლებიც შესძლებენ სახელმწ. აპარატიდან გაწმენდილთა შეცვლას. ეს ამოცანა აყენებს შრომის ბირჟაზე აღრიცხულ უმუშევართა შემადგენლობის შემოწმებისა და წმენდის აუცილებლობის საკითხს.

უმუშევართა წმენდა დაიწყება აგვისტოს პირველ რიცხვებიდან. პირველ რიგში შემოწმებული იქნებიან გონებრივი შრომის უმუშევარნი. ეს მუშაობა დამთავრებული უნდა იქნეს აგვისტოს დამლევამდე, ე. ი. სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების აპარატების წმენდის დაწყებამდე.

უმუშევართა გაწმენდა ითვალისწინებს ორ ძირითად მომენტს: 1) შრომის ბირჟის აღრიცხვიდან სრულიად მოხსნა და 2) მოხსნა განსაზღვრული ვადით.

შრომის ბირჟის აღრიცხვიდან სრულიად მოხსნილი იქნებიან: საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულნი და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც იმყოფებიან მათ ხარჯზე; საარჩევნო უფლებების მქონე პირნი და მათ კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრები, თუ კი ისინი მოგების მიზნით სარგებლობენ დაქირავებული შრომით, ან არ ცხოვრობენ შრომითი შემოსავლით, ეწევიან ვაჭრობას და მევახშეობას; შრომის ბირჟაზე სისტემატიურ ხულიგნობაში შემჩნეული პირნი, თუ კი ეს დამტკიცებულია სასამართლოს განაჩენით; საარჩევნო უფლებას მოკლებული კავშირის წევრები მოიხსნებიან შრომის ბირჟის აღრიცხვიდან—კავშირიდან გამორიცხვის დღიდან, საარჩევნო უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით. საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა ოჯახის წევრები აღრიცხვიდან იხსნებიან იმავე ვადით, როგორც ისინი, ვის კმაყოფაზე იმყოფებიან ისინი.

განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა, აღრიცხვიდან მოხსნილი იქნებიან:

ის პირნი, რომლებიც სარგებლობენ დაქირავებული შრომით ან ეწევიან ვაჭრობას, მაგრამ არ არიან მოკლებულნი საარჩევნო უფლებებს (საკავშირო ცაკის ინსტრუქცია 26 წ. —28 სექტემბრიდან მუხ. 12); რომელთაც აქვთ სხვადასხვა სახის შემოსავალი, რომელიც უზრუნველჰყოფს მათ და მათ ოჯახს; შრომის ბირჟაზე შემოღებული წესის სისტემატიურად დამრღვევნი პირნი; სამუშაოზე არა საპატიო მიზეზით უარის მთქმელნი (თანახმად არსებულ დადგენილებისა ამის შესახებ).

განსაზღვრული ვადით აღრიცხვიდან მოხსნილი პირნი ვადის გასვლის შემდეგ აღდგენილი იქნებიან აღრიცხვაზე, მაგრამ მათ ეკარგებათ სამუშაოზე გასაგზავნი წინანდელი რიგი.

აღრიცხვიდან სრულიად მოხსნილი პირნი კარგავენ შრომის ბირჟაზე აღრიცხვის უფლებას, ხოლო განსაზღვრული ვადით მოხსნილი პირნი კი მოხსნის ვადის ფარგლებში.

აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების მიზნით საქართველოს შრომის კომისარიატის მიერ გამოყოფილია განსაკუთრებული კომისიები შემდეგი დაწესებულებების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

შრომის სახალხო კომისარიატიდან, საქართველოს პროფსაბჭოდან, მუშ.-გლეხ. ინსპექციიდან, კომკავშირიდან, ქალაქის საბჭოდან, სოცდაზღვევის კომიტეტიდან, მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებიდან, მუშებიდან და უმუშევრებიდან. სულ შედგენილი იქნება 15 კომისია, ამას გარდა, კომისიების მუშაობის გაადვილების მიზნით, მოწვეული იქნებიან მუშათა ბრიგადები, რომლებიც კომისიების დავალებით აწარმოებენ უმუშევართა შემადგენლობის სპეციალურ გამოკვლევას.

„კომისიების მუშაობა იწარმოებს შემდეგ ადგილებში: შრომის ბირჟის შენობაში იმუშავებს 3 კომისია, სხვა კომისიები კი იმუშავებენ პროფსაბჭოს პატარა დარბაზში, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა წითელ კუთხეში, მილიციის ადგილკომში და ერთეულთა ადგილკომში. წმენდა ჩატარებული იქნება პროფესიათა მიხედვით. რომ წმენდამ არ შეაფერხოს შრომის ბირჟის მუშაობა და ფართე მასებს მიეცეს წმენდაზე დასწრების საშუალება, კომისიების მუშაობა იწარმოებს საღამოობით (6 საათიდან). ის უმუშევრები, რომლებიც არ გამოცხადდებიან წმენდაზე, მექანიკურად მოიხსნებიან შრომის ბირჟის აღრიცხვიდან და კარგავენ რეგისტრაციის უფლებას. წმენდაზე მოსულ უმუშევრებს თან უნდა ჰქონდეს პ.-კავშირის წევრობის წიგნაკი და პრაქტიკული მუშაობის სხვა დამამტკიცებელი საბუთები. ამა თუ იმ უმუშევრის შესახებ საწინააღმდეგო მასალების ჩასაშვებათ შრომის ბირჟაში დადგმული იქნება სპეციალური ყუთები. გამწმენდი კომისიის დადგენილება საბოლოოა, ხოლო ზემდგომ შრომის ორგანოებს უფლება აქვთ ზედამხედველობის წესით გააუქმონ ამა, თუ იმ კომისიის დადგენილება.

გასაცოცხი ხალხი ბათომის დაწესებულებებში

ბათომი, 2 აგვისტო. აჭარისტანის საბჭოთა დაწესებულებებში ბევრმა ყოფილმა ხალხმა მოიკალათა. აჭარმრეწვის სატყეო განყოფილებაში მსახურობს ვიღაც კალისტრატ აფაქიძე. ძველი რეჟიმის დროს იგი „პატიოსნად“ მსახურობდა ბოქაულად. 1925 წელს აფაქიძე დათხოვნილ იქნა სამსახურიდან, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი, მაგრამ „ბებიების“ მეოხებით კვლავ მოეწყო.

ბათომის ტელეგრაფში მუშაობს ივანე ბიიახჩიევი, ბაპტისტთა საბჭოს წევრი, მორწმუნე-ფანატიკოსი და მოქადაგე. 1924 წელს იგი პასუხისგებაში იყო მიცემული როგორც ყალბი მარკების დამზადების მონაწილე.

სახდაზღვევაში მსახურობს ყოფილი პოლკოვნიკი მაისურაძე. იგი ორჯერ იყო გასამართლებული. მისჯილი ჰქონდა 3 წლის პატიმრობა. იმ გაფლანგვისა და სიყალბისათვის, რომელიც მან ქუთაისში ჩაიდინა. ქალ. ბათომის მილიციის ყოფილი უფროსი მენშევიკების დროს გიორგი ჩაჩუა მოეწყო ფინსახკომში გამგის თანამდებობაზე. 1925 წელს მოხსნეს სამუშაოდან როგორც სოციალურად მავნე ელემენტი, მაგრამ კვლავ გაძვრა საბჭოთა აპარატში. იქვე მოეწყო ბათომის ოლქის ყოფილი პროკურორი **ვიქტორ მატეევი,** რომელიც თავის დროზე დათხოვნილ იქნა როგორც არაკეთილსაიმედო ელემენტი. ეხლა იგი არაპირდაპირი გადასახადების განყოფილების გამგეა. „აჭარმრეწვკრედიტში“ თავმჯდომარედ არის **გიორგი კოკაია.** 1924 წელს გორში [illegible] დროს მან გაფლანგა ფული, რის გამოც მიცემული იყო პასუხისგებაში და გარიცხულიც პარტიიდან. 1929 წელს იგი „აჭარმრეწვკრედიტის“ თავმჯდომარედ იყო. მან აქაც გაფლანგა ფული, იღებდა ქრთამს და ს., რის გამო მეორედ მისცეს პასუხისგებაში. ქობულეთის მაზრაში სოფლის სკოლის მასწავლებლად არის **ქრისტეფორე პოპანდოპულო,** ყოფილი მღვდელი. ცხადია, როგორ ასწავლის იგი ბავშვებს (ადს).

პარტთათბირი თეატრის შესახებ

მუშათა თვითმოქმედი თეატრი

ამხ. შახბაზოვის მოხსენება

31 ივლისის საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. შახბაზოვის მოხსენება მუშათა თვითმოქმედი თეატრის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა შემდეგი:

„ამ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც სდგას პარტიისა და პროფკავშირების წინაშე მუშათა მასების აღზრდისა და მათი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში, თვითმოქმედმა თეატრმა თავისი მუშაობა უნდა დააყენოს ისე, რომ საუკეთესოდ გაუწიოს სამსახური ამ მასებს, აქტიურად ჩააბას ისინი სოციალისტურ აღმშენებლობაში. გარდა ამისა მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეში ამ თეატრს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

პარტიისა და პროფკავშირების მასიურ მუშაობაში საკლუბო სცენას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კლუბებში მუშა-მოსამსახურეთა დასწრება უდიდესია, ამიტომაც პარტიისა და პროფკავშირების განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული უნდა იყოს კლუბებზე. წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს იმ ლიკვიდატორულ განწყობილებას, რომელსაც ადგილი აქვს პარტიულ და პროფესიონალურ მუშაკთა განსაზღვრულ ნაწილში, რომლებსაც უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ კლუბებში პროფესიონალური მსახიობების მიწვევა, ვინემ თვისი ძალების ხარჯვა თვითმოქმედ თეატრებზე. ჩვენ ძალზე ღატაკნი ვართ სპეციალური საკლუბო რეპერტუარით, რის გამო კლუბები იყენებენ პროფესიონალური თეატრების რეპერტუარს, რაც ერთგვარ საფრთხეს წარმოადგენს. თუ პროფესიონალური თეატრების რეპერტუარი შენდება საერთო პრობლემებზე, თვითმოქმედ თეატრის რეპერტუარი გასაგები და ახლო უნდა იყოს მუშათა მასებისათვის და უნდა ზრდიდეს ამ მასებს პარტიის წინაშე მდგომ ამოცანების ნიადაგზე. რაც შეეხება საკლუბო სცენის კრიტიკას, უნდა აღინიშნოს, რომ კლუბების მუშაობა არ შუქდება პრესაში, ამიტომ ჩვენი რედაქციების წინაშე უნდა დაისვას საკითხი საკლუბო-მხატვრული მუშაობის გასაშუქებლად სპეციალური განყოფილების გამოყოფის შესახებ.

კამათი ამხ. შახბაზოვის მოხსენების გამო

ამხ. შახბაზოვის მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ეფენდიევმა, კურმა, მიკირტიჩიანმა, ხაჯამირიანმა და პეჩერსკიმ.**

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ საკლუბო დადგმებში ზოგჯერ ტარდება პარტიისათვის უცხო იდეოლოგია, მაგრამ პროფკავშირების კულტგანყოფილებები ამას ვერ ამჩნევენ. საკმაო ყურადღება არ ექცევა „ცოცხალ გაზეთებს“ და „ლურჯხალათიანებს“, რომლებიც საკლუბო დადგმათა ერთ-ერთ კარგ ფორმად უნდა ჩაითვალოს. მეტი დახმარება უნდა გაეწიოს იმ მუშებს, რომლებიც სწერენ საკლუბო პიესებს. საღამოს სხდომაზე, კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. შახბაზოვის საბოლოო სიტყვა.

თეატრალური კრიტიკა

ამხ. შ. დუდუჩავას მოხსენება

პირველი აგვისტოს დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. დუდუჩავას მოხსენება თეატრალური კრიტიკის შესახებ.

„სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა, სთქვა ამხ. დუდუჩავამ, ეს არის ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური შეტევის პროგრამა. ეს შეტევა იწვევს წინააღმდეგობას, რომელიც ხშირად კონტრ-შეტევად გადადის. კლასიური ბრძოლა თავის გამოხატულებას პოულობს იდეოლოგიისა და ხელოვნების ყველა დარგებში. ცხადია, რომ ამ პირობებში თეატრალურ მარქსისტულ კრიტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რას წარმოადგენს ამჟამად თეატრალური კრიტიკა და როგორი უნდა იყოს იგი?

თეატრალური კრიტიკის მთავარ ამოცანას შეადგენს პოლიტიკურ-იდეოლოგიური შეფასების მოცემა და იმის აღნიშვნა, თუ როგორი ფორმებით და მეთოდებით იქნა გადმოცემული ეს იდეოლოგია, ამიტომ თეატრალური კრიტიკით უნდა ხდებოდეს არა მარტო სოციოლოგიური, არამედ ესთეტიურ-მხატვრული შეფასებაც. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში? აქ თეატრალური კრიტიკა ხასიათდება აბსოლიუტური უვიცობით. ხშირად ადგილი აქვს ესთეტიციზმით გატაცებას და სოციოლოგიური მხარის გვერდის ახვევას, ან შებრუნებით — სოციოლოგიზმით გატაცებას და ესთეტიური მხარისათვის გვერდის ახვევას. თბილისში [illegible] რეკორდი დაამყარა თავისი რეცენზიებით. ამის დასამტკიცებლად აუარებელი მაგალითების მოყვანა შეიძლება, მაგრამ დავკმაყოფილდები ცოტათი. წარსულ წელს თბილისში გასტროლებზე ჩამოვიდა მსახიობი უიხარევა, რომელიც გამოვიდა რუსთაველის თეატრში. მეორე დღეს გაზ. „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება რეცენზია, რომ „ესა და ეს მსახიობი კარგად ასრულებდა თავის როლს, ხოლო მეორე კი არა. ეს არც საკვირველია, რადგანაც ეს უკანასკნელი ბოროტი ადამიანის როლს ასრულებდა“-ო. კინო-სურათ „ელისო“-ს, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო სურათად ჩაითვლება, რეცენზენტმა სტორმა თავის რეცენზიაში გაუკეთა სათაური „გოსკონფუზი“, რადგანაც სურათში მთავარ გმირად წარმოდგენილია არა მასა, არამედ მსახიობი. რეცენზიები ხშირად იწერება ისეთი ენით, რომელიც მშრომელთა ფართო მასებისათვის გაუგებარია. ზოგიერთი „მემარცხენე“ რეცენზენტების „მემარცხენობა“ იმაში გამოიხატება, რომ ისინი მაგრად იგინებიან, მაგრამ ამით მაყურებლის აზრი შეუძლებელია. ასეთი რეცენზიებით ჩვენ არამც თუ არაფერს მოვიგებთ, არამედ წავაგებთ კიდეცა.—რეცენზია არ არის მაყურებელთა შთაბეჭდილების გამომხატველი, არამედ მხოლოდ რეცენზენტების პირადი შთაბეჭდილება. თბილისში დამახასიათებელ მოვლენას აქვს ადგილი: ყველაზე უფრო უნიჭო კომედიებს აუარებელი ხალხი ესწრება, მიუხედავად იმისა, რომ ამ კომედიებს წლების განმავლობაში ლანძღავენ. ეს აიხსნება იმით, რომ მაყურებელს ესაჭიროება სიცილი. თეატრალური კრიტიკოსი მარტო რეცენზიებით არ უნდა დაკმაყოფილდეს, არამედ უნდა სწერდეს სახელმძღვანელო წერილებსაც, თუ რას უნდა წარმოადგენდეს საბჭოთა იუმორი, რატომ აქვს მას აღმზრდელობითი მნიშვნელობა და როგორი პოლიტიკური ელფერი უნდა მივსცეთ ამ იუმორს. თეატრალური კრიტიკოსების მომზადების საქმე ჩვენთან პრიმიტიულ მდგომარეობაშია. არც ხელოვნების მთავარ მმართველობაში, არც განათლების სახალხო კომისარიატში, არც პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში და სხვა ორგანოებში დღემდე არ დაუსვამთ საკითხი თეატრალური კრიტიკოსების კადრის მომზადების შესახებ. კინო-ფაკულტეტთან, რომლის გახსნა განზრახულია, უნდა მოეწყოს თეატრალური კრიტიკოსების სექცია. კრიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად ჩაითვლება დისპუტები, მუშების მონაწილეობით, მაგრამ ამას ადგილი არა აქვს. საჭიროა გამოცემული იქნეს ჟურნალი, რომელიც გააშუქებს ხელოვნების ყველა დარგებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, მე მიზანშეწონილად მიმაჩნია თეატრალური კრიტიკოსების ასოციაციის დაარსება.

კამათი ამხ. შ. დუდუჩავას მოხსენების გამო

ამხ. დუდუჩავას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ასილოვმა, პოდოლსკიმ, აბოვმა, ბ. ბუაჩიძემ, ეფენდიევმა, ქლენტმა, ერვანდ ხალიმ, ტატულოვმა და ველსკიმ.**

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ გაზეთების ხელოვნების განყოფილებებში არ ხდება საკმაოდ მომზადებული მუშაკების შერჩევა, ისინი არ იცნობენ თეატრს, კინოს და ხელოვნების სხვა დარგებს. საკმაოდ სახელგანთქმულ, ახალგაზრდა მომღერალ ბატურინს ბაქოს ერთ-ერთმა გაზეთმა „გოგოლის პეტრუშკა“ უწოდა. ცირკებში, სადაც აუარებელი მუშები დაიარებიან, შანტანიური ხასიათის სანახაობები ართობენ მუშებს, მაგრამ პრესა არამც თუ არ ილაშქრებდა ამის წინააღმდეგ, არამედ აქებდა კიდევაც ხშირად. გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, რომელიც ამიერ-კავკასიის საოლქო ორგანოა, აზერბეიჯანის და სომხეთის თეატრების შესახებ თითქმის არაფერს სწერს: თეატრალურ კრიტიკაში ჩაბმული უნდა იქნენ სამხატვრო საბჭოებში მომუშავე პირები და მუშკორები (რასაკვირველია მათში წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის წარმოების შემდეგ). რადგანაც ცალკე რეცენზენტის მიერ დაწერილი რეცენზია არ გამოხატავს მაყურებელთა ფართო მასების აზრს, ფართოდ გამოყენებული უნდა იქნას დისკუსიები, როგორც საშუალება თეატრალურ კრიტიკაში მასების ჩაბმისა.

—:—

თათბირის დახურვა

საღამოს სხდომაზე მოსმენილი და მიღებული იქნა რეზოლიუციები ამხ. იონოვის, ტატულოვის, შახბაზოვის და დუდუჩავას მოხსენებების გარშემო, რის შემდეგ თათბირი დაიხურა.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

სესხზე ხელის მოწერის პირობები

მოსკოვი, 2 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა შეიმუშავა ფულის შეტანის წესი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციების ხელის-მოწერით შეძენის დროს. ფულის შეტანის ვადა 10 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. იმ კოლექტივებს, რომლებიც ობლიგაციების ღირებულების გადახდას აგვისტოს დასაწყისში შეუდგებიან, შეუძლიათ მთელი ღირებულება ფაქტიურად 11 თვის განმავლობაში შეიტანონ — 1929 წლის აგვისტოდან 1930 წლის ივლისამდე. კოლექტივებს შეუძლიათ ობლიგაციები 10 თვის განმავლობაში შეისყიდონ მხოლოდ იმ პირობით, თუ პირველ გადასახადს აგვისტოში შეიტანენ. ამ შემთხვევაში ობლიგაციების მთელი ღირებულება პირველ ივლისისთვის უნდა იქნას შეტანილი. იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექტივები აცხადებენ, რომ მათ უნდათ ფულის შეტანის ვადა გაუგრძელდეთ (11, 10 ნახ. და 10 თვით), საკრედიტო დაწესებულებებმა თვითეული კოლექტივისთვის უნდა შემოიღონ ობლიგაციების ღირებულების გადახდის სათანადო წესი და აცნობონ მათ ფულის შეტანის ვადა და თვით შესატანის რაოდენობა.

პურის დამზადების კამპანიასთან დაკავშირებით, იმ რაიონებში, სადაც პურის დამზადება ინტენსიურად სწარმოებს, გლეხებს შორის სესხის გავრცელება უკვე აგვისტოდან უნდა დაიწყოს. გლეხობაში ობლიგაციები უნდა გაიყიდოს გადახდის ვადის განაწილებით ან ნაღდ ფულზე. ნაღდ ფულზე მესამე სესხის ობლიგაციების გაყიდვა გლეხებს შორის უნდა სწარმოებდეს აგვისტოს განმავლობაში. ამ დროს ორმოცდაათმანეთიანი ობლიგაცია გაიყიდება იმ ფასად, რა ფასიც მასზე სექტემბრის პირველ რვა დღეს არის დაწესებული, ესე იგი 47 მან. და 90 კაპეიკად. ხოლო, თუ ობლიგაციები შეძენილი იქნება ვადის განაწილებით, მაშინ ისინი აგვისტოს განმავლობაშიც ნომინალურ ფასად გაიყიდება.

იმ რაიონებში, სადაც სესხის გავრცელებას აგვისტოშივე შეუდგებიან, ფინორგანოებმა თავის დროზე უნდა აცნობონ რაიონის აღმასკომებსა და სოფლის საბჭოებს ობლიგაციის იმ ფასების შესახებ, რომლებიც აგვისტოსთვისაა დანიშნული. გლეხებსაც ფართოდ უნდა გააცნონ ეს ფასი, რათა თავიდან აცილებულ იქნას ობლიგაციების უფრო დიდ ფასად გაყიდვა. (ადს).

პროფკავშირების მონაწილეობა სესხის რეალიზაციაში

ინდუსტრ. მესამე სესხის რეალიზაციის კამპანიისათვის კულტმასმუშაობის გაშლის მიზნით, საქართველოს პროფსაბჭომ დაადგინა 30 აგვისტოდან მუშათა კლუბებში, წითელ კუთხეებში და საბ.-საოჯ. ამხანაგობებში ჩატარებული იქნეს ფართო სააგიტაციო კამპანია, რისთვისაც უნდა მოეწყოს მოხსენებები, ლექციები, საუბრები და სასწრაფო მიტინგები შემდეგ თემებზე: ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის მნიშვნელობა, ხუთწლიანი გეგმა და სესხი, კლუბებში გარდა სპეციალური მოხსენებებისა ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული კლუბის აქტივი, რომელმაც უნდა მოაწყოს სხვადასხვა გამოსვლები სპექტაკლების დაწყებამდე, ანტრაქტებს შორის და სხვა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის მნიშვნელობის შესახებ.

აუცილებლად უნდა მიეცეს მითითება და გაეწიოს სათანადო დახმარება კედლის გაზეთებს, რომლებიც გააშუქებენ სესხზე ხელის მოწერის კამპანიის მსვლელობას, მოათავსებენ საინფორმაციო ცნობებს სამქროებსა და საწარმოებში კამპანიის მსვლელობის შესახებ და აგრეთვე მოაწყობენ გამოწვევას და შეჯიბრებას წინანდელ და ახლანდელ სესხის ობლიგაციების შენარჩუნების გარშემო.

კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის კავშირებმა და კლუბებმა უნდა გაიწვიონ ფინორგანოების წარმომადგენლები კლუბებში და მსხვილ საწარმოებში ობლიგაციების გასავრცელებლად და ცნობების გასაცემად. კლუბებმა თავის მხრით უნდა მოაწესრიგონ ცნობათა გაცემის საქმე, მოაწყონ და უზრუნველყონ ცნობათა მაგიდები საჭირო მასალით და სახელმძღვანელოებით.

მასებისათვის სამსახურის უკეთესად გაწევის მიზნით კლუბებმა უნდა მოაწყონ აგიტლაშქრობა მუშათა სახლებში, საერთო საცხოვრებლებში, საბ.-საოჯ. ამხანაგობებში და მახლობელ სოფლებში, მოიზიდონ ლაშქრობაში ახალგაზრდათა სექციები, სამხატვრო წრეები და აქტივისტები. უნდა მოეწყოს აგრეთვე კინო და თვითმოქმედ წრეების გამოსვლა.

გასაღებულია 600.000 მანეთის ობლიგაციები

ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით, 30 ივლისამდე თბილისში კოლექტიურად ხელი მოაწერეს ინდუსტრიალიზაციის სესხის 600.000 მანეთის ობლიგაციებზე.

ერთი თვის ხელფასი

შრომის ბირჟასთან არსებულ შრომის კოლექტივებში გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელი მოაწერა ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

მომხსენებლები

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესახებ წარმოება დაწესებულებათა შორის მომხსენებლების განაწილება დაევალა საქართველოს პროფსაბჭოს.

ადგილებზე

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში მიღებულ ცნობების თანახმად, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოწერა ადგილებზე დღითი დღე ფართოვდება.

თვე ნახევრის ხელფასი ინდუსტრიალიზაციისათვის

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის და გაზეთ „მოჯამაგირის ხმა“-ს რედაქციის თანამშრომლებმა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელი მოაწერეს თვე ნახევრის ხელფასის რაოდენობით.

პროფსაბჭოს თანამშრომლების წვლილი

შესდგა საქ. პროფსაბჭოს თანამშრომელთა კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესახებ.

კრებაზე დამსწრეებმა ერთხმად დაადგინეს შეიძინონ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციები ერთი თვის, თვე-ნახევრის და ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

ჩვენი გამოწვევა

ოზურგეთის სამფინგანის თანამშრომლებმა გადავსწყვიტეთ გადავსდვათ თვითეულმა თვე ნახევრის ხელფასი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესაძენად და გამოვიწვიოთ საქართველოს ფინსახკომის და ოზურგეთის [illegible] სამომხმარებლო საზოგადოების თანამშრომლები.

ოზურგეთის სამფინგანის თანამშრომლები.

ვიწვევთ ყველა მსახიობებს.

30 ივლისს შესდგა რუსთაველის თეატრის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვებასთან დაკავშირებით. სესხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. დავით დისამიძე, რომელმაც დამსწრეებს განუმარტა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის მიზნები.

კრებამ დაადგინა შეიძინოს ობლიგაციები ორი თვის ხელფასის რაოდენობით. კრებამ ამასთანავე გამოიწვია აგარაკ ტბაზე მყოფი რუსთაველის თეატრის მსახიობები და რეჟისორები, რომ მათაც შეიძინონ სესხის ობლიგაციები ორი თვის ხელფასის რაოდენობით. კრებამ გამოიწვია აგრეთვე ყველა სხვა თეატრების მუშა-მოსამსახურეები და მსახიობები.

პირველი სააგიტაციო მასალა

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით ადგილებს დაეგზავნათ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის პირველი სააგიტაციო მასალა. ახლო მომავალში დაიგზავნება სააგიტაციო მასალის მეორე პარტია.

საჩვენებელ რაიონებში

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, გურჯაანში, რომელიც გამოცხადებულია საჩვენებელ რაიონად, ჩატარდა წინასწარი მუშაობა, გამოყოფილია სესხების ხელისშემწყობი კომისიები, შესდგა აღმასკომის პლენუმი, გამოყოფილი იქნენ პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც მიმაგრებული არიან ცალკე თემებსა და სოფლებზე. სააგიტაციო მუშაობა რაიონში უკვე დაიწყო. მოსახლეობა სესხისადმი იჩენს მეტად დიდ ინტერესს.

ხელისშემწყობი კომისია რკ. გზაზე

ა.-კ. რკინის გზებზე ჩამოყალიბდა სახ. კრედიტებისთვის ხელისშემწყობი კომისია, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულია ამხ. პოზდეევი.

გორში

გორიდან მიღებული ცნობის თანახმად, გორის მაზრაში უკვე ჩამოყალიბებულია სახ. კრედიტებისთვის ხელისშემწყობი კომისიები. გლეხებს შორის დაიწყო სესხზე ხელის მოწერა.

თემალმასკომები ობლიგაციებს გაყიდიან ნაღდ ფულზე.

ხორჯურდაინ ჯაისტან

II

გოქჩის ტბის შესახებ არსებობს მთელი ლიტერატურა, შესწავლილია მისი ფაუნა, მისი ფიზიკო-გეოგრაფიული თავისებურება. პირველ ცნობებს ტბის შესახებ იძლევა ზაგალუს კლდეებზე ამოკვეთილი ლურსმული წარწერები. ეხლა გრძელდება ტბის ჰიდროლოგიის შესწავლა, რომელიც დაუწყია ინგლისელ მეცნიერ სტიუარტს. ამ მეცნიერს და უმუშავებია გრანდიოზული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ჩრდილოეთით მდებარე მთებში გვირაბის გათხრას და წყლის არხით გადაშვებას უდიდესი ელსადგურის ასამუშავებლად. ინჟ. ზავალიშინის პროექტი კი გულისხმობს ტბის დონის დადაბლებას და მისი წყლის გამოყენებას არაქსის ველის მოსარწყავად. არის ლეგენდა,—თითქოს ზანგა, რომელიც გოქჩის ტბიდან გამომდინარეობს, ძველ ურართუელებისაგან გაყვანილი ხელოვნური მდინარე იყოს. თუ ეს მართალია, ურართუს დიდი სამსახური გაუწევია დღევანდელი საბჭოთა სომხეთისათვის, რომელმაც ამ ზანგით აამუშავა თავისი პირველი ელსადგურის აგრეგატები. მაგრამ ეს არ არის ერევნის სადგურის ძალოვნება იმ ენერგიასთან შედარებით, რომელსაც გოქჩა პოტენციალურად შეიცავს? წინასწარი გამოანგარიშებით, გოქჩას შეუძლია ას სამოცი ათასი ცხენის ძალის მიცემა. გეოლოგები და ჰიდროლოგები ამჟამად არკვევენ, იმოქმედებს თუ არა გოქჩის ტბის დონის დადაბლება (იმ შემთხვევაში, თუ სარწყავი ან ელსადგურის ასამუშავებელი არხი იქნა გაყვანილი) იმ წყაროების დებეტზე, რომლითაც ახლო მახლო სოფლები იკვებებიან. ამავე დროს იმასაც არკვევენ, რამდენად შესაძლებელია ტბის ნაპირებზე ტყის გაშენება. ოდესღაც გოქჩის ნაპირები ტყით ყოფილა შემოსილი. ამას ღაღადებს ტყის დარჩენილი ნაშთები და ნიადაგის შემადგენლობა.

თუ აქ ტყის გაშენება შესაძლებელი გახდა, გოქჩის მიდამოები გადაიქცევა ერთ ულამაზეს ალპიურ და ამავე დროს ზღვის აგარაკათ მთელს მსოფლიოში. მთის და ზღვის შეზავებული ჰაერი, მზისა და ზღვის აბაზანები, ხეივნებით და ბაღებით შემკული ტბის პირი, წარმტაცი ლანდშაფტები, უძველესი კულტურის ძეგლები, ზღაპრული კუნძული —აი განუზომელი სიმდიდრე მომავალი კურორტისა, რად ღირს მარტო ეს კუნძული თითქოს საგანგებოდ გაკეთებული. სამწუხაროდ აქ დღემდე არც ერთი დასასვენებელი სახლიც არ არის ბევრი ფული არ არის საჭირო იმ სახლების შესაკეთებლად, რომელიც ახალ-ნაშენი უნდა იყოს და ეხლა უპატრონოდ არის მიტოვებული. მერე რა დიდებულად შეიძლება აქ დასვენება? უსაზღვროდ სუფთა და სალი ჰაერი, სიმწვანე, მყუდროება, მუდამ გრილი ნიავი, მთვარიან, ღამით კი მთელი კუნძულისა და ტბის ზღაპრული სანახაობა, ბროლის ტალღებში ბანაობა — სამუდამოდ დაამშვიდებს ქალაქელი ადამიანის აფორიაქებულ ნერვებს.

⁂

ისე გვხიბლავს ეს კუნძული, რომ არ გვინდა უნახავი დავტოვოთ არც ერთი მისი ნაწილი. ზევით კუნძულის გორაკზე აღმართულია მე-9 საუკუნის ძეგლი—სევ-ვანქი (ქართულად—შავი მონასტერი). გარშემო მდებარე შავი კლდეების გამო, უწოდებიათ მისთვის ეს სახელი. ქვევით ლევიმესავით ბნელი სენაკებია. წინად კუნძულზე გზავნიდნენ ბერებს სომხეთის ყველა მონასტრებიდან. ქვის კედლებზე ამოჭრილია წარწერები და ძველი და ახალი აღთქმის სიმბოლიური ბარელიეფები. ტაძარი განთქმული ყოფილა წიგნთსაცავით, რომელიც შემდეგ გაუძარცვიათ. მონასტრის კედლებს ხავსი მოჰკიდებია და საუკუნეების ქანებს წითლად შეუღებავს ყოველი ქვა, ყოველი ნანგრევი. სევვანქის ქვევით გორაკზე უზარმაზარი წისქვილის ქვაა მეტრ ნახევრიანი რადიუსით. რა ძალამ ამოიტანა იგი ამ სიმაღლეზე, ან რა ძალა აბრუნებდა მას?—გამოცანად დარჩა ჩემთვის ეს კითხვა. დღეს ეს კუნძული, როგორც წინად იტყოდენ უკაცრიელია. ცხოვრობს მხოლოდ ერთი ბერი, რომელსაც თურმე 30 წელიწადზე მეტია აქედან ფეხი არ დაუძრავს. არავინ აწუხებს მას, ხანდახან თოლიების გულის შემაღონებელი ჩხავილით თუ დაარღვევენ მის სიმარტოვეს და მყუდროებას. ან ზაფხულობით მონასტერს და კუნძულის ყველა ნანგრევებს მონასტერის და კუნძულის ყველა ნანგრევებს ექსპედიცია, რომ ფოტოგრაფიულად გადაიღოს, აღრიცხოს გაზომოს და ამოიკითხოს წარწერები ძეგლებზე და ამობეჭდოს ესტამპაჟები საინტერესო დეტალებიდან. სამი წელიწადია, სიძველეთა დაცვის კომიტეტის სწავლული მდივანი—ნიკო მარის ნამოწაფარი აშხარ-ბეკ ქალანთარი განაგრძობს გოქჩის არქეოლოგიურ შესწავლას. მის მიერ უკვე მოვლილია ტბის სანაპიროები, რომელიც ყოველ მნახველს ანცვიფრებს უძველესი ნივთიერი კულტურის ნაშთების სიუხვით და სომხური ეპოქის ისტორიული ძეგლებით. ძეგლების დიდი ნაწილი მას უკვე აღრიცხული და ნაწილობრივ გამოკვლეული ჰქონია. ყოველ სოფელში ქალანთარს დაუნიშნავს სიძველეთა დაცვის კომიტეტის რწმუნებულნი. როგორც გადმომცეს, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ფრთხილი და შეგნებული მოპყრობის გამო ისტორიული ძეგლები ჩინებულად ყოფილა დაცული და შენახული.

⁂

იმდენად გამიტაცა სევ-ვანქის კუნძულის მაცდურმა სილამაზემ, რომ მე პირადათ გამიჭირდა მისი დატოვება. ერთი საათით ჩვენც განვიცადეთ პატიმრობა ამ კუნძულის მყუდროებაში ოდესღაც ცოდვების მონანიებლად გადმოსახლებულ ბერებივით, რომლებიც ვადის გასვლის შემდეგ, ალბად, წყევლა კრულვით სტოვებენ მათი სიცოცხლის მომმხრჩველ კუნძულის ბნელ სენაკებს.

ჭარბათ დატვირთული ჩვენი პატარა გემი, მოტორის გუგუნით მოარღვევდა ტბის ტალღებს. დასავლეთისაკენ გადახრილი მზე ალაპლაპებდა ტბის ზედაპირს. ზეცაში ერთი მზე იყო, ხოლო ტბაზე იმდენი რამდენიც ამობორცვილი ტალღა.

⁂

ნაპირზე გადმოსვლისას ჩვენ გველოდა სიურპრიზი. ტბის პირად მოლზე გაშლილი დაგვხვდება სუფრა. სომხეთის სოფლის მეურნეობის მესვეურს—გოქჩის დაულეველ სიმდიდრეთა ბატონ-პატრონს ამხ. არამაის ერზინკიანის განკარგულებით დაემზადებიათ სამარხო „ტრაპეზი“ მხოლოდ და მხოლოდ გოქჩის ტბის თევზეულობისაგან. გავეცანით რა გელაქუნურის, იშხანის, კალმახის გემოს, დავრწმუნდით, რომ არც ისე მძიმე ასატანი იქნებოდა სასჯელი კუნძულზე გადმოსახლებულ ბერებისათვის, თუ მათი მოვალეობა მოსანანიებელ ლოცვებით განისაზღვრებოდა, ხოლო „ტრაპეზი“ კი ასეთი თევზების კერძით. მხიბლავდა არა სიუხვე გაშლილი სუფრისა, არამედ გახსნილი გული ჩვენი სუფრის თამადის არამაის ერზინკიანის, რომლის მოსწრებული სიტყვები უკვე სპობდა საზღვარს სტუმარ მასპინძელს შორის. აქ წარმოთქმულ მრავალ სიტყვიდან დამამახსოვრდა ერთი, დერენიკ დემირჩიანის სიტყვა. (სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დერენიკ დემირჩიანი და ცნობილი სომეხი პოეტი ავეტიკ ისაკიანი დელეგაციებს შემოხვდნენ აქ, ელენოვკაში).

— მოზღვავებული გრძნობა არ მანებებს გამოვხატო ის სულიერი მღელვარება, რომელსაც განიცდის ჩვენი გული. შეიძლია ვსთქვა მხოლოდ, რომ გული ჩვენი ისეთი წმინდაა, როგორც ამ ფირუზი ტბის ანკარა წყალი.—

ამხ. დერენიკი გამოხატავდა არა მარტო თავის თანამემამულეების, არამედ ყველა იქ მყოფ სტუმარ-მასპინძელის განწყობილებას.

გოგჩის ტბის პირად ჩვენ დავიფიცეთ
სამ რესპუბლიკის კალმების ღერზე,
ჩვენ ძმურ სიყვარულს დავიცავთ მტკიცედ,
ავიტანთ გულებს საბჭოთა მთებზე.

ამ ლექსით მოიგონა შემდეგ ერთმა ახალგაზრდა პოეტმა გოქჩის ტბის პირად წარმოთქმული სიტყვების დედა აზრი.

⁂

ელენოვკიდან ერევნამდე გზატკეცილი თანდათან ეშვება აზარანის ზეგანიდან არარატის დაბლობში. გზა პარალელურად მისდევს ზანგას, მაგრამ მდინარე არა სჩანს. გარშემო ქვიანი მინდვრები, ალაგ-ალაგ დაბალი ეკლიანი ბალახით შემოსილი. ტალღასავით აგორებული ბორცვები. მოწყენილი ერთფეროვანი, მაგრამ ლამაზი სანახაობა. სჩანან სომხური სოფლები, რომელსაც ძლივს გაარჩევ უწესრიგოდ მიყრილი ქვებისა და ბორცვებისაგან. ერთხანს მიტაცებს ბუნების ეს თავისებურება, მაგრამ შემდეგ ისევ მაგონდება

გოგჩა, ტბა ვრცელი,
ხმოვანებით
ზღვის მბაძავი.

ა. ჭავჭავაძის ამ ცნობილი ლექსის დანარჩენი ტაეპები არ მაგონდებოდა. თუმც ძალიან ვცდილობდი აღმედგინა მეხსიერებაში ამაღლებისა და წარმავალობის გამომხატველი სტრიქონები, რომელიც პოეტს ჩააგონა ოდესღაც გოქჩის პირად გაშენებულ დიდებულ ქალაქების ნანგრევებმა.

⁂

დაუსრულებლად ვიმეორებდი ამ აკვიატებულ სტრიქონს, ვიდრე დაბლობიდან ამაყათ არ ამოიმართა მთელი ბიბლია თავისი „წარღვნით“ და არარატით. პირველ შეხვედრისთანავე ვიცანით არარატის დიდებულება, რადგან იგი განუმეორებელი, მიუმსგავსებელი მწვერვალია. არ არსებობს დედამიწაზე მეორე მთა, რომელიც დაბლობიდან ასე უშუალოდ იყოს აღმართული. ოკეანესავით დაუსრულებელი არეზის ველი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმულა და ამ ველიდან ერთბაშად აღმართული ბუმბერაზი—აგრიდაგის ქედი ორი თოვლიანი მწვერვალით—დიდი და პატარა არარატით. ქედი გრანდიოზულ და ამავე დროს ჰარმონიულია. პირველ მწვერვალს გუმბათის ფორმა აქვს, მეორეს პირამიდის. ორივეს ერთ საფუძველზე აქვს ფეხები დაბჯენილი. პირველი ზვიადი ძლევა-მოსილი გმირივით სდგას, ხოლო მეორე თავმომწონე კეკლუც პატარძალივით, დევგმირის თმა სრულიად გათეთრებია, პატარძალს ჭაღარა შეპარვია. და ეს ხანში შესული შეჭაღარავებული ქალბატონი კოპწიობს, თავს აწონებს მის მეზობლად აღმართულ ჭარმაგ მოხუცს. არც ერთი არ არის ერთმეორისაგან დასაწუნი! რა ვუყოთ, რომ პატარძალს თმა შეთეთრებია და მოხუცზე 1.200 მეტრით დაბალია. მის ხნოვანებასა და ტანადობას ასეთი ჰასაკისა და ტანადობის ქალი შეეფერება. მაშ, რათ განდგომიან, რათ დაშორებიან ერთიმეორეს თითქმის 10—11 კილომეტრის მანძილზე. ვის უცდიან, რას ელოდებიან? ნუ თუ მაჭანკლებს? ისინი ეხლა ზემო იმერეთშიდაც აღარ არიან.

მაგრამ მასისის ქედი (სომხები არარატს მასის ეძახიან) ისე უზარმაზარია, რომ მისი მწვერვალების შედარება ადამიანებთან მათი უსაზღვროთ დამცირებაა, მიუტევებელი კადნიერებაა. უფრო სწორი იქნება, რომ ვსთქვა: თუ არეზის ველი უნაპირო ზღვაა, მასისის მთა ამ გაშლილ ზღვაზე მცურავი გემია. მთის მასივი შუა ნაწილში გემივით მსხვილია, ხოლო კიდეებში შევიწროვებული. სწორედ იმ გარემოების გამო, რომ არარატი პირდაპირ ველიდან არის აზიდული, მისი მწვერვალი უფრო გრანდიოზული ქმნილების შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე კავკასიონის ქედის მწვერვალები. დიდი არარატი (სიმაღლით 5.126 მეტრი) უმდაბლესია იალბუზზე (5.633 მეტ.), დიხტაუზე (5.201 მეტ.), ყოშტანტაუზე (5.158), შხარაზე (5.186), და უმაღლესია მხოლოდ მყინვარწვერზე (5.036). მაგრამ უზღვავ მთაგრეხილებს შორის მოქცეული ეს მწვერვალები ვერ შეედრებიან არარატის ბუმბერაზობას, რომელიც ველიდან მარტოდ მარტოა ასული, რომელსაც გარშემო არ ჰყავს ბადალი, გამტოლებელი.

არარატის მწვერვალის დაქანება თოვლიან კალთებზე საშუალოთ 30 გრადუსს არ აღემატება, ხოლო თოვლის სარტყელს ქვევით ისე უმნიშვნელოა, რომ მასზე ასვლა სიძნელეს არ წარმოადგენს.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით მასისას ქედს, მით უფრო შესამჩნევი ხდებოდა მწვერვალიდან ქვევით დაქანებული განიერი გლეტჩერი, რომელიც მრავალი ნაპრალებით ყოფილა დახეთქილი.

დედამიწაზე არარატი ერთად-ერთი მთაა, რომლის გაუმაძღარი მუცელი ხარბათ ნთქავს მწვერვალზე და კალთებზე დაგროვილ თოვლისა და წვიმის წყალს. მის სიღრმეში შეგუბებული წყალი ჯერ გაუქრობელ ვულკანური ცეცხლით ადუღებული, ხანდახან ჯოჯოხეთურ რისხვათ ევლინება არარატის სამეფოს.

ახლო-მახლო სოფლებს დღესაც კარგად ახსოვს 1840 წლის საშინელება, როცა ძლიერი მიწისძვრის შემდეგ გაპობილ ნაპრალებიდან სოფელ ახგურის ახლოს ამოვარდა ორთქლი და ამოსტყორცნა გახურებული ტალახი, რომელმაც ერთ საათში დამარხა მთელი მოსახლეობა თავისი კარმიდამოთი, ყანებით და ბაღ-ვენახებით, რომ ერთ წვეთსაც არ იმეტებს მოწყურებულ ველებისათვის.

ალბათ იმიტომ, რომ იგი ასეთი სასტიკი და დაუნდობელია, არ უყვარს იგი სომხეთის გლეხობას. სომხური ხალხური ეპოსი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს მასისის (ანუ არარატის) მთას, მაშინ, როცა მის პირდაპირ აღმართული ალაგეზის ქედი—მრავალმდინარეების მკვებავი და მწყალობელი, სომხური სახალხო პოეზიის ცენტრალური გმირია.

ალბად სომხ. გლეხობისათვის, რომელსაც (როგორც საერთოდ გლეხს) ყოველი სასარგებლო, ამავე დროს ლამაზათ და პოეტურად მიაჩნია, გაუგებარი იქნება ჩვენი პოეტების აღტაცება არარატის მწვერვალით. ჩვენი მწერლების აზრს და გონებას ისე დაწვა არარატის სიმძიმე, რომ შემდეგ, როცა სურდათ გამოეხატათ თავისი აღტაცება სომხეთის ბუნებით, მუდამ იგონებდენ სევანის ტბასთან ერთად დიდებულს,—ბიბლიურ არარატს.

— არარატი, სულ არარატი,—რას ჩაცივდით ამ არარატს, იხუმრა ერთმა სომეხმა მწერალმა. გაიგეთ ხალხო, რომ ეხლა არარატი სომხეთს აღარ ეკუთვნის.

მის შენიშვნას მეორე სომეხმა მწერალმა შემდეგი ანეკდოტი მოაყოლა.

— ოსმალეთის აწ განსვენებულ სულთანის მთავრობამ საყვედური შეუთვალა საბჭოთა კავშირს: რათ არის არარატი სომხეთის სახელმწიფო ღერბზე გამოხატული, იგი ხომ ჩვენ გვეკუთვნისო. ჩიჩერინმა უპასუხა: თქვენს სახელმწიფო ღერბზე მთვარეა გამოხატული, რაც იმას არ ნიშნავს, რომ მთვარე მხოლოდ ოსმალეთის საკუთრებას შეადგენსო.

მართალია არარატი დღეს სომხეთის ფარგალში არ არის, მაგრამ ძნელია სომხეთის წარმოდგენა უარარატოთ და არარატის უსომხეთოთ. თუმცა, როგორც ვსთქვი, სომხეთის ხალხი არ არის არარატის მაინცა და მაინც დიდი მოყვარული და პატივისმცემელი (ალბათ, ამიტომ დაუთმეს დაშნაკებმა არარატი ოსმალეთს). გლეხობისათვის გაუგებარია ალპინისტების მისწრაფებაც ამ მწვერვალისაკენ. ადგილობრივ მცხოვრებლებს თურმე დღესაც არ სჯერათ, თუ ამ წყეული, ძნელი და კუშტი მთის მწვერვალი ახლო გაიკარებს ადამიანის ფეხს. ნამდვილად,—არარატის მწვერვალი 20-ჯერ არის მოთელილი ალპინისტების ფეხებით. შეიძლება ბევრმა ალპინისტმაც კი არ იცოდეს, რომ სწორეთ მიმდინარე წლის 29 სექტემბერს სრულდება 100 წელიწადი—მთელი საუკუნე, რაც არარატის მწვერვალზე პირველად ფეხი შედგა დერპტის უნივერსიტეტის პროფესორმა პაროტმა. ეს ის აკადემიკოსი პაროტია, რომელმაც 1811 წელს პირველად სცადა მყინვარწვერის დაპყრობა, მაგრამ 4.250 მეტრის სიმაღლიდან უკან დაბრუნდა სასტიკათ დამარცხებული. პაროტის შემდეგ არარატის მწვერვალი მოლახეს გეოლოგმა აბიხმა, სპანსკიმ და ხოძკომ, რომლებმაც ხუთი დღე დაჰყვეს მწვერვალზე (1855 წელი, 19—24 აგვისტო) და მისი სიმაღლიდან ტრიგონომეტრიულად გადაიღეს მთელი ამიერ-კავკასია. ხოძკო გადმოგვცემს, რომ მოწმენდილ ამინდში არარატიდან იგი კარგად ხედავდა 270 ვერსით დაშორებულ სავალანის კონუსს (სამხრეთით) 360 ვერსით დაცილებულ იალბუზის მწვერვალს (ჩრდილოეთით). ხოძკომ თავისი ასვლის მოსაგონარათ მწვერვალზე დასტოვა მაღალი ხის ჯვარი, რომელიც დაცული დახვედრია სტიუარტს, ჯონ ბრაინსს, ბეკერს და კიდევ მრავალ შემდეგ ასულ ალპინისტს. მგონია ეს ჯვარი ეხლაც შენახულია და კიდევ დიდხანს იქნება იგი აღმართული, თუ კომკავშირელებმა, (რომლებიც ყოველგვარ ჯვრებისა და მონასტრების მტრები არიან) არ მოუღეს ბოლო ამ ჯვარსაც, რომელიც აქ, ამ მწვერვალზე იმდენად ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლო არ არის, რამდენადაც მოწმე ადამიანის გამარჯვებისა ბუნების მრისხანებაზე.

⁂

საღამოვდება. ჩვენ თვალწინ გადაშლილია არეზის ველის თვალუწვდენი დაბლობი. ამ ველზე,—ჩამავალ მზის სხივებში გახვეულ არარატს თავის კალთები შლეიფის კიდეებივით გადმოუფენია. ერთფეროვან ფონზე აქაიქ გაბნეულია მწვანე ოაზები. ერთ მათგანს ჩვენ თავზე გადავადექით. მაღალი ალვის ხეები და ნაირნაირი ხეხილის ბაღები წინ ფიანდაზად გადაგვეშალნენ. ჩვენ შევიჭერით ბაღების მწვანე სიგრილეში.

ესეც ერევანი—ახალგაზრდა რესპუბლიკის პირველი ქალაქი. დაგვაბინავეს ახლად აგებულ სასტუმროში. ჩამოვირეცხეთ მტვერი, მაგრამ ჩვენი სახეები მთის ჰაერისაგან ისეა გაწითლებული, როგორც ცეცხლზე წამოდიცხებული გოჯი. საღამოს 7 საათია, ნუ დავკარგავთ ნურც ერთ წუთს. ვნახოთ როგორია საბჭოთა სომხეთის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების კერა—ერევანი, რომელიც მხოლოდ 10—12 წელიწადია, რაც დედაქალაქობს.

ჩვენი სასტუმრო ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში არის აგებული. აქედან იწყება ვრცელი განიერი ქუჩა, რომელიც შუაზე ჰყოფს ქალაქს. მარჯვნივ და მარცხნივ ორსართულიანი ევროპიული სახლებია.

— გავისეირნოთ ჩვენი ქალაქის მთავარ პროსპექტზე, რომელიც თქვენი რუსთაველივით, ჩვენი სამწერლო ენის რეფორმატორის აბოვიანის სახელს ატარებს.—მითხრა ახალგაზრდა მწერალმა ხოჯეკამ.

წავედით სასეირნოთ. ქუჩა საზეიმოთ მორთული დაგვხვდა. წითელი პლაკატებით გაკრული, მისასალმებელი წარწერით სომხურ-თურქულ და ქართულ ენაზე. რამოდენიმე გაჩირაღდნებული სახლით. ქუჩა გაჭედილი აუარებელი ხალხით. დასეირნობენ არა ფილაქნებზე, არამედ შუა ქუჩაში. ორივე მხარეზე ქუჩას ჩაუდის რუ. ყოველ ორ საათში მოუკირწყლავი ქუჩა ირწყვება რუებით. ჰაერი გაჟღენთილია სველი მიწის სუნით. ამ მთავარ ქუჩაზე აკრძალულია ავტოებისა, ეტლებისა და ბორბლიანი საზიდების მისვლა-მოსვლა.

— ეს არის სომხეთის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ეს სახკომსაბჭო, ეს აღმასკომი — მიმითითებს ჩემი გამყოლი სხვადასხვა შენობებზე. ირკვევა, რომ თითქმის ყველა დაწესებულება ამ მთავარ ქუჩაზე მოთავსებული. მრავალია მაღაზიები გემოვნებით მორთული ვიტრინებით. სჭარბობენ ზანკოოპის, (ჩვენებურად მუშკოოპის) სავაჭროები. ხალხით აჭრელებულია აბოვიანის ქუჩა, ერევანს ელექტრონის უხვი სინათლე დიდ ქალაქს ამსგავსებს, ისმის უმთავრესად სომხური ლაპარაკი, რუსულს იშვიათად გაიგონებთ, უფრო იშვიადთ, ვიდრე ქუთაისში, ან ხონში. ეს ხდება, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ სომხები პატრიოტული მოსაზრებით გაურბოდენ რუსულ ლაპარაკს.

— უკანასკნელ წლებში,—მითხრა ჩემმა თანამგზავრმა,—ერევანში თავი მოიყარა ოსმალეთიდან გადმოხვეწილმა სომხობამ და უცხოეთიდან ჩამოსულმა ინტელიგენტებმა, რომლებსაც ან სრულიად არ გაეგებათ რუსული ენა, ან არ ემარჯვებათ მასზე ლაპარაკი. ჩვენი სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდებსაც კი არ ეხერხებათ რუსულ ენაზე საუბარი.

⁂

ერევანი მთლიანი ბაღია. ბევრს შენობას აქვს საკუთარი ეზო ხეხილით გაშენებული. ქალაქს გარშემო არტყავს ბაღები. ერევანი ისეა დაბურული ხშირფოთლოვანი ხეებით, რომ ალაგ-ალაგ ცის თალი მოსჩანს, როგორც პატარა ლურჯი ნაჭერი. ხეები ჩრდილავენ შორეულ პერსპექტივებს. საჭიროა სახურავზე ასვლა, რომ დაინახო არარატი, ან ალაგეზი, რომელიც ქალაქს სამხრეთ დასავლეთიდან დასცქერის.

თუ გაცილდებით ქალაქის ცენტრალურ ნაწილს და განაპირა უბნებს მოინახულებთ, დარწმუნდებით, რომ ერევანი ჯერ კიდევ ორი სიბრტყის ქალაქია: ერთ სიბრტყეს წარმოადგენენ ქუჩები, მოედნები, ბაღები, ხოლო მეორეს ერთ და იმავე სიმაღლის სახლების ჰორიზონტალური სახურავები. ქუჩები ისე ვიწროა, რომ შორიდან შეუმჩნეველია ქალაქის განაპირა რაიონების კვარტალებათ დაყოფა. ბანი ერთი სახლისა უერთდება მეორე ქუჩის სახლის ბანს და ამგვარად იქმნება მთლიანი ჰორიზონტალური სიბრტყე, რომელიც თავს დასცქერის ვიწრო ქუჩებს და არხებში მიმდინარე წყალს.

ეს ორი სიბრტყის ქალაქი დასანგრევათ არის განწირული. დღეს მთელი ქალაქი საამშენებლო მასალების საწყობს წარმოადგენს. სწორედ ამ ორსიბრტყოვან უბნებში შეხვდებით დაგროვილ ქვიშას, ქვის კუბიკებს, კირს, ხე-ტყეს და ყოველგვარ საამშენებლო მასალას. შენდება ახალი ქალაქი, ახალი ერევანი. უკანასკნელ ორ წელიწადს მას შეემატა მრავალი საწარმოო, სამეცნიერო, სახელმწიფო, საზოგადო შენობა (ბამბის ქარხნები, მექანიკური ქარხანა, პოლიგრაფტრესტის შენობა, სახკინმრეწვის ფაბრიკა, ანატომიკუმი, მიწსახკომის შენობა და კიდევ მრავალი საწარმოო და მუშათა სახლი). ეს შენობები სრულიად ახალ იერს აძლევენ ქალაქს. ესენი პირველი ნაკვეთები, პირველი კონტურებია მომავალი ქალაქისა, რომელიც იქნება პლასტიური განსახიერება სოციალისტური გეგმიანობისა.

ერევნის შენება სწარმოებს არქიტექტორ თამანიანის ხელმძღვანელობით. მას შეუდგენია ახალი ქალაქის გეგმა. ვინც კი ამ გეგმას გასცნობია, აღფრთოვანებულია: ისეთი გონება-მახვილობით არის იგი შემუშავებული. გეგმით ქალაქი დანაწილებულია რამოდენიმე უბნად, რომელთაგან მთავარია სამრეწველო, სადმინისტრაციო, საუნივერსიტეტო და სახელოვნო უბნები. ეხლა ყველა უბანში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. ზოგი ჩამოთვლილი შენობები თავის დანიშნულების მიხედვით აგებულია ამა თუ იმ უბანში (მაგ. ძერჟინსკის სახელობის მექანიკური სახელოსნოები და ბამბის ქარხნები აგებულია სამრეწველო რაიონში; საუნივერსიტეტო უბანში თვით უნივერსიტეტი, ანატომიკუმი, ა.-კ. ვეტერინალური ინსტიტუტი. სადმინისტრაციო უბანში—მიწსახკომის სახლი და ა. შ.), ქალაქის შუა გულში გათვალისწინებულია გაშენდეს დიდი ბაღი, ცენტრში ლენინის ძეგლით. გეგმა გულისხმობს ქალაქის კეთილმოწყობის სხვა მხარეებსაც, მაგ. არხების გამოყვანას და ტყის გაშენებას ქალაქს გარშემო მდებარე გორაკებზე, საიდანაც ამჟამად ქარს მოაქვს მტვრის კორიანტელი. გეგმა ითვალისწინებს კიდევ უფრო რადიკალურ ღონისძიებებს, ზანგიდან გამოყვანილი არხის შეგუებას ხელოვნური ტბის მოსაწყობათ. ეს გააგრილებს ქალაქის ცხელ ჰავას. თამანიანს დაწვრილებით და ზედმიწევნით ჰქონია დამუშავებული გეგმის დეტალებიც; უბნებისა და შენობების პროექტები. ზოგი ამ პროექტიდან უკვე ხორცშესხმულია. თამანიანს იშვიათი ოსტატობით გადაუჭრია —ხუროთმოძღვრების თანამედროობასთან შეფარდების ამოცანა. მას დაუძლევია ის სიძნელეები, რომელიც წინ ეღობება ყოველ ხუროთმოძღვარს წარსულის ტრადიციების, გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული პირობების, ნიადაგის და ჰავის თავისებურობის სახით. უდაო ჭეშმარიტებაა, რომ არ შეიძლება შენობის პროექტის შედგენა სივრცისა და დროის გარეშე. პროექტი უნდა ეგუებოდეს ნიადაგის პროფილს, ჰავის თავისებურებას და თანამედროვე მოთხოვნილებებს. თამანიანი მთელ რიგ აგებულ შენობით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. ისინი შეეფერებიან რა გარემოცულ პირობებს, ჰქმნიან ერთ მთლიან ანსამბლს გარემოსთან, მაგრამ ეს არ კმარა. გარემოცულ ბუნებასთან ჰარმონიულად შეთანხმებულია ძველი სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლებიც. იქნებ თამახანის შენობები მათ ასლს წარმოადგენენ? მერე რა უამრავ საცდუნებელ მასალას შეიცავს სომხეთის ძველი ხუროთმოძღვრება. მთელი სომხეთი იშვიათი ძეგლების კოლექციაა, ძველი ნაშთებით სავსე მუზეუმებია, მაგრამ მათი უცვლელი სახით აღდგენა იქნებოდა ზურგის შებრუნება თანამედროვეებისათვის,—ხუროთმოძღვრება დროის გარეშე. იგი უმსგავსოც იქნებოდა, როგორც ჩვენი დროისთვის უსარგებლო და გამოუყენებელი. მე წარმომიდგენია კომიკური მდგომარეობა ამ მონაგარიშის, რომელიც სცხოვრობს ან მუშაობს ისეთ შენობაში, როგორიც თბილისის, წყნეთის ქ. აგებული ციხე-სიმაგრეა. ასეთ კოშკებიდან გამოიყურებოდენ და მტერს ზვერავდენ მუზარადში ჩაცმულნი, თავზე ჩაფხუტ დახურული, ფარხმალში ჩაჭედილი რაინდები, ამ საბრალო მონაგარიშეს კი ტანზე გიმნასტიორკა აცვია და ხელში ფარისა და ხმლის ნაცვლად კალამი უჭირავს, რა შეუსაბამობაა, დისჰარმონიაა. თავისთავად მონაგარიშე სრულიადაც არ არის სასაცილო, მაგრამ მისი ცხოვრება ამ სასახლეში ხდის მას სასაცილოდ ისე, როგორც სასაცილო იქნებოდა დღეს ყოველი ჩვენგანი რაინდის ტანსაცმელში გამოწყობილი.

შენობის კედლების სიმაღლე სიგანე, ჩაღრმავებული და ამოწეული სიბრტყეების თანამიმდევრობა, ფასადის ყველა მუხლების ჰარმონიულობა, შენობის ცალკე ნაწილების პროპორციულობა, დეკორატიული მორთულება თამანიანს დაუქვემდებარებია დღევანდელი საჭიროებისათვის. ამავე დროს მას ოსტატურად გამოუყენებია ძველი ხუროთმოძღვრების ელემენტები, ძველი სტილის მოტივები, ისე, რომ არ დაუკარგავს სომხური ხუროთმოძღვრობის თავისებური ხასიათი. თამანიანი ჰქმნის ახალ სომხურ სტილს, რომელიც ალბათ გადალახავს სომხეთის საზღვრებს. ჩვენმა მწერლებმა მას სთხოვეს კულტურის სახლის პროექტის შედგენა საქართველოსათვის.

აი სწორეთ—ეს თამანიანი დღეს დაუნდობლად ანგრევს, რომ ააშენოს, სთიბავს მომწიფებულ თაველებს იმ მიზნით, რომ აღმოაცენოს ახალი ნაყოფი. დღეს სომხეთში იგი ყველაზე პოპულიარული პიროვნებაა, რადგან მისი პროექტით შენდება არა მარტო ერევანი, არამედ ბევრი სხვა დაბა-ქალაქიც. იმას აქვს სახელოსნო, ლაბორატორია, სადაც ახალგაზრდა არქიტექტორები გულდასმით სწავლობენ სომხურ საამშენებლო ხელოვნების დეტალებს და ამუშავებენ ახალი ხუროთმოძღვრების პრინციპებს. ამ სახელოსნოში დამუშავდა ახალი ერევნის პროექტი, რომელმაც ნახევრად აზიური ქალაქი უნდა აქციოს არა უბრალოდ ქალაქად, არამედ მხატვრულ ნაწარმოებათ,

სომხეთის მშრომელი მოსახლეობა შესძლებს ამ დიდი გეგმის განხორციელებას. ამისოდ მას მოეპოვება საამშენებლო მასალის დიდი მარაგი, მომზადებული ტექნიკური ძალები, და რაც მთავარია საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების რეალური დახმარება.

⁂

არც ერთი ქალაქი ამიერ-კავკასიაში ისე არ იზრდება, როგორც ერევანი. მას აწვება ყოველი ქვეყნიდან მოზღვავებული სომხების ტალღა. 1900 წელს ერევნის მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა 15 ათას. ხოლო 1914 წ. 30.000, ახლა იგი 75 ათასს უახლოვდება. რასაკვირველია,—ქალაქს არ ყოფნის საბინაო ფონდი. თვითეულ სულზე აქ მოდის 2,5 მეტრი საცხოვრებელი ფართობი. საბინაო კრიზისის დაძლევისაკენ არის მიპყრობილი ქალაქის საბჭოს და მთავრობის მთელი ყურადღება. ამ მიზნით, პირველ ყოვლისა, შენდება საამშენებლო მასალის დამამზადებელი ქარხნები (კირის, აგურის, ქვიშის ქარხნები) და ფართოვდება ტუფის, გრანიტის, პემზის, მარმარილოს მოპოვება, რაც აუცილებელი პირობაა საბინაო მშენებლობის ტემპის დაჩქარებისათვის.

თუ ერევანი ბაღების ქალაქია, ეს საირიგაციო არხების წყალობით, რომელიც ნაადრევი გაზაფხულიდან ნაგვიანებ შემოდგომამდე გრილი სიმწვანით მოსავს მთელ ქალაქს. მცენარეულობა აქაური ბაღებისა გაუმაძღარია. ყოველ წუთში იგი მორწყვას მოითხოვს. დღემდე კმაროდა 30 წლის წინათ გაყვანილი არხის წყალი, ეხლა იგი მცხოვრებთა საჭიროებასაც ძლივს აკმაყოფილებს. ერთად - ერთი გზა წყლის დებეტის გადიდებაა, საბჭოს გამოჰყავს ახალი წყალსადენი. აგებს 2 აუზს, რომლიდან ერთი ქალაქის დაბლობ ნაწილს მიაწვდის წყალს, მეორე—მაღლობს. დღევანდელი 200 ათასი ვედროს ნაცვლად ქალაქი მიიღებს 1.500.000 ვედროს. პირველი წლებისთვის ესეც კმარა, შემდეგისათვის კი ზრუნავს თამანიანის გეგმა.

⁂

ერევანი ამაყობს თავისი პირველი ელექტრო-სადგურით, რომელიც ამჟამად ამოძრავებს უკვე მრავალრიცხოვან საწარმოთა კუნთებს. სადგური მდ. ზანგის პირათ, ქვაბულში არის ჩადგმული. თითქმის 100 მეტრის სიმაღლეზე ჩამოშვებულია ორი უანგისფრად შეღებილი უზარმაზარი მილი, რომელიც ატრიალებს სადგურის ტურბინებს. საგენერატორო შენობა აუგია თამანიანს, სიმტკიცე და სიმარტივე შენობისა შეეფერება მის ინდუსტრიალურ დანიშნულებას. სადგურის აგება დამთავრდა 1926 წელს. იძლევა 7 ათას ცხენის ძალას, დაჯდა (დაბალი [illegible]) — 1.700.000 მან. მომხმარებლად ჰყავს კარბიდის, ზეთის სახდელი, ბამბის საპენტი, მექანიკური ქარხნები, ქალაქის მოსახლეობა, დაწესებულებები, ქუჩები. სადგური უკვე 15 პროც. მეტად არის დატვირთული. ეხლა მის 2 აგრეგატს კიდევ ემატება მესამე, რომ სადგურმა შესძლოს ახალ საწარმოების დაკმაყოფილება,—და აიგერ-გელის ტბიდან აყვანილ მექანიკურ საქაჩავით 1000 ჰექტ. მიწის მორწყვა.

ერევნის ელსადგური პირველი ელექტრო-ცხენია, რომელიც შეიჭრა სომხეთის სახალხო მეურნეობაში. მას მიჰყვება ლენინაკანის, ინჯევანის ელსადგურები და ეხლა იბადება კიდევ ა.-კ. ენერგეტიკის ერთი ბურჯთაგანი—ზაჰესის, რიონჰესის, ქარასხალის (აზერბეიჯანშია)—გვერდის დამამშვენებელი ძორაჰესი—ჰიდროცენტრალი 30 ათასი ცხენის ძალით, რომელიც გამოჰკვებს ქიმიურ ქარხნებს, ალავერდის სპილენძის ჩამომსხმელ ქარხნებს, ბაზალტის წარმოებას და უღელს დაადგამს რკინის გზის ხაზს სანაინიდან ლენინაკანამდე. როგორც გადმოგვცეს, ეხლა ძორაჰესზე ყოველდღიურათ მუშაობს 1.500 კაცი, 75 პროც. დამთავრებულია საგუბარის სათავე, გვირაბისა და არხის გაყვანა.

ძორაჰესს გარდა, ხუთწლიანი გეგმით განზრახულია კიდევ კანაკარის ჰიდროცენტრალის აგება. ესენი იქნებიან ელექტრონის გიგანტები, რომელთაც წინ მოუძღვის ერევნის პირველი პირმშო—რიკოვის სახელობის ელსადგური.

ვ. წულუკიძე.

ქრონიკა

მარგანეცის ექსპორტი

მარგანეცის ტრესტის ცნობით გასული ივლისის განმავლობაში საქართველოდან საზღვარ გარედ გაზიდულია 67.923 ტონა მარგანეცი.

სახალხო სახლის გახსნა

4 აგვისტოს სოფელ ქვემო მაჩხაანში დანიშნულია ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის სახალხო სახლის საზეიმო გახსნა. სახლის საზეიმო გახსნაზე დასასწრებლად თბილისიდან მიწვეულია ამხ. ფ. მახარაძე, ქ. ხომერიკი და სხვები.

ალბომი „საბჭოთა აღმშენებლობა საქართველოში“.

ამაღლების თემის საშეფო საზოგადოებამ ინვალიდთა დამხმარე კომიტეტთან ერთად დაადგინა ახლო მომავალში გამოსცეს დასურათებული ალბომი (ალბომში მოთავსებული იქნება 100 სურათზე მეტი) სახელწოდებით: „საბჭოთა აღმშენებლობა საქართველოში“. ალბომი ეღირება 1 მ. 50 კაპ.

მიწად-მოწყობა

ამჟამად საქართველოში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს მიწის მოსაწყობად. განსაკუთრებით მიწად-მოწყობა გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს ჩაის მეურნეობის რაიონებში, სადაც გადაწყვეტილია ჩაის მეურნეობის კოლექტივების დაარსება.

თბილისის რადიო-სადგურის გადაკეთება

უკვე დაწყებულია მუშაობა თბილისის რადიო-სადგურის გადასაკეთებლად. სადგურის გადაკეთება უნდა დამთავრდეს 1-ლ სექტემბრამდე და ამ ხნის განმავლობაში, ე. ი. 2 აგვისტოდან სექტემბრის პირველ რიცხვამდე რადიო-გადაცემები თბილისიდან შეჩერებული იქნება.

თბილისის რადიო-სადგურის გადაკეთება სწარმოებს მისი ძალოვნების გადიდების მიზნით, ე. ი. 4 კილოვატიან სადგურის ძლიერება 1-ლი სექტემბრიდან იქნება 12 კილოვატი.

თბილისის ალმასკომში

◆ ახალი ხიდი. ალმასკომი ხარფუხში აგებს ახალ ხიდს.

◆ ბაღების გაშენების მიზნით ალმასკომმა დაადგინა ქალაქში მდებარე თავისუფალ და დიდ ნაკვეთ მიწებზე აკრძალოს სახლების აგება.

გლეხკომებში

◆ გლეხკომების პლენუმი: 4 აგვისტოს ბათომში დანიშნულია აჭარისტანის გლეხკომების პლენუმი. პლენუმზე დასასწრებლად გუშინ ბათომში გაემგზავრა საქართველოს ცენტრალური გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. ქ. ხომერიკი.

◆ ამხ. ვასო ფანჯაკიძის გამოგონილი წისქვილი. ამას წინად გაზეთ „ახალ სოფელ“-ში ცნობა იყო მოთავსებული ამხ. ვ. ფანჯავიძის გამოგონილ პატარა ზომის ავტომატიური მოძრავი წისქვილის შესახებ. ცენტრალურმა გლეხკომმა ერთი ცალი ამ წისქვილის დაამზადა სანიმუშოდ და აამუშავა.

გამოცდამ დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო. წისქვილი ერთი საათის განმავლობაში ფქვავს დაახლოებით 10 ფუთ ხორბალს.

◆ კახეთის მაზრაში გლეხკომების პლენუმი დანიშნულია 11 აგვისტოსათვის.

სხვადასხვა

◆ მუზეუმი. თბილისში ეწყობა შინამრეწველობის მუზეუმი.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

მოსკოვის დრამატიული ბალეტის უკანასკნელი გასტროლი

დღეს, 3 აგვისტოს საღამოს, საზაფხულო ბაღში (ყოფ. არტო) შესდგება მოსკოვის დრამატიული ბალეტის უკანასკნელი გამოსათხოვარი გასტროლი. საღამოს პროგრამაში შეტანილია რამოდენიმე ახალი ნომერი და მათ შორის—„აბაჟურების კარნავალი“.

ბაღში დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი სახალხო არტისტ ლ. შტეინბერგის დირიჟორობით. ესტრადაზე არკადინი, გრიდოვი და მომღერალი ოლენინი.

მუშა—ოპერის თეატრის დირექტორის თანაშემწედ

თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის დირექტორის თანაშემწედ დაინიშნა სტალინის სახელობის ქარხნის ყოფილი მუშა ამხ. ვასო თანიაშვილი

—:—

ამხ. ვ. თანიაშვილი

ამხ. ვასო თანიაშვილი დაიბადა 1892 წელს თბილისში. მამა მისი თბილისის ორთქლმავლების დეპოს მუშა იყო.

15 წლის ვასომ დაიწყო მუშაობა მაშინდელ, თბილისის მთავარ სახელოსნოების ლითონის ჩამომსხმელ საამქროში და დაჰყო იქ 20 წელი.

1907 წელს ამხ. თანიაშვილი შედის ს.-დ. მუშათა პარტიაში და აქტიურ მონაწილეობას იღებს თბილისის რკინის გზის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლაში, რისთვისაც ის არა ერთხელ იქნა დაპატიმრებული. ეხლა ამხ. ვასო საქართველოს კ. პ. (ბ) აქტიური წევრია.

1927 წელს ამხ. თანიაშვილი, როგორც აქტიური და შეგნებული მუშა, დაწინაურებული იქნა პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე. პლეხანოვის სახელობის კლუბი დღეს თბილისში ერთ-ერთ საუკეთესო კლუბად ითვლება და ამ კლუბის აღორძინებაში ამხ. ვასოს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის.

როგორც აქტიური და შეგნებული მუშაკი კულტურულ დარგში, ის პარტიამ და პროფორგანიზაციამ დააწინაურა უფრო მეტად საპასუხისმგებლო—სახელმწიფო ოპერის თეატრის დირექტორის თანაშემწის თანამდებობაზე.

ფერო-მარგანეცის ქარხნის აგება

საქართველოს მარგანეცის ტრესტში მიღებული ცნობებით უკვე დაწყებულია სამზადისი ფერო-მარგანეცის ქარხნის ასაგებათ, რომელიც მზად უნდა იქნეს 1931 წლის შემოდგომისათვის. ქარხნის აგება განზრახულია ზესტაფონის რაიონში, სადაც უკვე სწარმოებს შესაფერი წინასწარი გამოკვლევები.

ამუშავების პირველ წელიწადს ქარხანამ უნდა დაამზადოს 50.000 ტონა მზა ფერო-მარგანეცი, ხოლო შემდეგ წლებში კი 100.000 ტონა ფერო-მარგანეცი ყოველწლიურად.

ფერო-მარგანეცის ქარხნისათვის პროექტის დასამუშავებლათ დაწყებულია სათანადო მუშაობა. პროექტის შესადგენათ მოწვეული იქნებიან ევროპის ცნობილი სპეციალისტები.

ქარხნის სააღმშენებლო პროექტის დამუშავებამდე, თბილისში აგებული იქნება ფერო-მარგანეცის საკეთებელი საცდელი ქარხანა, სადაც მოეწყობა ერთი ღუმელი. საცდელ ქარხანაში ჩატარდება ცდები, იმის გამოსარკვევათ, თუ ჭიათურის მარგანეცის მადნისაგან ფერო-მარგანეცის მისაღებათ როგორი კონსტრუქციის მანქანები, ან როგორი ხასიათის საწვავი მასალა იქნება უფრო შესაფერისი და ხელსაყრელი. საცდელ ქარხანაში მიღებული შედეგების მიხედვით იწარმოებს ფერო-მარგანეცის ქარხნის აგებაც.

ფერო-მარგანეცის ქარხნის აგება საკავშირო უმაღლესი ორგანოების დადგენილების თანახმად უნდა დაიწყოს მომავალი საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

საზ-ზა „საბჭოთა ტურისტი“-ს „მუშაობა“

საექსკურსიო ბაზები საქ. სამხედრო გზაზე ანტი-სანიტარულ მდგომარეობაშია — „ზაკავტომპრომტორგი“ არავითარ ყურადღებას არ აქცევს ექსკურსანტების წესიერად გადაყვანას. — ექსკურსანტების ნივთებს გარბანას 2—3 დღით აგვიანებენ. — „საბჭოთა ტურისტი“-ს ზოგი ლექტორი კონტრ-რევოლიუციონურ აგიტაციას ეწევა

მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ექსკურსიების მოწყობას.

სათანადო ორგანოებმა გაუწიეს რა ანგარიში ამ გარემოებას, დაარსეს სააქციო საზოგადოება „საბჭოთა ტურისტი“, რომლის ამოცანას წარმოადგენს ყოველმხრივი სამსახურის გაწევა ექსკურსანტებისათვის. მაგრამ აი ამ საზოგადოების „მოღვაწეობის“ თვალსაჩინო ილიუსტრაცია:

29 ივლისს სადგ. ფასანაურში შესდგა ექსკურსანტთა ექვსი ჯგუფის საერთო კრება. ეს ჯგუფები მოდიოდნენ კავკასიის მარშრუტით საზოგადოება „საბჭოთა ტურისტი“-ს მეშვეობით. კრებას დაესწრო 70 ტურისტი, რომელთა უმრავლესობას შეადგენდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის მუშები. კრებაზე გამოირკვა, რომ სააქციო საზოგადოება „საბჭოთა ტურისტი“ ნაკისრ ვალდებულებებს მეტად ცუდად ასრულებს.

ფასანაურის ბაზაში,—როგორც ექსკურსანტების საერთო კრების ოქმშია ნათქვამი, — სადგომები განსაკუთრებულ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ოთახებს რამდენიმე დღის განმავლობაში არ ასუფთავებენ, ლეიბები ჭუჭყიანია, დაფარულია მტვერით და პარაზიტებით. სადგომებში არ არის სასმელი წყალი. საფარეშოები საშინელ მდგომარეობაშია და მათი გამოყენება შეუძლებელია. საუზმეში მატლები ჭურია და სხვ.

ყაზბეგის და კავკავის ბაზებშიაც არ არის მაინცდამაინც უკეთესი მდგომარეობა.

„ზაკავპრომტორგ“-ის უყურადღებობის წყალობით, ექსკურსანტების ნივთებს ყაზბეგ - ფასანაურის უბანში ორი - სამი დღით აკავებენ. ექსკურსანტებს ამის შესახებ არავინ აფრთხილებს და ამიტომ ისინი რჩებიან უსაზნოდ, უპირსახოცოდ, უთეთრეულოდ და სხვ.

ექსკურსანტების სხვადასხვა ჯგუფების ნივთებს ერთმანეთში ურევენ და სხვადასხვა დროს მოაქვთ დანიშნულებისამებრ. „ზაკავტოპრომტორგ“-ი ყურადღებას არ აქცევს საექსკურსიო ბაზების განრიგებას, მაშინ, როდესაც კერძო ტურისტებს დაუბრკოლებლივ ისტუმრებს.

მთელი ამ „სიამოვნებისათვის“ ორგანიზაციული წესით მომავალი ექსკურსანტები, სააქციო საზოგადოება „საბჭოთა ტურისტს“ დღეღამეში აძლევენ 5 მანეთს.

ეს ეხება შეეხება ექსკურსიების ტეხნიკურ მხარეს. მაგრამ „საბჭოთა ტურისტი“ იდეოლოგიურ მუშაობაზედაც „ზრუნავს“. კავკავის და ყაზბეგის ბაზებში ექსკურსანტებს უკითხავენ ლექციებს. კავკავის ბაზაში ექსკურსანტებს საშუალება აქვთ მოისმინონ ლექცია შემდეგ თემაზე „რევოლიუცია თერგის ოლქში“. ლექციის შინაარსია—თეთრგვარდიელ გენერალთა „საქმენი საგმირონი“. ხოლო თვით რევოლიუციონურ მოძრაობაზე თითქმის სულ არაფერია ნათქვამი.

ყაზბეგში კიდევ უკეთესი ამბავია: 25 ივლისს წაკითხულ იქნა ლექცია შემდეგ თემაზე—„მთის მდინარეების მოქმედება“. ამ ლექციაში ლექტორმა სხვათა შორის აღნიშნა, რომ „ამ უკანასკნელ დროს ამიერ-კავკასიაში მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რიცხვის შემცირება დიდი გადასახადებით აიხსნება“.

კრებამ დაადგინა მთელი ამ ფაქტების შესახებ ცნობა მიაწოდოს საბჭოთა კავშირის და რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის გაერთიანებულ საჩივართა ბიუროს, ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს, სააქციო საზოგადოება „საბჭოთა ტურისტს“ და „ავტოპრომტორგ“-ის გამგეობას.

ჭიათურა. ხე-ტყის მასალის გადაზიდვა რკინისგზის სადგურიდან მღვიმევში

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ორკვირეული ჟურნალი

„საქართველოს მუშ-გლეხკორი“ № 6

ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება: გაზ. „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს, „ახალი სოფელი“-ს და „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს კანტორებში, როგორც თბილისში, ისე ადგილებზე.

ხელის მოწერის პირობები:

3 თვით—55 კაპ., 6 თვით—1 მ. 10 კ., წლით—2 მან. ცალკე ნომერი—10 კაპ.

ტირაჟი—43.133

რა ხდება ადგილებზე

ბოროტმოქმედება

ქუთაისი, 1 აგვისტო. სამაზრო პროკურატურამ დაამთავრა გამოძიება ქუთაისის ახალ შენებზე ჩადენილი ბოროტმოქმედებათა შესახებ. გამოძიებამ გამოააშკარავა სრული უყაირათობა, რომელიც გამეფებული იყო აბრეშუმის სართავ ფაბრიკაში, კირის და ბარიტის ქარხნებში. ზედმეტი ხარჯები უდრის 256 ათას მანეთს. სამუშაოთა უფროსმა გაუსმანმა დურგლები და ბეტონზე მომუშავენი ლენინგრადიდან გამოიწერა და ამაზე დიდძალი ფული დაიხარჯა. ხელფასი მუშებს ნორმის ზევით ეძლეოდა. ინჟენერი შენგელიძე და გაუსმანი კომუნალური ხარჯებისათვის (ბინა, განათება და სხ.) იწერდნენ ფულს რის უფლებაც მათ არ ჰქონდათ.

გამოკვლევის შემდეგ პასუხისგებაში იქნა მიცემული სამუშაოთა უფროსი გაუსმანი, მისი მოადგილე ინჟენერი შენგელიძე, მატერიალური ნაწილის გამგე ნაზაროვი, ტეხნიკოსი ფისანოვი და მოლარე ნიჟარაძე. ამ უკანასკნელს ჰბრალდება სიყალბის ჩადენა და 1.300 მანეთის მითვისება (ადს).

სოციალისტური შეჯიბრება აჭარისტანში

ბათომი, 1 აგვისტო. ბათომის ფაბრიკა-ქარხნებში სოციალისტური შეჯიბრების გაფართოვების გამო მაგრდება შრომის დისციპლინა, იზრდება შრომის ნაყოფიერება და მცირდება პროდუქციის თვითღირებულება. მაგრამ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს არსებით დეფექტებსაც. სააგიტაციო - ახსნა განმარტებითი მუშაობა უსისტემოდ სწარმოებს და დაკავშირებული არ არის ცალკე საწარმოს წინაშე მდგომ ამოცანებთან. პროფკავშირთა ზოგიერთ ორგანიზაციას ჯერ კიდევ არ შეუცვლია თავისი მუშაობა და ამ მუშაობაში სჭარბობენ ძველი მეთოდები. მუშათა ფართო მასები (განსაკუთრებით ახალი კადრები) საკმაოდ არ არიან ჩაბმულნი სოციალისტურ მშენებლობაში. სამეურნეო-პოლიტიკურ ხელშეკრულებებში არ ჩანს პრაქტიკული გეზი. გემო-კვების მუშებმა ხელშეკრულებაში აღნიშნეს შრომის ნაყოფიერების გადიდება 12 პროცენტით, გაადიდეს კი 24 პროცენტით. არ სწარმოებს სამეურნეო პოლიტიკური ხელშეკრულებების განხილვა მუშათა მასების მიერ. სამეურნეო ორგანოების მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში წმინდა ფორმალურია. არ არსებობს საპრემიო ფონდი. სუსტია აგრეთვე სამსახურის გაწევა სოციალისტური შეჯიბრებისათვის. პარტუჯრედები ჯეროვან ხელმძღვანელობას არ უწევენ შეჯიბრებას (ადს).

აჭარისწყალი და თაფარავანი

აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგური

აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის აგება დაიწყო ამ რამოდენიმე წლის წინათ, მაგრამ შემდეგში გამოირკვა, რომ საჭირო იყო სადგურის სააღმშენებლო პროექტში ზოგიერთა ცვლილებების შეტანა და სადგურის სააღმშენებლო რაიონის დამატებითი ჰიდრო-გეოლოგიური გამოკვლევები. მშენებლობის პროცესში გამოირკვა, რომ სადგურის აგების საქმეში დიდ ტეხნიკურ დაბრკოლებას წარმოადგენდა მთავარი საგუბრის აგების საქმე. ამის გამო გადაწყდა მოეხდინათ დამატებითი გამოკვლევები და სადგურის სააღმშენებლო პროექტიც შესაფერისად გადაეკეთებინათ.

ინჟ. ტიმოფეევმა, რომელიც დანიშნულია აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის სააღმშენებლო სამუშაოთა მთავარ ინჟენრად შეიმუშავა სადგურის სააღმშენებლო პროექტის ახალი ვარიანტი, რომლის თანახმადაც საგუბარის ასაგები ადგილი გადატანილი უნდა იქნას ახალ ადგილას, ხოლო უკვე არსებული ნაგებობების გამოყენება შესაძლებელი იქნება ვარიანტის თანახმად აგებული სადგურისათვის.

გადაწყვეტილია ინჟ. ტიმოფეევის მიერ დამუშავებული ვარიანტი წარდგენილ იქნას დასამტკიცებლად უმაღლეს ორგანოებში.

თაფარავანის ჰიდრო-ელსადგური

ახალქალაქის მაზრიდან დაბრუნდა სპეციალისტთა კომისია, რომელიც გაგზავნილი იყო იქ თაფარავანის ჰიდრო-ელსადგურის ასაგები ადგილის დასათვალიერებლად და ზოგიერთი დამატებითი ცნობების შესაკრებათ. თაფარავანის სადგურის სააღმშენებლო პროექტის დასამუშავებლათ ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმთან გამოყოფილია ცალკე საპროექტო ბიურო ინჟ. ბ. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით. აღნიშნული სპეც. კომისიის გაგზავნა ახალქალაქის მაზრაში მოხდა ს.მ.უ.ს. საპროექტო ბიუროს ინიციატივით.

სპეციალისტთა კომისიაში, რომელიც მონაწილეობას იღებს თაფარავანის ჰიდრო-ელსადგურის პროექტის დამუშავებაში და რომელმაც ადგილობრივ დაათვალიერა სადგურის ასაგები რაიონი, შედიან—ინჟ. ბ. ჭიჭინაძე, პროფ. გლუშკოვი (ჰიდროლოგიური ინსტიტუტიდან), პროფ. რიაბინინი (გეოლოგიური კომიტეტიდან), ინჟ. კამენეცკი („გლაველექტრო“), ინჟ. ჩიქოვანი, ინჟ. იოსოვსკი, ტიმოფეევი, გეოლოგი გაბუნია და ინჟ. პლატონოვი.

სპეციალისტთა კომისიის დასკვნით თაფარავანის ჰიდრო-ელსადგურის ძალოვნება შეიძლება აყვანილ იქნეს 100.000 ცხ. ძალიდან 150.000 ცხ. ძალამდე. სააღმშენებლო პროექტი დამუშავებული იქნება სამი ვარიანტით და სამივე ვარიანტი განსახილველათ წარედგინება უმაღლეს საკავშირო ორგანოებს. სადგურმა აგების შემდეგ ყოველწლიურად უნდა გასცეს 500.000.000 კილოვატ-საათი ენერგია.

სააღმშენებლო პროექტის დამუშავება დამთავრდება მიმდინარე წლის ნოემბერში.

ფართლის ბაზრის მოწესრიგება

სპეკულიანტებს ჩამოერთვა 100.000 მან. ფართალი

მიუხედავათ იმისა, რომ სათანადო ორგანოები სასტიკ ზომებს ღებულობენ ფართლეულის ბაზრის მოსაწესრიგებლად, უკანასკნელ ხანებში სპეკულიანტები მაინც ახერხებენ დეფიციტურ საქონლის შეძენას სხვადასხვა კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებებიდან.

გარდა ამისა არიან მთელი რიგი ისეთი პირები, რომლებსაც ყალბი წიგნაკების საშუალებით გამოაქვთ დეფიციტური საქონელი საფეიქრო სინდიკატის მაღაზიებიდან და კოოპერატიულ სავაჭროებიდან და შემდეგ აძლევენ კერძო ვაჭრებს.

ამ ბოლო დროს შემჩნეულია აგრეთვე, რომ კერძო ვაჭრები, უმთავრესად უცხოეთის ქვეშევრდომები, ლენინგრადიდან, მოსკოვიდან, ხარკოვიდან, ოდესიდან და საბჭოთა კავშირის სხვა სამრეწველო ქალაქებიდან ღებულობენ დეფიციტურ ფართლეულს საფოსტო ამანათებით.

თბილისის ალმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელმა განყოფილებამ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და მოახდინა ფართლეულის ბაზრის უეცარი გამოკვლევა.

დაკავებული იქნა 280 ამანათი 100.000 მანეთის ფართალი.

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს 1928 წლის 12 აპრილის სავალდებულო დადგენილების თანახმად, ყველა კერძო ვაჭარი ვალდებულია იქონიოს იმის მაჩვენებელი საბუთი, თუ სად ვისგან შეიძინა საქონელი.

დაკავებულ ამანათების პატრონთ არც ერთს არ აღმოაჩნდა ასეთი საბუთი, ამის გამო მათ ფართალი ჩამოერთვა და მათი საქმე გადაეცა სასამართლოს.

აღსანიშნავია, რომ ამანათებში არის ისეთი ფართლეული, რომელიც პირდაპირ საწყობიდანაა გამოტანილი.

მიღებულია აგრეთვე ზომები იმის გამოსარკვევად, თუ ვისი საშუალებით და როგორ ღებულობდნენ ისინი ამ დეფიციტურ საქონელს.

ჩამორთმეულ ფართლეულს შორის არის თეთრეული, შალის ძვირფასი ქსოვილები და სხვა.

გარდა ამისა კერძო ვაჭრებს აღმოაჩნდა ნაჭრობით შეძენილი ფართლეული. როგორც გამოირკვა, ეს ფართლეული შეძენილია გადამყიდველებისაგან.

გადამყიდველებისაგან საქონლის შეძენისათვის კერძო ვაჭრები დაჯარიმებულნი იქნებ 8.000 მანეთამდე.

სასამართლო

სახლის პატრონის შურისძიება

გიორგი ყოჩიშვილს (მცხოვრები თბილისში, ახალშენის მეორე ქუჩაზე), განსაკუთრებით არ მოსწონდა საბჭოთა ხელისუფლების ის კანონი, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს საბინაო ქირის გადახდაში აძლევს შეღავათს.

ყოჩიშვილი ყოველ წუთს იმის ცდაში იყო, რომ ამ კანონით არც ერთ მდგმურს არ ესარგებლა და სახლში ისეთები ჰყოლოდა, რომლებიც ქირას მის ნებაზე გადაიხდიდნენ.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე მდგმური მაინც გაკადნიერდა და სახლის პატრონს კაპეიკიც არ მისცა კანონით დაწესებულ ნიხრზე ზევით.

ამ გარემოებამ ყოჩიშვილი პირდაპირ საშინლად აღაშფოთა. რა ხერხი არ იხმარა „კადნიერ“ მდგმურების წინააღმდეგ, რა არ იღონა, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა.

როცა ღონებით ვერაფერს გახდა, ძალას მიმართა: საბჭოთა მდგომურებს დაუწყო შევიწროვება, ჩხუბი, აყალმაყალი.

განსაკუთრებით ამოიჩემა შალვა ნამორაძე, რომელიც ჯერ ქირას აძლევდა როგორც წითელ-არმიელი, შემდეგ როგორც უმუშევარი.

ყოჩიშვილმა სცადა ნამორაძის გამოსახლება სასამართლოს საშუალებით, მაგრამ სასამართლომ მისი საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა.

იმედგაცრუებული ყოჩიშვილი სასამართლოდან ქადილით დაბრუნდა შინ: „სასამართლო არ დაეხმარა, მაგრამ ეხლა მე თვითონ შევქმნი სასამართლოსო“—გაიძახოდა ის. გაბრაზებული ყოჩიშვილი წავიდა სამიკიტნოში და მთელი დღე ქეიფში გაატარა, თან გულში ფიქრობდა, როგორ ეძია შური.

ღამის 10 საათზე გალეშილი დაბრუნდა, მაგრამ ნამორაძე ოთახში არ დახვდა.

გაბრაზებული მიუხტა მეორე მდგმურს დავით შალითაურს, დაუწყო ლანძღვა, ყვირილი, კარებზე ბრახუნი, მაგრამ არავინ ხმა არ გასცა შიშით.

ამ დროს დაინახა სახლში მომავალი ნამორაძე, მიანება შალითაურს თავი და მუქარით გაეშურა მისკენ.

ნამორაძემ ტკბილად მიმართა გამხეცებულ ყოჩიშვილს—„დაწყნარდი, გამოფხიზლდი და ხვალ ვილაპარაკოთო“. ამ ლაპარაკში ყოჩიშვილმა უეცრათ იძრო გრძელი, ბასრი დანა და მუცელში ჩასცა ნამორაძეს.

მძიმედ დაჭრილმა ნამორაძემ მუცელზე იტაცა ხელები და გაიქცა იმავე ქუჩაზე მოშორებით მცხოვრებ თავის მეგობართან, შალვა სამარღანაშვილთან, რომელმაც ის არ მიიღო იმის შიშით, რომ მკვლელობა მისთვის არ დაებრალებიათ.

ნამორაძე თანდათან მწვავე ტკივილებს გრძნობდა და სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ უკანასკნელად კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალა და წავიდა თავის მშობლებთან ახალშენის მე-5 ქუჩაზე, საიდანაც სასწრაფოდ წაიყვანეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

ეს მოხდა ამა წლის 23 აპრილს, ღამით. ერთი კვირის შემდეგ ნამორაძე გარდაიცვალა.

ბრალდებულ გიორგი ყოჩიშვილის საქმე განიხილა თბ. მაზრა-ქალაქის სასამართლომ რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და 5 წლით აჰყარა საარჩევნო უფლებები.

—:—

გამფლანგველ ჩხეიძის საქმე

შარშან, ბაღი „არტო“ საექსპლოატაციოთ გადაეცა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენის სამმართველოს.

კლუბის გამგეთ დაინიშნა ალექსანდრე ჩხეიძე, დარდიმანდი და პირის გემოს მოყვარული კაცი.

იმის მაგიერ, რომ კლუბი ყოფილიყო მუშა-მოსამსახურეთა დასასვენებელი კერა, გახსნის დღიდანვე იგი იქცა სპეკულიანტების და გამფლანგველების ბუდეთ.

ვის არ ნახავდით ამ ბაღში, ვინ არ ეტანებოდა მას მუშა-მოსამსახურეთა გარდა.

ქეიფობდნენ დილამდე, ყოველ კუთხეში მოწყობილი იყო სააზარტო სათამაშოები.

განსაკუთრებით გაჩირაღდნებული იყო კაზინო, საიდანაც არა ერთი და ორი გამოსულა გაუბედურებული.

კლუბის გამგე კი იჯდა თავისთვის და ითვლიდა კონს და მონაგებს.

ბევრი დაიწერა გაზეთებში ამ კლუბის მაძღნებლობის შესახებ, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია.

ცხენთსაშენის სამმართველოს მაშინდელ მესვეურებს არა თუ რაიმე ზომები არ მიუღიათ ბაღში გამეფებულ უწესოების მოსასპობად, არამედ უბრალო კონტროლიც არ გაუწევიათ გამგის საქმიანობისათვის.

ჩხეიძე ამ „უსაზღვრო ნდობით“ წახალისებული მოგების ნახევარს საკუთარ ჯიბეში იდებდა.

გარდა ამისა, ყოველ ღამე გულითად მეგობრებთან მადიანათ ვახშმობდა ბაღის ხარჯზე.

ყველაფერი ეს გამოირკვა სეზონის დამთავრების შემდეგ. არავითარი ანგარიშიანობა, არავითარი საბუთი არ აღმოჩნდა იმის მაჩვენებელი, რომ ადამიანს გაეგო რამდენი რაში დაიხარჯა და რა შემოსავალი ჰქონდა კლუბს.

დაახლოებითი ვარაუდით ჩხეიძეს გაფლანგული აღმოაჩნდა 6 ათას მანეთამდე.

მისი საქმე ამ დღეებში გაირჩევა თბ. მაზრა-ქალაქის სასამართლოში.

სასამართლო უფრო დაწვრილებით გამოარკვევს ჩხეიძის „მოღვაწეობის“ შედეგებს და ამავე დროს სათანადო პასუხს მოსთხოვს იმათაც, რომლებმაც მთელი კლუბი ხელში ჩაუგდეს საბჭოთა წესწყობილებისათვის უცხო ელემენტს.

კასიო.

შემთხვევები

ბანდიტების თავდასხმა შუამთის დასასვენებელ სახლში

25 ივლისს, შუამთის (კახეთი) დასასვენებელ სახლის მახლობლად, დაახლოვებით სამ საათზე, მინდორზე სადილობის დროს ვიღაც უცნობი პირები თავს დაესხნენ დასასვენებლად ჩამოსულ მუშა-მოსამსახურეებს და აუტეხს სროლა. სროლის დროს მძიმედ დასჭრეს ს. მუკუზანის არტელის თავმჯდომარე ლ. ჩილიტაშვილი და ამავე არტელის წევრი შ. საქუაშვილი. დაჭრილები გადაიგზავნენ თელავის საავადმყოფოში, სადაც უკვე გარდაიცვალნენ. ბანდიტებმა გაიტაცეს ჩილიტაშვილის რევოლვერი და მიიმალნენ. სროლა გაგრძელდა 25 წუთს.

თავის მოწამვლა

24 ივლისს, იოდით თავი მოიწამლა ტატიანა ივანეს ასულმა ისტრებოვა—ლიპოჩკინმა, რომელიც გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

გუშინწინ, ნაშუადღევის 4 საათზე, ისტრებოვა გარდაიცვალა საავამყოფოში.

თავის მოწამვლის მიზეზი ირკვევა.

მოწამვლა თევზით

გუშინ, თევზით მოიწამლა მესამე სამილიციო უბნის უფროსი მილიციონერი—ილია კაპრიძე, რომელიც გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. გამოძიება სწარმოებს.

ხანძარი

1 აგვისტოს ცეცხლი გაუჩნდა თავდაცვაავიაქიმის ბიუროს ბინას (ძნელაძის ქ. № 12). სახანძრო რაზმის მისვლამდე დაიწვა დარაბა და ზემო სართულის ორი ოთახი. ხანძარი გამოიწვია „კეროსინკა“-ს აფეთქებამ.

შეპყრობა

დაპატიმრებულია არტემ არაქელოვი (მებრძოლის ქ. № 200) და კარაპეტ კარაპეტიანცი, რომელთაც აღმოაჩნდათ რკინის გზის საუბნო პროფკავშირის სამმართველოდან მოპარული ქაღალდები.—ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს ლეონ ბორჩაიანცი.

ქურდობა

გაქურდეს სონა ხაბოევის ბინა (ლენინის ქ. № 4), წაიღეს 320 მანეთის ტანსაცმელი. — სუქან ავაქოვის ბინიდან მოიპარეს 110 მანეთის ნივთები. გაქურდეს ივანე გუტაროვიჩის ბინა (უნივერსიტეტის ქ. № 10), წაიღეს 180 მანეთის ნივთები.

რკინის გზებზე

ცდები დამთავრდა

გზათა სახალხო კომისარიატის კომისიამ ჯავახეთის უღელტეხილზე დაამთავრა კაზახცევის სისტემის ერთმაგი მუხრუჭის გამოცდა.

კომისიის დასკვნით, მუხრუჭების გამოცდამ მეტად დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მუხრუჭებს ახასიათებს დაუშრეტელობა.

უღელტეხილზე სამჯერ დაუშვეს მძიმე და გრძელი შემადგენლობის მატარებელი და მუხრუჭი სამივეჯერ სამაგალითოდ მოქმედებდა. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ მატარებლის დაშვების დროს მუხრუჭი მთლიანად ექვემდებარებოდა მემანქანის ნებას.

ცდების დამთავრების შემდეგ კომისიის წევრთა ერთი ნაწილი გუშინ გაემგზავრა მოსკოვში, ხოლო მეორე ნაწილი დარჩა თბილისში [illegible] საექსპლოატაციო ცდების საწარმოებლად.

მატარებლის დაჯახება

1 აგვისტოს სადგ. გომში მოხდა საქონლის მატარებლის ერთმანეთზე დაჯახება.

დაჯახების გამო დაზიანდა ორთავე მატარებლების ორთქლმავლები. ერთი მათგანი ლიანდაგიდან გადავარდა. ამასთანავე ლიანდაგიდან გადავარდა კიდევ რამოდენიმე დატვირთული ვაგონი.

შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომელმაც აღადგინა მოძრაობა.

მარცხი

სადგ. გიუზდეკში მანევრების წარმოების დროს ვაგონების ბუფერებს შორის მოჰყვა და გაისრისა მეისრე ზულფუგარ ჰუსეინი.

საუკეთესო მემანქანეები

ამიერ-კავკ. რკინის გზებზე დამთავრდა საუბნო კონკურსი მატარებლის უკეთ წამყვან მემანქანეების სახელწოდებაზე.

სპეციალურმა ჟიურიმ, გზის გამგეობის წევრის ინჟ. გვერდწითელის თავმჯდომარეობით, საუკეთესო მემანქანეებათ სცნო და მიუსაჯა ჯილდო შემდეგ პირებს:,

პირველ უბანზე (ბათომი-ზესტაფონი): რაფიელ ჩხიკვაძე—მიეცა ჯილდოთ 100 მანეთი, ივ. ზარემბო—75 მან., ილარიონ გოშმიქვილი—50 მან. და აგაბო ბოგაძე (გამოეცხადა მადლობა).

მესამე უბანზე (ხაშური-ზესტაფონი): მანჯიკალიძე—100 მან., კაკლოიშვილი—750 მ., კოვალსკი—50 მან., აბზიანიძე და ბასილაშვილი. უკანასკნელ ორს გამოეცხადათ მადლობა.

მეოთხე უბანზე (თბილისი—ხაშური—ევლახი—ხანაიანი): სულაძე — 100 მან., ფოცხვერია—75 მ., გრიგორაშვილი—50 მან., დომანევი—100 მან., ფხაკაძე, ცინცაძე და სოზიაშვილი. უკანასკნელ სამს გამოეცხადათ მადლობა.

მეხუთე უბანზე (ლენინაკანი—ხანაიანი): პერეხოდოვი—100 მან., ბუმაკოვი—75 მ., პოტკოვსკი—50 მან. და მხითაროვი. უკანასკნელს გამოეცხადა მადლობა.

მეექვსე უბანზე (ბაქო—დერბენტი—ევლახი): პურიანოვი—100 მან., ივანოვი—75 მან., შტამკოვი—50 მან., ალექსანდროვსკი და აძიროვი. უკანასკნელ ორს გამოეცხადათ მადლობა.

ტეხურის ხიდის გახსნა

პირველ აგვისტოს გაიხსნა ახალი რკინის გზის ხიდი მდ. ტეხურზე.

ხიდის გახსნა საზეიმო ხასიათს ატარებდა.

ჭადრაკი

საერთაშორისო ტურნირის პირველი ტურის შედეგები

კარლსბადი, 1 აგვისტო. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის პირველ ტურში კანულმა მოუგო ბეკერს, ტარტაკოვერმა ყაიმით დაამთავრა კაპაბლანკასთან. ბოგოლიუბოვმა ყაიმით დაამთავრა ეივესთან, მატისონმა მოუგო მაროცის, ვიდმარმა მოუგო მარშალს, ტომასმა ყაიმით დაამთავრა ნიმცოვიჩთან, გილგმა მოუგო ჯონერს, ეიტსმა მოუგო ვერა მილჩიკს, კოლიმ ყაიმით დაამთავრა ზემიშთან. რუბინშტეინ-ტრეიბელის პარტია გადაიდო. ა(დს).

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი *)

სახელმწიფო პირდაპირი გადასახადების ნარჩენების სალიკვიდაციო კომისიების მოწყობის შესახებ

რათა სახელმწიფო პირდაპირი გადასახადების შემოსვლა და კერძო პირებზე და სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე დარჩენილი გადასახადების (ნარჩენის) ლიკვიდაცია წარმატებით სწარმოებდეს — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს ყველა მაზრაში, ქალაქ თბილისის გამოკლებით, სახელმწიფო პირდაპირი გადასახადების ნარჩენის სალიკვიდაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მისი მოადგილე — საფინანსო განყოფილების გამგე და წევრები: აღმასრულებელი კომიტეტის სააღმინისტრაციო განყოფილების გამგე, ხოლო სადაც ეს განყოფილება არ არსებობს,—მილიციის უფროსი, და პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორი.

2. დაეკისროს საფინანსო განყოფილების გამგეს წარუდგინოს ყოველ კვირას აღნიშნულ კომისიას ანგარიში გადასახადებისა და ნარჩენების გადახდევინების საქმის მდგომარეობის შესახებ.

3. დაევალოს კომისიას შეამოწმოს ხოლმე პერიოდულად როგორც გადასახადებისა და ნარჩენის აკრეფის საქმე, ისე საფინანსო განყოფილების მიერ გადასახადებისა და ნარჩენის მოხსნისა, ჩამოწერისა და ვადის განაწილების საქმე, რათა გამორკვეულ იქნეს, თუ რამდენად დროულად და წარმატებით სწარმოებს გადასახადებისა და ნარჩენის აკრეფა და რამდენად კანონიერად ანიჭებს საფინანსო განყოფილება შეღავათებს გადამხდელებს. შემოწმების შედეგებისადამიხედვით კომისია მოავალეა მიიღოს დამოუკიდებლად სასწრაფო და საქმის გადამწყვეტი ღონისძიებანი, რაც გათვალისწინებულია სათანადო კანონმდებლობაში.

შენიშვნა: შეღავათების მინიჭების საკითხების გადაწყვეტაში კომისია მონაწილეობას არ იღებს.

4. წინადადება მიეცეს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს ვალდებულჰყონ ადგილობრივი საადმინისტრაციო და სასამართლო ორგანოები — აღმოაჩინონ საფინანსო განყოფილებებს ყოველგვარი დახმარება გადასახადებისა და ნარჩენის აკრეფის საქმეში და დაუყოვნებლივ მიიღონ ღონისძიებანი იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც გადასახადს და ნარჩენს ბოროტი განზრახვით არ გადაიხდის, და პასუხისგებაში მისცენ ისინი სისხლის სამართლის წესით.

5. კომისიების მოქმედების ვადა განისაზღვრება ა.-წ. ოქტომბრის 1-დე, რა ხნის განმავლობაშიაც კომისიები მოვალენი არიან მიიღონ საქმის გადამწყვეტი ღონისძიებანი სახელმწიფო პირდაპირი გადასახადების გადახდევინებისა და იმ ნარჩენის ლიკვიდაციისათვის, რაც გადამხდელებზე ირიცხება.

6. დაევალოს კომისიებს ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვისა, წარუდგინონ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ანგარიში თავიანთი მოქმედების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: —

გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი:—

პ. მეგრელიშვილი.

---

*) ვინაიდან ამ დადგენილებაში, რომელიც გამოქვეყნებული იყო „კომუნისტი“-ს 173 №-ში (1929 წ. ივლისის 31-ს), დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები, ამიტომ მას ვათავსებთ ხელმეორედ.

რედ.

საზაფხულო ბაღი (ყ არტო).

სახელმწიფო ოპერის საზაფხულო სიმფონიური კონცერტების ციკლი

შაბათს, 3 აგვისტოს, მეორე კონცერტი

მოსკოვის დიდი თეატრის დირიჟორის სახალხო არტისტის

ლ. პ. შტეინბერგის ხელმძღვანელობით

დასაწყისი სრულ 9 საათზე. დაწვრილებით აფიშებში.

ნ. 3067

საზაფხულო ბაღი (ყ. არტო). ესტრადა.

დღეს, შაბათს და ხვალ, კვირას,

მოსკოვის დრამატიული ბალეტის უკანასკნელი გამოსათხოვარი გასტროლი

30 GIRLS 30

ახალი დადგმები; „კარნავალი აბაჟურებით“ და სხვ.

დანიელ ოლენინი (სიმღერები)

არკადინი და გრიდოვი (სატირა). ნ. 3067

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო აპოლო

საზაფხულო ეთერი

მინიონი

საზაფხულო ვალახი

საქ. კინომრეწველობის ახალი ფილმი

თეთრი მხედარი

სცენარი გოლდენვეიზერის ძ ძიგანის

ოპერატორი ზაბოზლაევი

მხატვარი ფედორი

მხატვრული სურათი

ჯამბაზ ყორუის ბენეფისი

0—1

თბილისის სადგურში

ლიანდაგების გადაკეთების გამო დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები დროებით გადატანილია სამხრეთ პარკში „სოუზხლების“ საწყობების პირდაპირ.

2731 3—2 მოძრაობის დარგი.

ს.ს. ცაკთან არსებული უპატრონო ბავშვთა კომისია აცხადებს, რომ

დიდი ნანივთო ლატარია,

რომელიც უნდა გათამაშებულიყო 1-ლ აგვისტოს გადადებულია 1 ოქტომბრისათვის.

2750 ბავშვთა კომისია.

ექიმი

მ. ნ. შახნაზაროვი

სპეციალურად

სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი

ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი („914“ შეშხაპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და კანის სნეულება.

მიღება: დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.

მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.

2578 25—1

ნარევი

ონავარი-ვეშაპი შავ ზღვაში

ხმელთა შუა ზღვიდან შავ ზღვაში შემოსცურა ონავარმა ვეშაპმა (акула), რომელიც საათის განმავლობაში სდევდა მეთევზეთა 2 ნავს. მტაცებლის სიგრძე, მეთევზეთა სიტყვით, ათ მეტრს აღწევს.

არაჩვეულებრივი სიმსუქნე

ქ. ტვერის საავადმყოფოს ბავშთა განყოფილებაში მოიყვანეს 7 წლის ბავშვი, რომელსაც ახასიათებს ძლიერი სიმსუქნე, რაც შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების არანორმალური მუშაობის შედეგია. ბავშვი იწონის 62 კილოგრამს. (ოთხ ფუთამდე).

მთაგრეხილები ოკეანის ფსკერზე

წყნარი ოკეანის ფსკერზე, [illegible] რიკის [illegible] ხილი, რომლის სიმაღლე სამ კილომეტრამდე აღწევს.

სააღმშენებლო მასალა ნახერხიდან

გერმანელმა გამომგონებელმა ა. ხავერლანდერმა აღმოაჩინა წესი სააღმშენებლო მასალების დამზადებისა ნახერხიდან და ბურბუშელიდან. ამ მასალებს ასხამენ სპეციალურ ქიმიურ ხსნარს და შემდეგ გამთბარი სახით დიდ წნევაში აქცევენ. ხელოვნურ ხეს ახასიათებს დიდი სიმაგრე და ცეცხლგამძლეობა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

3 აგვისტოს პარტწმენდა ჩატარდება შემდეგ უჯრედებში

1. ტრამვაის მოძრაობის უჯრედის, ტრამვაელთა კლუბში, საღამოს 6 საათზე. შემმოწმებელ კომისიის წევრები: ჩოჩიევი, კოჩეტკოვი და ტეგეტაშვილი.

2) თბილისის დეპოს უჯრედის, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, საღამოს 5 საათზე. შემმოწმებელ კომისიის წევრები: ზაქრაძე, გაბერკორნი და კესინოვი.

3) ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის საიარაღო ცეხის უჯრედის, პლეხანოვის სახელობის კლუბში, საღამოს 5 საათზე. შემმოწმებელ კომისიის წევრები: ლელაშვილი, ყამარაული და პოპოვი.

4) „მკერავი“ № 2 უჯრედის, კომუნალური ქუჩა, № 62, საღამოს 6 საათზე. შემმოწმებელ კომისიის წევრები: ზაკომოლდინი, გ. შახსუვაროვი და სანამიანი.

5) „ეირომასის“ უჯრედის, დაღესტანის ქ. № 16, კახეთის მოედანი, ნაშუადღევის 4 საათზე. შემმოწმებელ კომისიის წევრები: იტრიევი, შავერდოვა და დემეტრაშვილი.

6) მე-5 სტამბის უჯრედის, კამოს ქ. № 68, დილის 10 საათზე. შემმოწმებელ კომისიის წევრები: ფილია, რცხილაძე და სამოილოვი.

7) სტალინის სახელობის ვაგონების და ორთქლმავლების შემკეთებელი ქარხნის საავაგონო - საამქროს უჯრედის, პლეხანოვის სახელობის კლუბში, საღამოს 5 საათზე. შემმოწმებელ კომისიის წევრები: ჯატიევი, კოჩინევი და ორაგველიძე.

—:—

საქ. კომპარტიის ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება დღეს, 3 აგვისტოს, დღის 12 საათზე იწვევს თათბირს. სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: ძამანაშვილი (კოლმეურნეობის ცენტრი), დუგლაძე (სოფლის კავშირი), იარალოვი (ცეკავშირი), შარიქაძე (სას.-სამ. ბანკი), თალაკვაძე (თბ. კომიტეტი), ფსიტიძე (მიწადმოქმედების კომისარიატი).

დღეს, შაბათს, 3 აგვისტოს დილის 11 საათზე საქ. კომპარტიის ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება სხდომა, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: კიკნაძე („კომუნისტი“), გრიგორიანი („რაბოჩაია პრავდა“), სიხარულიძე („მუშა“), დევაძე („ახალგაზრდა კომუნისტი“).

—.—

დღეს, 3 აგვისტოს, დილის 10 საათზე, საქ. კომკავშირის ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება თათბირი — მუშა - ახალგაზრდობის თეატრის შესახებ. ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: ბეჯიაშვილი, უღიკაშვილი, კანდელაკი (განათლების კომისარიატი) ალავიძე (ხელოვნების მთავარსამმართველო), ფანცულაია (საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება), ჩხარტიშვილი (პოლიტგანათლების მთავარ სამმართველო), შახბაზიანი (კომკავშირის თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილება), მანაგაძე, მიქელაძე, ბუაჩიძე, ლუარსაბიძე, სულავა, რატიანი და კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის რაიკომების აგტპროპები.

—:—

საქ. ლენ. კომკავშირის ცეკასთან არსებული სამხედრო - საზღვაო და საინჟენერო სასწავლებლებში გასაგზავნ მოსწავლეთა შემრჩევი კომისია, ქვემოდასახელებულ ამხანაგებს წინადადებას აძლევს ორშაბათს, 12 აგვისტოს, დილის 9 საათზე გამოცხადდნენ საქ. ლენ. კომკავშირის ცეკას სამხედრო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. № 20). ასლან სუხანოვი, აშოტ მირაქოვი, პავლე შმელიევი, ა. ი. კარკლიონისი, კონსტანტინე ენძიბაროვი, ვასილ მეიშვილი, ალექსანდრე მარქაროვი, იოსებ აბაზაძე, ვლადიმერ ტუღუში, ივანე აიდინოვი, ნიკოლოზ მჭედლიშვილი, ვასილ დურასოვი, ვარლამ გურეშიძე, ალექსანდრე ძლიერაშვილი, ივანე იაშვილი, სილოვან გეგეჭკორი და ვლადიმერ კობიშევი.

მშობლები პელაგია ოქროპირის ასული და ივანე დავითის-ძე კილაძე; დაი თამარი; ძმები: შალვა, ბიძინა და გივი აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ მათთვის დაუვიწყარის

დათიკო კილაძის

ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 4 აგვისტოს, დილით კვირას, შუადღის 12 საათზე ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე. 2—1 2734

დამწუხრებული მეუღლე გოგუცა ივანეს ასული; შვილები: ნინო და ილია, ძმა ტიტე ართმელაძე მეუღლით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 4 აგვისტოს 1-ლ ს. სოფ. ქვიანში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ და დაუვიწყარ

დავით ადამის-ძე ართმელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2753

შვილები: ისაკი, დიომიდი, მელანო და კატო ოჯახობით, გიორგი, შვილისშვილი შუშანა კეკელიძეები და სიძე იულო რამიშვილი ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს

ელისაბედ კეკელიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება 6 აგვისტოს, სოფელ იანოულში. 2758

გაუბედურებული მშობლები სანდრო და ლიდა, ძმა ბიძინა ამაშუკელი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მათთვის დაუვიწყარ

კუსურა (ვანიჩკა) ამაშუკელის

ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 4 აგვისტოს, 1 საათზე, ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე. 2742

საჭიროა

გაზეთ „კომუნისტი“-ს ცალობით

გამყიდველები

რუსთაველის პრ. № 34

„კომუნისტი“-ს გამომცემლობა

ბაღდათის უბნ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ი. დ. ლომთაძე

ამით აცხადებს, რომ ის 10 აგვისტოს 1929 წ. დღის 12 საათზე, სოფ. ფერსათში, ქუთაისის მაზრაში საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის ვასილ გიორგის-ძე იოსელიანის ქონებას, რომელიც შეიცავს ერთ თვალ ძელულ საშხარეულოს დახურული ყავრით, შეფასებული 250 მან. დასაკმაყოფილებლად ალიოშა გრიგოლის ძე ჯუკასოვის ფულადი გადასახდისა.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2631

თმის მკურნალობა

და

სამკურნალო კოსმეტიკა

ექიმ

ნ. გ. კონტოროვიჩისა

ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა

ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება

მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ.

კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26-01.

2468 13—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

ანა ვასილის ასული

მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19

იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.

25—1 2561

გ. მ. ფხალაძე

სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და კანის სნეულებანი.

მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები

მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან).

25—1

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და მავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი. 1—90. 25—11

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.

253325—1

პ. ს. ფონ-ირეცკი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბავასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე

ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—10

ქუთაისში

ექიმი ვ. დ. კუჭაიძე

ლენინგრადის სამეანო გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 ს.

იღებს სპეციალურათ მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში (შარდის ბუშტის, მილის და თირკმელების დაავადებანი). პუშკინის ქ. № 7

2463 25—1

პროფესორი

გ. მ. მუხაძე

წასულია კისლოვოდსკში და დაბრუნდება ენკენისთვეში.

2579 25—1

დაიკარგა კოოპერატივის წიგნაკი მარიამ ივანეს ასული ხელაშვილის სახელზე ჩ. გ. 2760

დაიკარგა ზაკტპოს წიგნაკი № 23874 ზაქარია ჩალაძეს სახელზე, ჩ. გ. 2754

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1964 ილია ხუბაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2757

დაიკარგა: პურის წიგნაკი სტეფანე ტერ-გრიგორიანის სახელზე, ჩ. გ. 2751

დაიკარგა: პურის წიგნაკი გეურქ ტერ-გრიგორიანცის სახელზე, ჩ. გ. 2752

დაიკარგა, მე-15 შრომის სკოლის დამთავრების 9 წლედის ატესტატი № 1212 ელისაბედი ზაქარიას ასული ტუხაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2755

დაიკარგა: საანგარიშო დასახლევის წიგნაკი № 1588 და პირადობის მოწმობა გაცემული სენაკის მაზრის განათლ. განყოფილების მიერ ვასილ დავითის-ძე ჯიქიას სახელზე, ჩ. გ. 2759

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.